სპორტი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 3 მარტი 1999 №37 (810) | ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 რა უთხრა თემურ ქეცბაიამ მერაბ ჟორდანიას

რას უპირებენ უცხოელები ქართულ ფეხბურთს?

8 დღეს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალია:

ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი
რეალი — დინამო
მანჩესტერი — ინტერი
იუვენტუსი — ოლიმპიაკოსი

12 დინო მენეგინი: სტეფანიასნაირი მაღალი და მოქნილი კალათბურთელი იშვიათად მინახავს

იტალიური კალათბურთის ექსვარსკვლავს საბჭოთა კავშირის ნაკრებში ყველა რუსი ეგონა

13 ტიტე კალანდაძის 11 გოლი ევროპის თასების თასის ნახევარფინალში



გაზაფხული შემოსულა

ეს ამბავი ევროპელ გულშემატკივარს უეფას თასის მეოთხედფინალის მონაწილე რვა გუნდმა ახარა. გუშინ ბოლონიის, ბორდოს, მარსელისა და მადრიდის სტადიონებზე დიდი ფეხბურთი გაჩაღდა. სამი ფრანგული გუნდიდან ორმა მოიგო, ერთმა კი წააგო, სამი იტალიურიდან პირიქით, ერთმა გაიმარჯვა, ორმა კი მარცხი იწვნია, ხოლო რაც შეეხებათ ესპანელებს, ისინი ორნი იყვნენ და მოგება-წაგება გაინაწილეს

UEFA CUP

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

REUTERS მადრიდიდან

ატლეტიკო — რომა 2:1.
მასპინძელი ხოსე შამოტი (მარჯვნივ) სტუმარ ფრანჩესკო ტოტის ბურთს ეცილება

დინამომ ტორპედო არ გაიკარა

მადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ ავლაბარში. „არსენალი“ — „დინამო“:
ყოფილი დინამოელის გოჩა ჩიქოვანის (№3) არმია რატი ალექსიძემ განაიარაღა

ჩემპიონმა მდევარ „ტორპედოსთან“ ორიოდ დღით ქულამდე შემცირებული სხვაობა სულმოუთქმელად დაუბრუნა მეორე წრის საწყის დაცილებას. თბილისის „დინამომ“ გუშინ თანაქალაქელი „არსენალი“ დაჩაგრა ალექსიძე-აშვეთიას ორ-ორი და მიქაძე-წიტაიშვილ-გუჩუას თითო გოლით

„არსენალ“ — „დინამოს“ რეპორტაჟი იხილეთ მეორე გვერდზე

16 ტური

საქართველოს ჩემპიონატი

2 მარტი, სამშაბათი

არსენალი	1
დინამო	7

დინამო	16	13	3	0	57:9	42
ტორპედო	16	12	2	2	43:14	38
კოლხეთი	16	8	4	4	35:26	28
ლოკომოტივი	16	6	10	0	19:7	28
დილა	16	7	4	5	24:21	25
ბათუმი	16	6	7	3	23:14	25
მერანი	16	4	8	4	15:17	20
იბერია	16	5	4	7	26:31	19
არსენალი	16	4	6	6	20:32	18
ოდიში	16	5	2	9	12:25	17
სიონი	16	4	4	8	16:33	16
გორდა	16	3	7	6	12:21	16
ვიტ ჯორჯია (-3)	16	5	3	8	15:17	15
სამგურალი	16	4	2	10	14:33	14
თსუ	16	3	4	9	14:23	13
გურია	16	3	2	11	18:40	11

საქართველოს ჩემპიონატი
16 ტური



თბილისი
2 მარტი
15 საათი
ისანი
2 500 (ტევადობა 3 000)

არსენალი 1:7 დინამო

0:1 წიტაიშვილი (2), 0:2 მიქაძე (23), 0:3 აშვეთია (50), 0:4 ალექსიძე (55), 1:4 კაკაშვილი (64), 1:5 გუჩუა (76), 1:6 აშვეთია (89), 1:7 ალექსიძე (90)

არსენალი: ჩლაიძე (კუპატაძე 46), ლაცაბიძე, ჩიქოვანი, ვ. გველესიანი, ყოლბაია, მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი (სულაძე 49), კაკუბავა (ხოსროშვილი 61), ამირიძე, ა. კაკაშვილი, ტარიელაშვილი

სათადარიგონი: ლ. აბაზაძე, კვირკველია, დ. აბაზაძე, ცოტაძე

დინამო: გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, ა. მუჯირი (ა. სახვაძე 46), მ. მაჭავარიანი, ჩომახიძე, ტუღუში, ალექსიძე, წიტაიშვილი (გუჩუა 46), აშვეთია, ქებაძე (ვ. ჯინჭარაძე 78)

სათადარიგონი: ბათიაშვილი; გ.შენგელია, ხიზანეიშვილი, რუხაძე

გაფრთხილება: ლაცაბიძე (20), კაკუბავა (33), ზირაქიშვილი (43), ამირიძე (44), ტუღუში (44), აშვეთია (45)

გაძევება: ტუღუში (45)

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. მეშკოვი, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

აღარ გვინდა ფინიშიო

კობა ინასარიძე

გუშინდელი თამაშის შემხედვარე ერთში დავეჭვდი — ემნდ ძველი დრო არ განმეორდეს და „დინამოს“ მეტოქეებს ჩემპიონატის გასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე არ მოუწიოთ დანებებამ-მეთქი. ბუნებრივია, ჩემპიონობისთვის ბრძოლა ვიგულისხმე.

ჩემპიონს ასეთი და ამაზე უარესი ანგარიშებით უწინაც გაუნადგურებია მეტოქეები, მაგრამ მაშინდელს დღევანდელის ფასი არ ჰქონდა. წინასწარ ვიცოდით, თბილისელები სასტიკად რომ გაუსწორდებოდნენ მოქიშპეს და იმიტომ. გუშინ კი ამხელა ანგარიშს ვინ ჩივის, ზოგს „დინამოს“ გამარჯვებაც აეჭვებდა.

როგორც ჩანს, გუნდსა და მის მწვრთნელებზე არც ამჯერად უმოქმედია ფეხბურთელებისგან დაცლას. ძველებს ისეთი შემცვლელები გამოუჩნდნენ, თუ გამოუჩინეს, ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე კარგი რომ ეთქმით.

თავად განსაჯეთ: გუშინ ავლაბარში „დინამოს“ შემადგენლობაში რვა ისეთმა ფეხბურთელმა ითამაშა, პირველი წრე სხვა გუნდში რომ გაატარა. და ამის მიუხედავად, მათ არაფერი დაეწუნებოდათ.

შეიძლება დინამოელთა ყოჩაღობა მეტოქის სუსტმა თამაშმაც განაპირობა, მაგრამ მთლად ასეც არაა. ჯერ ერთი, „არენალმა“ ისე ითამაშა, როგორც მეტოქემ მისცა ამის საშუალება. და მეორეც, გუშინ მასპინძლები, რაც უნდა კარგად გარჯილიყვნენ, ალბათ, „დინამოს“ ვერ მოუგებდნენ.

ყველაფრის თავიდათავი ჩემპიონების მომზადებაა. მურთაზ ხურცილავას, ეტყობა, ბელგიაში ყოფნისას დრო უქმად არ დაუკარგავს და ბიჭებს ასწავლა ის, რაც მათ გუშინ გვაჩვენეს და რასაც აწი უნდა ველოდოთ. იმის მიუხედავადაც კი, რომ „დინამო“ მეორე ტაიმში ათი კაცით დარჩა, გამარჯვება სათუო არ გამხდარა. მეტიც, შესვენებაზე ხურცილავას გონივრულად განხორციელებულმა შეცვლებმა „დინამოს“ ტაიმის დასაწყისშივე დაუბევა სამი ქულა.

ჩემპიონებმა ლაღად და აზრიანად ითამაშეს. განსაკუთრებით ნახევარმცველები გამოირჩეოდნენ. ალექსიძემ და ჩომახიძემ კი მეტოქეთ სულ აუბნიეს თავგზა. არც აშვეთია-წიტაიშვილი იყვნენ ჯაბანნი. მათ თავიანთი საქმე გააკეთეს, ერთმანეთზე უკეთესი გოლები შეაგდეს. დაცვა ოდნავ კი მოისუსტებდა, მაგრამ რაკი სხვებმა ივაჟკაცეს, მათი ნაკლიც მკვეთრად არ გამოხატულა. ხოლო გვარამაძემ ერთხელაც დაამტკიცა, რომ გუცაევი ტყუილად არ ენდობა. მან სამ-ოთხჯერ ისეთი ბურთი მოიგერია, „მკვდარი“ რომ ეთქმის.

ერთი სიტყვით, „დინამომ“ გუშინდელი თამაშით ყველას დაანახა თავისი რეალური ძალა— გოლებიც პანტაპუნტით შეჰყარა მეტოქის კარში და დამსახურებულადაც იმარჯვა. გოლების აღწერას კი, რომელი როგორ გავიდა, სჯობს, შემდეგ ტურს დაველოდოთ, ბიჭები ცოტა გახურდნენ და ეგებ მეჩვიდმეტე მატჩში უფრო ლამაზადაც გაიტანონ.

„არსენალზე“ კი რაღაა სათქმელი. ექვსბურთიანი სხვაობით მარცხი ყველაფერზე მეტყველებს. ვინძლო ამბობდნენ, აღარ გვინდა ფინიშიო...

ბადრი ჯეიოლაძის ფოტო

თემურ ტუღუშმა (შუაში) „დინამოში“ დებიუტი გაძევებით აღნიშნა

შენგელია იმერეთში ბრუნდება

თუ ასე მოხდა, წყალტუბოს „სამგურალი“ კიდევ უფრო გაძლიერდება და მათ თავდამსხმელის პრობლემაც მოეხსნებათ. საქმე ისაა, რომ „დინამოში“ იშვიათად მოთამაშე გიორგი შენგელიას მოუსურვებია მეორე წრე იმერეთში გაატაროს.

„დინამო“ ფეხბურთელის თხოვნას დაყაბულდა, მოწადინებულია წყალტუბოელთა მწვრთნელი გაიოზ დარსაძეც, ერთიღა დარჩა — ფეხბურთელის „სამგურალის“ განაცხადში ჩაწერა.

რადგან შენგელია 1979 წელსაა დაბადებული და მეორე ჯგუფის გუნდებისთვის განაცხადის შევსების ბოლო ვადა 10 მარტია, შეგაიძლია ჩათვალოთ, რომ შენგელია იურიდიულად „სამგურალი 2“-ის წევრი გახდება. ფარმ-კლუბიდან კი ყოველთვის ნებადართული იყო ფეხბურთელის პირველ ჯგუფში თამაში. ამით არანაირი კანონი არ დარღვევა.

ხვიჩა სანიძიძე

რა უთხრა ქეცბაიამ ჟორდანიას?

რას უპირებენ უცხოელები ქართულ ფეხბურთს?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დიდხანს არც ამჯერად გვალოდინებს. თუკი ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ხდება, იგი ხომ ჩვეულებისამებრ თავისთან გვიწვევს.

მერაბ ჟორდანიას სათქმელი ახლაც დაუგროვდა. პრეზიდენტი ორიოდ დღეა რაც უცხოეთიდან დაბრუნდა, სადაც საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა და უეფაში გამართულ თათბირებსაც დასწრებია.

შვეიცარიის გარდა მერაბ ჟორდანია გერმანიაშიც ბრძანდებოდა, სადაც იქაური პარტნიორები მოინახულა... ის ინგლისსაც ეწვია და საქართველოს ნაკრებში თამაშზე უარისმთქმელ თემურ ქეცბაიასაც ესაუბრა...

ერთი სიტყვით, შინ დაბრუნებული ფედერაციის პრეზიდენტი ხვალ, 4 მარტს სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენციას გამართავს. როგორც, გუშინ თავად პრეზიდენტმა გვითხრა, იგი, ერთი სენსაციური ამბის გამხელასაც აპირებს. საქმე ქართულ ფეხბურთს, უფრო კონკრეტულად კი ერთ-ერთ ქართულ კლუბს (ალბათ „დინამოს“) ეხება და ყველასთვის სასიამოვნო იქნებაო.

დანარჩენზე და იმაზე, თუ რა უთხრა ინგლისური „ნიუკასლ იუნაიტედის“ ქართველმა ნახევარმცველმა თემურ ქეცბაიამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას, პარასკევის „სარბიელში“ იხილავთ.

ძოგა ინასარიძე

ადიდასს ჯერაც ვერ ავცდით

ნაკრები ისევ სამზოლიანი მაისურებით ითამაშებს

ალექსანდრე ცაგარეიშვილის ფოტო

„ადიდასი“ — საქართველოს ნაკრების ძველი ნაცნობი

სულ ცოტა რჩება იმ დღემდე, როცა საქართველოს ეროვნული ნაკრები უკრაინელებს გაეჯიბრება. ძნელი სათქმელია, რა ტაქტიკას აირჩევს ვლადიმერ გუცაევი სლოვენიელებთან მოსამზადებელ შეხვედრაში, ანაც რა შემადგენლობით დაუპირისპირდება მათ ჩვენი გუნდი. ერთი რამ ნათელია, 20 მარტს ნაკრების თითოეული ფეხბურთელი სპორტული ფორმით უნდა იყოს შემოსილი და მოდით, ჩვენც ამაზე ვთქვათ.

გაგეცინება კაცს — რა თქმა უნდა, ფეხბურთელი სათანადო აღჭურვილობით უნდა გავიდეს მოედანზე, მაგრამ ფაქტია, ცოტა ხნის წინ ნაკრები კინაღამ შიშველ-ტიტველი დაგვირჩა.

ყველაფერი კი წლეულს დაიწყო. საქვეყნოდ ცნობილი „ადიდასის“ დისტრიბუტორმა საქართველოში, ფირმა „ვოსმა“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება შეწყვიტა. მახსოვს, გაცილებით ადრე, როცა ქართული ფეხბურთის სათავეში სულ სხვა პიროვნებები იდგნენ, დიდი აჟიოტაჟი იყო შექმნილი ნაკრების შემოსვასთან დაკავშირებით. „ნაიკი“, „უმბრო“, „პუმა“, „კაპა“ — ამ განთქმულ ფირმებთან ნაყოფიერი მუშაობა ფედერაციის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა „ადიდასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით დააგვირგვინეს. დღესაც დაახლოებით ამგვარი სიტუაციაა, თუმცა ამაზე ქვემოთ და ისევ „ვოსს“ დავუბრუნდეთ. ამ ფირმის ხელმძღვანელებმა საჯაროდ გამოთქვეს თავიანთი უკმაყოფილება და ფეხბურთის ფედერაცია უპატივცემულობასა და ხელშეკრულების პირობების დარღვევაში დაადანაშაულეს. „ადიდასის“ დისტრიბუტორთა განცხადებით, კონტრაქტის პირობებით ნაკრების აღკაზმულობისთვის გადაცემული უფასო საქონელი ხშირ შემთხვევაში ბაზრობებსა და მაღაზიებში ხვდებოდა და მსგავსი ქმედებით ვიღაც გვარიანაე? ითბობდა ხელს. აღნიშნავდნენ პარტნიორების ზერელე დამოკიდებულებასაც სარეკლამო საქმიანობის მიმართ. ფედერაციის არც ერთ ცნობარსა თუ თამაშების დროს გამოტანილ სარეკლამო დაფებში „ადიდასი“ არ მოიხსენიებოდაო. მოკლედ, „ვოსს“ ყველა წინაპირობა შეექმნა საიმისოდ, რომ ფედერაციის უკვე ახალ ხელმძღვანელობასთან ძველი კონტრაქტი გაეუქმებინა.

ძნელი სათქმელია, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო „ვოსის“ განცხადება. ერთი რამ უდავოა, მსგავს ფაქტს უცხოეთში საყოველთაო გამოხმაურება მოჰყვებოდა და ყოველივე, ალბათ, ბოლო ინსტანციამდე — სასამართლომდე მივიდოდა. ჩვენთან კი (უნდა ვიფიქროთ, საბედნიეროდ) ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდა, ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა, ფაქტობრივად, დაუძვრა „ვოსის“ ბრალდებებს. თუმცა ასეთი უდავიდარაბო დასასრული ნაადრევად გაწყვეტილმა ხელშეკრულებამ გააუფერულა და პრობლემა პრობლემად დარჩა — ნაკრები შესამოსი იყო და ისევ წამოყვეს თავი „უმბრობმა“, „ნაიკებმა“ და „პუმებმა“, ფედერაციის დღევანდელ ხელმძღვანელობას კი კვლავაც „ადიდასი“ შერჩა ხელთ — ოღონდ ყოველგვარი კონტრაქტისა და ხელშეკრულების გარეშე. „შესარჩევი ციკლი საცაა განახლდება, ჩვენ კი ისევ „ადიდასით“ განვაგრძობთ ასპარეზობას. ოღონდ ამჯერად თავად ვიზრუნებთ ნაკრების ეკიპირებაზე და ამას სრულიად უბრალოდ გადავწყვეტთ. ფორმებს გერმანიაში, ადგილზე შევიძენთ და პრობლემაც ამით მოგვარდება — განაცხადა სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ. მისი განცხადება მართლაც საყურადღებოა და ჩემი აზრით, ერთ-ერთი სწორი გადაწყვეტილებაა ამ ეტაპზე მანამ, სანამ ფედერაცია „ნაიკებს“, „უმბროებს“ ანაც „ადიდასს“ საბოლოოდ და ოფიციალურად დაუკავშირდება. ოღონდ სჯობს, ყოველივე დროულად გადაწყდეს, რადგან სპონსორების დახმარება-შეღავათები ისევ ქართულ ფეხბურთს წაადგება.

მოკლედ, ერთი რამ გადაწყვეტილია — ნაკრები მარტის თამაშებს „ადიდასის“ ტრუს-მაისურით ჩაატარებს, მაგრამ შესაძლოა, შესარჩევი ციკლის გასრულებას სხვა ფირმის სამოსით შეხვდეს.

11 მარტს მერაბ ჟორდანია და ვალერი ჩოლარია გერმანიაში მიემგზავრებიან. ისინი ფედერაციის ერთ-ერთ მძლავრ სპონსორ ფირმა „ტელესპორტთან“ მოლაპარაკებას გამართავენ. ამ ფირმის პრეზიდენტი წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი გიუნტერ ნეტცერია. მასთან სფფ-ს თავკაცები რამდენიმე საკითხზე მოილაპარაკებენ, მათ შორის, ჩვენი ეროვნული გუნდის აღკაზმულობის თაობაზეც. ვალერი ჩოლარიას თქმით, ნაკრების ჩაცმა-დახურვაზე მზრუნველნი „ტელესპორტმა“ უნდა გამოძებნოს და არ არის გამორიცხული, ამ ფირმას ჩვენთვის გამოკვეთილი კანდიდატი უკვე შეგულებულიც ჰყავდეს.

ასე რომ, ჯერ „ადიდასი“, მერე კი ვნახოთ.

პაატა ძვანტალიანი

საქართველოს ჩემპიონატი

16 ტური

ჩვენ რომ გვგონია ის არა, სხვებს რომ ჰგონიათ არც ისა

ესეც ასე. ახლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, საქართველოში ფეხბურთი და გაზაფხული ერთად დაბრუნდნენ. ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყო.

მეთექვსმეტე ტურმა გარკვეულწილად მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა. ის მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო. მეორე წრის სადებიუტო მატჩებმა ერთი რამ ცხადყო, ჩემპიონატის ფინიში დაძაბული და საინტერესო გველის.

თბილისის „ლოკომოტივი", ერთი შეხედვით უპრობლემო, მობილური და შეკრული გუნდია, მაგრამ რკინიგზელთა სამზარეულოში შეიძლება ისეთი ბომბი აფეთქდეს, რაც დიდი ხნის ნაშრომ-ნაღვაწს წყალში ჩაყრის.

„ლოკომოტივი" ის გუნდია, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცის თავდაცვა, მაგრამ მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრა უჭირს. სწორედ ეს არის უთანხმოების მიზეზიც. კლუბის ხელმძღვანელები თემურ მახარაძეს სატრანსფერო პოლიტიკასაც უწუნებენ. ჰოდა, პირველი ბზარიც აქედან გაჩნდა.

რკინიგზელებმა ისევ ვერ მოიგეს. არც წაუგიათ, მაგრამ რამდენიმე საგოლე მომენტი ქარს გაატანეს. ალბათ, თემურ მახარაძეს, ამდენიც არასდროს ძიებელმა კინაღამ წაიფორხილა, თუმცა კინაღამ არ ითვლება. ისე, ქუთაისელებს თუ რაიმე დაღუპავს, ეს გულარხეინობა და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა იქნება.

მართალია, თსუ-ს დასაკარგი არაფერი აქვს და სატურნირო ცხრილშიც საგანგაშო, მეთხუთმეტე ადგილზეა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. სტუდენტები ყველა მატჩს ისე ეკიდებიან, როგორც უკანასკნელს და საბედისწეროს. მათ ეს ქუთაისშიც დაამტკიცეს და, ალბათ, აწიც ასე გააგრძელებენ.

„იბერიამ" „ოდიშს" ძვრა ვერ უყო. სამტრედიელთა ლიდერი ვასო გიგიაძე რომ არ დამტვრეულიყო, არ არის გამორიცხული, „იბერიას" გაეტანა კიდეც, მაგრამ ეს სრულებით არ აკნინებს ოდიშართა თავდადებას. სამტრედიაში „იბერიამ" ორი ქულა დაკარგა, ხოლო ზუგდიდელებმა ერთი მოიპოვეს. ვისაც „ოდიშის" თამაში უხილავს მოსამზადებელ პერიოდში, ყველა ერთხმად აღნიშნავს მათ ბრძოლისუნარიანობას. სოსო ჭედიამ გუნდი სულ ადგილობრივი ფეხბურთელებით დააკომპლექტა და „ოდიშის" სატკივარიც მათზე მეტად არავის შეაწუხებს. ესეც ხომ ბევრს ნიშნავს. ზუგდიდში „ოდიშის" წაქცევა გაჭირდება. ჭედიასაც ამის ეიმედება.

გორში „დილამ" მორიგი ტრიუმფი მოიწყო. საშინაო მატჩებში მათ ასე ხშირად სჩვევიათ. „დილას" გორში გაცილებით ძლიერი გუნდები დაუმარცხებია და ძალაგამოლეული „გორდას" ძლევა რაღა გასაკვირი იყო. თუმცა გორელებს თავიდან გაუჭირდათ. „გორდა" კერკეტი კაკალი გამოდგა, მაგრამ რუსთაველთა მინუსად ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ ისინი მწყობრ თამაშს 90 წუთის განმავლობაში ვერ ახერხებენ. ისე, მათ მეტიც არ მოეთხოვებათ. არსებულ პირობებში შესაძლებლობათა მაქსიმუმს ავლენენ.

რაც შეეხება „დილას", გორელები თითქმის უხიფათო ზონაში იმყოფებიან და არავის გაგიკვირდეთ, რომ დანარჩენ თამაშებს უგულისყუროდ მოეკიდონ. გორელი ფეხბურთელებიც ხომ არ არიან ხელფას-პრემიებით განებივრებულნი.

„ვიტ ჯორჯია" „ბათუმის" შეხვედრაში აღსანიშნი არაფერი მომხდარა. „ბათუმის" გვესმის. ისინი თასის ხელმეორედ დასაკუთრებას გეგმავენ და „ლოკომოტივთან" მეოთხედფინალის განმეორებითი მატჩის წინ ძალებსაც ზოგავენ. გაუთვალისწინებელ გართულებებსაც ერიდებიან.

ვეტერინარებს კი უფრო მეტი მიზანსწრაფულობა მართებთ, თორემ მათ მაგივრად ქულებს არავინ მოიპოვებს. გათამაშების ცხრილი ბევრზე მეტყველებს. „ვიტ ჯორჯია" ბოლოდან მეოთხეა, ეს კი საგანგაშოა კლუბის ხელმძღვანელობისთვის.

„დინამომ" „არსენალი" გააცამტვერა. ლამის ყველა დინამოელმა გოლი გაიტანა. ჩემპიონმა „ტორპედოსთან" ოთხქულიანი ზღვარი შეინარჩუნა.

ავლაბრელებმა უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადეს. ან კი რა საშველი ჰქონდათ. „დინამო" შეუჭერებელი იყო.

სხვა მხრივ ტური აშკარად სტუმრებისა იყო. მასპინძელთაგან გამარჯვება მხოლოდ „ტორპედომ" და „დილამ" შეძლეს. 8 მატჩში 19 გოლი გავიდა, ამას ოთხი საყაიმო შეხვედრაც მივუმატოთ და მივხვდებით, რომ უკეთესიც ტურიც გვიხილავს.

მამუკა კვანტალიანი

თბილისი
28 თებერვალი
15 საათი
შევარდენი
1000 (ტევადობა 10 000)

ლოკომოტივი 1:1 კოლხეთი

1:0 გოდერძიშვილი (67პ), 1:1 ქობულაძე (87)
ლოკომოტივი: დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, კ. მელქაძე, ბარნოვი, ზ. არჩვაძე, მარღიშვილი (კოტორაშვილი 58), შ. ხუჯაძე, კაციაშვილი, გოგობერიშვილი (ბაქრაძე 82), გოდერძიშვილი, წივნივაძე
სათადარიგონი: დოლაბერიძე; ვ. კილასონია, ქოიავა, ნ. მელაძე, გილაური
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, შალამბერიძე, ღალინიძე, კალანდაძე, მ. ქობულაძე, ამაშუკელი, შავგულიძე (ჩადუნელი 64), ე. გვასალია
სათადარიგონი: ჩემია; ბურკვაძე, ბულუხია, ებრალიძე, ანჯაფარიძე
გაფრთხილება: გოროზია (23), ე. გვასალია (67)
გაძევება: გოროზია (43)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; პ. დოგრაშვილი, კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი); ზ. ლაცაბიძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

წყალტუბო
28 თებერვალი
15 საათი
26 მაისი
2000 (ტევადობა 10 000)

სამგურალი 1:2 მერანი

1:0 ძაგნიძე (4), 1:1 ქორიძე (9), 1:2 დავითნიძე (80)
სამგურალი: ხაჩირაშვილი, ჯავახაძე (ფრანგიშვილი 60), ბურნაძე, ლ. ქობულაძე, მახვილაძე, ძაგნიძე, ვოსკანოვი, გ. კილასონია, გიორგობინანი, მ. ჯინჭარაძე, სუხიაშვილი (ახალაძე 77)
სათადარიგონი: ბობოხიძე; კობერიძე, დარსაძე, გ. ჯანელიძე, ლ. გიორგაძე
მერანი: ლომაია, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, ჭინჭარაული, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი (დანელია 80), ჩუხუა (დევიძე 86), გ. კვეტენაძე (დ. ჭელიძე 84), ხუციშვილი, ს. დავითაშვილი
სათადარიგონი: კოროშინაძე; თოლორდავა, ცქიფურიშვილი
გაფრთხილება: ალადაშვილი (21), ვოსკანოვი (21), ძაგნიძე (33), ასპინძელაშვილი (44), ჩუხუა (48), ფრანგიშვილი (75)
მსაჯები: გ. ასკაროლი (ქარელი); ვ. ელოევი (ცხინვალი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

ქუთაისი
28 თებერვალი
15 საათი
გივი კიღლაძე
5 000 (ტევადობა 23 800)

ტორპედო 1:0 თსუ

1:0 მეგრელაძე (84)
ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი, ჩხაბერიძე, ხვადგიანი, მალლაკელიძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი, მაზანაშვილი (კ. კვეტენაძე 46), დ. ჯანანია, მეგრელაძე, იოანნიძე
სათადარიგონი: სტურუა; ვაჩიბერაძე, კ. მეტრეველი, კ. ჯანანია, იმედაძე, თურმანიძე
თსუ: გაბელია, გ. ილურიძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ზამთარაძე, ნინუა, მაღრაძე (დეკანოსიძე 68), მ. მესხი (გონჩაროვი 82), ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
სათადარიგონი: მერლანი; ინწკირველი, ბუკია, თოლორაია, სვანაძე
გაფრთხილება: ჩხეტიანი (26), ილურიძე (67), კვეტენაძე (72), ჭუმბურიძე (81)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ს. კახიანი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); დ. გოგოლაძე (ბორჯომი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ლანჩხუთი
28 თებერვალი
15 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
550 (ტევადობა 22 000)

გურია 1:1 სიონი

0:1 კვეკვესკირი (2ს.კ.), 1:1 კვეკვესკირი (29)
გურია: ნიკურაძე, თ. ჩხაიძე, ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, ფირცხალაიშვილი, ჭიაბრიშვილი (გულორდავა 71), შავშიშვილი, სვანიძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე, ძოძუაშვილი
სათადარიგონი: გოგუა; ბოლქვაძე, მაჩიტიძე, ბერძენიშვილი
სიონი: დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ლ. ამბიძე, მ. სამხარაძე (ლ. გაგუა 39), ჩალაძე, გოგოლაძე, ე. ჯაფარიძე, სულთანოვი, მოსეშვილი
სათადარიგონი: თ. სამხარაძე, დ. ჯაფარიძე
გაფრთხილება: მახარაძე (35), გოდერძიშვილი (36), ჯაფარიძე (59), ძოძუაშვილი (68)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ს. შალამბერიძე, მ. მაისურაძე; კ. თბილელი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. მიმინოშვილი

გორი
28 თებერვალი
15 საათი
ცენტრალური
2 500 (ტევადობა 8 230)

დილა 3:0 გორდა

1:0 აკოფიანი (54), 2:0 მინდიაშვილი (71), 3:0 სულთანაშვილი (85)
დილა: სოღოლაშვილი, ფეზუაშვილი, ხ. გაგნიძე, ვლ. სამხარაძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი (ხიხალაშვილი 82), ციცქიშვილი, რ. ახალკაცი (სულთანაშვილი 76), მ. მინდიაშვილი (არუთუნიანი 78), შატაკაშვილი
სათადარიგონი: თ. ილურიძე; ლომიძე, გუდურაშვილი, კარელიძე
გორდა: მ. ქორიძე, კეფელაშვილი, ბექაური, სიდამონიძე, მ. სახვაძე, ტარტარაშვილი, მ. მელაძე, ზირაქაძე, ლაბაძე (სიმონიშვილი 63), ლ. ალადაშვილი, (მიშველიძე 58), კალმახელიძე (ინასარიძე 54)
სათადარიგონი: ბედიაშვილი; კ. ჩიგოშვილი, ბერიძე, მენთეშაშვილი
მსაჯები: ს. კვარაცხელია, კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), თ. გიორგაძე (სამტრედია), ა. ნონიკაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

სამტრედია
28 თებერვალი
15 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 500 (ტევადობა 14 000)

იბერია 0:0 ოდიში

იბერია: გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, გეგეშიძე, ი. გიგიაძე, თოდუა, ვარდიაშვილი, ხუჭუა, ვ. გიგიაძე (გ. ლურსმანაშვილი 46), ივეჩიანი (ფილიპაშვილი 79), მუმლაძე
სათადარიგონი: ვარდანიძე; ნ. გიორგაძე, ფხაკაძე, მესიანჩენკო
ოდიში: ნაყოფია, ღურნკაია, კ. კვეკვესკირი, აფაქიძე, ჯავაშვილი, აკობია, ტაბაღუა (ცაცუა 90), კუტალია (ალანია 79), მარკოზია, ვახანია (გოგოხია 46), გვიჩია
სათადარიგონი: გოგია; მუბონია, ჭურღულია
გაფრთხილება: ხუჭუა (12), ტაბაღუა (18), გეგეშიძე (18), ქველაძე (53), მარკოზია (56)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ხუციშვილი, ლ. სილაგავა; ა. ქარქაშაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

მცხეთა
1 მარტი
15 საათი
არმაზი
1 200 (ტევადობა 3 000)

ვიტ ჯორჯია 0:0 ბათუმი

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ჭოხონელიძე, ვ. მაისურაძე, ქემოკლიძე, ერაძე, ი. კაპანაძე (დ. დოლიძე 87), ზ. გვაზავა, კ. ალადაშვილი, ვ. გოჩაშვილი, გ. გვაზავა (გვერჯიშვილი 81), გიორგი ქორიძე
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ნოზაძე, თ. ბოკერია, მაზიაშვილი, ვ. ქუთათელაძე
ბათუმი: ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, მინდაძე, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, მაქაცარია, რუსია
სათადარიგონი: მალაყმაძე; ვერემჩუკი, აფხაზავა, თორლაშვილი, კანტიძე, გადელია, რომანაძე
გაფრთხილება: ერაძე (18), ზ. გვაზავა (43)
მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); გ. ცირდავა (გულრიფში), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

ბომბარდირები

15 - აშვეთია	*დინამო*
13 - იონანიძე	*ტორპედო*
11 - ფიფიფიაძე	*ლოკომოტივი*
9 - კაიდარაშვილი	*დილა*
დ. მახარაძე	*გურია*
8 - ალექსიძე	*დინამო*
ე. გვასალია	*კოლხეთი*
ხომერიკი	*დინამო*
დ. ჯანაშია	*ტორპედო*
7 - ზირაქიშვილი	*არსენალი*
მაჭუტაძე	*ბათუმი*
მეგრელაძე	*ტორპედო*

XVII ტური

4 მარტი. ხუთშაბათი
თსუ — გურია (0:2)
5 მარტი. პარასკევი
კოლხეთი — ტორპედო (1:5)
სიონი — დილა (0:2)
გორდა — სამგურალი (0:1)
მერანი — დინამო (1:5)
ოდიში — ლოკომოტივი (0:3)
ბათუმი — იბერია (1:3)
6 მარტი. შაბათი
ვიტ ჯორჯია — არსენალი (0:0)
ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

სიმბოლური ნაკრები

	მიხეილ აშვეთია (*დინამო*)	მიხეილ ხუციშვილი (*მერანი*)	
რატი ალექსიძე (*დინამო*)	გიორგი კილასონია (*სამგურალი*)	შოთა ჩოგაძიძე (*დინამო*)	გენადი კაციაშვილი (*ლოკომოტივი*)
ვახტანგ აკოფიანი (*დილა*)	გიორგი დავითნიძე (*მერანი*)	ირაკლი ვაშაკიძე (*დინამო*)	ბადრი ახვლედიანი (*ტორპედო*)
გუნდი კოლხეთი	მამუკა გვასალია (*კოლხეთი*)	*მწვრთნელი* გია ტყებუჩავა *კოლხეთი*	

№	#	სულ თ	სულ მ	სულ ფ	სულ წ	სულ ბ	სულ ს	სულ ქ	შინ თ	შინ მ	შინ ფ	შინ წ	შინ ბ	შინ ს	შინ ქ	სტუმრად თ	სტუმრად მ	სტუმრად ფ	სტუმრად წ	სტუმრად ბ	სტუმრად ს	სტუმრად ქ
1 დინამო (1)	1	16	13	3	0	57:9	+48	42	8	7	1	0	37:7	+30	22	8	6	2	0	20:2	+18	20
2 ტორპედო (4)	2	16	12	2	2	43:14	+29	38	8	7	1	0	25:5	+20	22	8	5	1	2	18:9	+9	16
3 კოლხეთი (3)	3	16	8	4	4	35:26	+9	28	8	7	1	0	24:6	+18	22	8	1	3	4	11:20	-9	6
4 ლოკომოტივი (6)	4	16	6	10	0	19:7	+12	28	8	3	5	0	9:3	+6	14	8	3	5	0	10:4	+6	14
5 დილა (9)	6	16	7	4	5	24:21	+3	25	8	5	1	2	15:7	+8	16	8	2	3	3	9:14	-5	9
6 ბათუმი (2)	5	16	6	7	3	23:14	+9	25	8	4	3	1	15:5	+10	15	8	2	4	2	8:9	-1	10
7 მერანი (7)	9	16	4	8	4	15:17	-2	20	8	2	5	1	5:2	+3	11	8	2	3	3	10:15	-5	9
8 იბერია (დ)	7	16	5	4	7	26:31	-5	19	8	3	3	2	15:10	+5	12	8	2	1	5	11:21	-10	7
9 არსენალი (დ)	8	16	4	6	6	20:32	-12	18	8	1	4	3	11:18	-7	7	8	3	2	3	9:14	-5	11
10 ოდიში (5)	10	16	5	2	9	12:25	-13	17	8	3	1	4	8:13	-5	10	8	2	1	5	4:12	-8	7
11 სიონი (13)	11	16	4	4	8	16:33	-17	16	8	3	3	2	11:9	+2	12	8	1	1	6	5:24	-19	4
12 გორდა (11)	12	16	3	7	6	12:21	-9	16	8	2	4	2	6:10	-4	10	8	1	3	4	6:11	-5	6
13 ვიტ ჯორჯია (10)	13	16	5	3	8	15:17	-2	15	8	3	1	4	9:9	0	10	8	2	2	4	6:8	-2	8
14 სამგურალი (12)	14	16	4	2	10	14:33	-19	14	8	3	0	5	7:12	-5	9	8	1	2	5	7:21	-14	5
15 თსუ (8)	15	16	3	4	9	14:23	-9	13	8	1	2	5	9:14	-5	5	8	2	2	4	5:9	-4	8
16 გურია (14)	16	16	3	2	11	18:40	-22	11	8	3	1	4	13:14	-1	10	8	0	1	7	5:26	-21	1

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში ! — ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

იოჟეფ საბო: საფრანგეთის დამარცხების ძალა შეგვწევს

— სპეციალისტებსაც და გულშემატკივრებსაც ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, რომ უკრაინის ნაკრებმა ევრო 2000-ის შესარჩევი პირველი სამი მატჩი იოლად მოიგო...

— მიუხედავად იმისა, რომ დასახულ მიზანს მივაღწიეთ, პრობლემები მაინც გვქონდა. ქულების მაქსიმალური რაოდენობა დავაგროვეთ და თან კარგი ფეხბურთიც ვაჩვენეთ, მაგრამ მაინც უკმაყოფილო დავრჩი. რაღაც გვაკლდა. თუ ამხანაგურ თამაშებში ახალი ფეხბურთელების კიევის დინამოელებთან შეთამაშებას ვცდილობდით, ოფიციალურ მატჩებში საკუთარი თავისთვის ექსპერიმენტების ჩატარების უფლება აღარ მიგვიცია, რამაც მშვენიერი შედეგი მოგვცა. თუმცა ჯერ კიდევ არაფერია გადაწყვეტილი, მთავარი ორთაბრძოლები წინაა და არ უნდა მოვდუნდეთ.

— ალბათ, არ შეგცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ სამი თამაშიდან ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი რუსეთთან შეხვედრა იყო. როგორც სპორტული, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. შეგიძლიათ, მშვიდად გაიხსენოთ ის მატჩი?

— ნამდვილად, ეს, ალბათ, მთელ შესარჩევ ციკლში განსაკუთრებული მატჩი იყო. აჟიოტაჟი კენჭისყრის დღიდანვე დაიწყო, როცა უკრაინელებმა გაიგეს, რომ მათ ჯგუფში რუსეთი მოხვდა. იმხელა ტვირთი გვაწვა მხრებზე, რომ არ მოგვეგო, მორალურად გავტყდებოდით. საბედნიეროდ, ეს ფსიქოლოგიური ბარიერი გადავლახეთ და გავიმარჯვეთ.

— ამ წარმატებაში თავისი წვლილი დინამოელებთან ერთად სხვა კლუბების ფეხბურთელებმაც შეიტანეს — პოპოვმა, სკაჩენკომ, კოვალიოვმა, მიკიტინმა...

— რუსებთან პოპოვის, სკაჩენკოს და მიკიტინის ძირითადში დაყენება ადრევე იყო გადაწყვეტილი, კოვალიოვმა კი მატჩი შემთხვევით დაიწყო. მოთელვის დროს სერიოზული ტრავმა მიიღო კოსოვსკიმ და ჩვენც იძულებული გავხდით, შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე იგი კოვალიოვით შეგვეცვალა. ასე რომ, თამაში ოთხი არადინამოელით დავიწყეთ, რაც საკმაოდ მაღელვებდა. ჩვენდა სასიხარულოდ, ოთხივემ ძალიან კარგად ითამაშა.

— მატჩის შემდეგ რუსების მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა თქვა, რომ იცოდა, როგორ ითამაშებდა უკრაინის ნაკრები...

— რაც უნდა ეთქვა, ფაქტი ერთია: რუსეთს ყველანაირად ვაჯობეთ — ტაქტიკურადაც და ფიზიკურადაც. ბიშოვეცმა არაფერი იცოდა! ამის დასტურია ისიც, რომ მან სამი ცენტრალური მცველი გამოიყვანა, რომლებმაც პერსონალურად, ერთი ერთზე თამაში კარგად იცოდნენ. ჩვენ კი ისინი მოედნის შუაგულში ამოვიტყუეთ, სადაც ველარაფერს აკეთებდნენ. პირველ ტაიმში ორი გოლი გავიტანეთ, მეორეში კი ინიციატივა შეგნებულად დავთმეთ, რათა კონტრშეტევებზე გვეთამაშა. სამი-ოთხი ბურთის შეგდება კიდევ შეგვეძლო, მაგრამ მშვენიერი მომენტები გავაცუდეთ. ერთი სიტყვით, „უფროს ძმებზე" უკეთ ვითამაშეთ და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ.

— რუსების მერე ანდორელებს და სომხებსაც იოლად მოუგეთ, თუმცა ზოგი თვლის, რომ ჯგუფის აუტსაიდერებთან მეტი გოლი უნდა გაგეტანათ. რატომ ვერ შეძელით ეს?

— დღეს სუსტი მოწინააღმდეგეები აღარ არსებობს, ამიტომაც ანდორაში და შინ სომხეთთან 2:0 მოგებები საკმაოდ ნორმალური შედეგებია (და საქართველოსთან 4:0? გ.გ.). ამ თამაშებში ჩვენთვის მთავარი ის იყო, ბიჭები არ დაშავებულიყვნენ.

— ამ მატჩებში უკრაინის სუსტი მხარე, კერძოდ ნახევარდაცვა, გამოჩნდა.

— შუა ხაზი ერთგვარად გუნდის სახეა. რაც შეეხება ჩვენს ნახევარდაცვას, ვერ ვიტყოდი, რომ ეს რგოლი სხვებზე უარესად ირჯება. უკრაინას ნაკრებში შეტევის და დაცვის კარგი მცოდნე ნახევარმცველები ჰყავს. უბრალოდ, ისინი, ალბათ, იმ პერიოდში საუკეთესო ფორმაში არ იყვნენ და ჩვეულად ვერ ითამაშეს, მაგრამ ეს დროებითი ჩავარდნა იყო. მომავალში ასეთი რამ აღარ განმეორდება.

— და მაინც, უკრაინას იური კალიტვინცევის მსგავსი ნახევარმცველი აღარ ჰყავს. მას მშვენივრად შეეძლო მატჩის წარმართვა. ახლა კი გამთამაშებელი გაკლიათ.

— კი, იურის დიდებულად შეუძლია გუნდის დირიჟორობა, მაგრამ ბოლო დროს უწინდებურად ველარ თამაშობდა. ვერ გამეგო, რა ამბავი იყო მის თავს. რამდენჯერმე გავესაუბრე და მივხვდი, რომ „დინამოს" ძირითადში ადგილის დაკარგვას დაეთრგუნა. ახლა იმედი მაქვს, თურქეთში ძველებურად ათამაშებდნენ და კვლავ დაამტკიცებს, რომ ნაკრებში ყოფნის ღირსია.

— შევჩენკოს თამაში თუ გაკმაყოფილებთ?

— ანდრეი ბრწყინვალე ფეხბურთელია, მაგრამ ისიც ხომ ადამიანია. ამიტომ არ შეიძლება მისგან ყოველ შეხვედრაში უმაღლეს დონეზე თამაში მოვითხოვო. სხვა მხრივ, სასაყვედურო არაფერი მაქვს.

— სამი მატჩი მოიგეთ. შესარჩევი ციკლის გაგრძელებისთვის როგორ ემზადებით?

— მეტად ინტენსიურად. ისრაელში გავლილი შეკრების შემდეგ 20 მარტს საქართველოს ნაკრებს გაეჯიბრებით თბილისში, რათა 27 მარტს „სტად დე ფრანსზე" საფრანგეთის წინააღმდეგ სათამაშო შემადგენლობა საბოლოოდ დავადგინოთ.

— ამ თამაშზე ყველა სასურველი ფეხბურთელის ყოლას თუ მოახერხებთ?

— გაგვჭირდება, თუმცა იმედი მაინც მაქვს. გამორიცხული არაა, რომ იმ ბიჭებმა, რომლებსაც 22-ში თავიანთი კლუბების სახელით ჩემპიონატის მატჩები უნდა ჩაატარონ, თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხონ. ამიტომ უცხოეთში მოასპარეზე უკრაინის ნაკრების კანდიდატებს ცალკე დავაკვირდებით და თუ სასურველ ფორმაში იქნებიან, მოვიწვევთ კიდეც მსოფლიოს ჩემპიონების წინააღმდეგ სათამაშოდ. ხოლო თუ ისინი ჩვენს მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ, მათ გარეშეც იოლას გავალთ. არსებობს კიდევ ერთი პრობლემა ლეგიონერებთან დაკავშირებით — გუნდის სახე ამხანაგურ მატჩებში უნდა გამოიკვეთოს, ხოლო ლეგიონერებს თავიანთი კლუბები ძნელად ელევიან არაოფიციალური შეხვედრებისთვის. ამიტომ მათი სხვებთან შეთამაშება საკმაოდ გვიძნელდება, რის გამოც ისევ უკრაინის ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებზე გვიწევს დაყრდნობა.

— ოფიციალურად უკრაინის ნაკრები გუნდების მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკია. რა გავლენა აქვს მას ქვეყნის პირველ გუნდზე ამ კონკრეტული მატჩისთვის, ვინ არჩევს ნაკრების შემადგენლობას?

— მე მგონი, ძალიან გამიმართლა, რომ ვალერი ლობანოვსკისდარ ადამიანთან მიწევს მუშაობა. მის მსგავსად ფეხბურთელების მომზადება უკრაინაში კი არა, ალბათ, მთელ ევროპაშიც სხვას არავის შეუძლია. ჩვენ ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს, ფაქტობრივად, ერთად ვმუშაობთ. შემადგენლობასაც ერთად ვადგენთ. შეიძლება იგი სხვანაირად ხედავდეს, მე კი სხვანაირად, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას მთელი პასუხისმგებლობა მე მეკისრება. „უფროსი მწვრთნელი შენ ხარ, შედეგზე პასუხს შენ აგებ. ასე რომ, კეთილი ინებე, კარგად დაფიქრდი და გადაწყვიტე" — მეუბნება ხოლმე მას შემდეგ, რაც თავის რჩევებს გამაცნობს. არასოდეს შემრცხვება იმის თქმა, რომ ლობანოვსკისგან ბევრს ვსწავლობ, რადგან ის დაახლოებით ოცდაათი წელია, სხვადასხვა გუნდში მუშაობს და ბრწყინვალე შედეგებსაც აღწევს.

— ჩვენი ნაკრებისთვის 1999 წელი საკმაოდ დაძაბული იქნება, მან გადამწყვეტი მატჩები უნდა გამართოს. ჯგუფიდან გასვლის რა შანსი აქვთ უკრაინისა და სხვა ნაკრებებს.

— მეუბნებიან, რომ ჯგუფში პირველ ადგილზე უნდა გავიდეთ. ხოლო ის ავიწყდებათ, რომ ამისთვის მსოფლიოს ჩემპიონებს, პლანეტის საუკეთესო ნაკრებს უნდა ვაჯობოთ. ემე ჟაკემ მშვენიერი გუნდი შექმნა, მისი ყველა წევრი — ფეხბურთელებიდან დაწყებული, მომსახურე პერსონალით დამთავრებული — ერთ მიზანს ემსახურება. ემე ჟაკე ნაკრებიდან წავიდა, მაგრამ გუნდი დარჩა, რადგან იგი დიდებული პროფესიონალის შექმნილია. მასთან ბრძოლა ძლიერ გაგვიჭირდება. ვფიქრობ, სწორედ ჩვენ ორნი დავიკავებთ პირველ-მეორე ადგილებს, ხოლო ვინ წინ იქნება და ვინ უკან, ამის თქმა ფრიად მიძნელდება. ერთს კი ახლავე ვიტყვი — ყველაფერს გავიღებთ, თავდადებულად ვიბრძოლებთ, რათა მსოფლიოს ჩემპიონებს ვაჯობოთ. ამის ძალა კი, მგონი, შეგვწევს და ვეცდებით მალე დავამტკიცოთ.

უკრაინული ФУТБОЛ-იდან თარგმნა გაგი გურულმა

შინიკი უქართველებოდ

საბჭოური ხანიდან კარგად ნაცნობმა იაროსლავლის „შინიკმა" მარშან ერთხელაც შეგვახსენა ქართველებს თავი. რუსული უმაღლესი დივიზიონის ამ აუტსაიდერ კლუბს ქართველმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა შეუნარჩუნა ადგილი უძლიერესთა შორის. მერე კი ყიფიანი ბელგიური მესამე ლიგის „რასინგ მეხელენს" ჩაუდგა სათავეში, მაგრამ ახლა ამაზე როდი მოგახსენებთ.

წლეულს „შინიკი" უქართველოდ მაინც არ უნდა დარჩენილიყო. გუნდი ახალი სეზონისთვის ქართველ მოთამაშეთა დიდმა მოყვარულმა ალექსანდრ ავერიანოვმა მოამზადა. ავერიანოვი შარშან სამარის „კრილია სოვეტოვს" წვრთნიდა და „შინიკში" წასვლისას თან ერთი ქართველი, ახალგაზრდული ნაკრების მარჯვენაფლანგელი გიორგი რევაზიშვილი იახლა. „შინიკის" თავკაცს გიგლა იმნაძის გუნდიდან კიდევ ერთი მცველის, გიორგი დავითნიძის გადაბირება სურდა.

— ბევრი მოთამაშე მინახავს, ერთი შეკრებისას სპორტულ ფორმას საგრძნობლად რომ იუმჯობესებს, მაგრამ დავითნიძის დარი პროგრესი ჯერ არავისთვის შემინიშნავსო — უთქვამს ალექსანდრ ავერიანოვს.

დავითნიძის თაობაზე მოლაპარაკება იაროსლავლელებსა და თბილისის „მერანს" შორის ჩაიშალა, რადგან მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმებულან.

ჩვენი ინფორმაციით, „შინიკში" საქმეები არეულა, თანაც ისე, რომ ავერიანოვს იაროსლავლში გული აღარ დაუდგა და გიორგი რევაზიშვილიც სამარაში აპირებს გაბრუნებას.

ვახტანგ გზიკაძე

ფოცხვერია თამაშობს, აგებს, იგებს

კვიპროსზე მყოფი დონეცკის „შახტიორი" აგრძელებს თავის მზადებას უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრისთვის. უკრაინელების წინა თამაშების შესახებ „სარბიელი" უკვე იუწყებოდა, 26 და 27 თებერვალს კი „შახტიორმა" მორიგი შეხვედრები გამართა პოლტავის „ვორსკლასთან" და კალინინგრადის „ბალტიკასთან". ჩვენებურმა მიხეილ ფოცხვერიამ ორივე მატჩი ითამაშა, ოღონდ, ორივე არასრულად, თუკი პირველ შეხვედრაში „ვორსკლასთან" მიშა მეორე ნახევარში შეიყვანეს დანჩენკოს ნაცვლად, „ბალტიკასთან" ძირითად შემადგენლობაში დააყენეს და 46-ე წუთზე შეცვალეს.

აქამდე „შახტიორმა" ყველა შეხვედრაში წარმატებას მიაღწია. უკრაინის მეორე გუნდს არც „ვორსკლასთან" შეურცხვენია თავი, 1:0 გაიმარჯვა და საგოლეებიც მრავლად ჰქონდა. აი, კალინინგრადელებთან ვერ გააწყვეს ვერაფერი უკრაინელებმა — 33-ე და 34-ე წუთებზე მეტოქის კონტრშეტევებზე წამოეგნენ და ორი გოლიც გაუშვეს.

„შახტიორის" მწვრთნელები მთლიანად გუნდის კმაყოფილი კი არიან, ეგ არის საგოლე მომენტებს ვერ ვიყენებთო, წუწუნებენ. ალბათ აქედან გამომდინარეობს დონეცკელთა გუნდის თავდასხმაში ხშირი ექსპერიმენტები — შტოლცერსი, ფოცხვერია, ვორობი, ტრანოვი, დანჩენკო ხშირად კი ენაცვლებიან ერთმანეთს, მაგრამ მწვრთნელ იარემჩენკოს გული ბოლომდე მაინც ვერ მოიგეს.

მომდევნო შეხვედრას ფოცხვერიას გუნდი 2 მარტს გამართავს კვიპროსულ სპორტკომპლექს „ალფა-სპორტში". ამჯერად მათი მეტოქე ელისტის „ურალანი" იქნება. მოგეხსენებათ, „ურალანი" რუსეთის უმაღლესი დივიზიონის ბინადარია.

კონსტანტინე გოგიშვილი

ქართულ ფრთას სამკლაური შეაბეს



ბადრი ჯეთილაძის ფოტო

ფოფხაძე „კრილიას" უკაპიტნებს

სამარის „კრილია სოვეტოვის" მარჯვენა მცველად უკვე სამი წელია, თამაშობს ყოფილი გორდელი ზურაბ ფოფხაძე. იგი ნოემბერში საქართველოს ნაკრებშიც გამოსცადა ვლადიმერ გუცაევმა ესტონეთთან 3:1 მოგებულ მატჩში.

„კრილია სოვეტოვს" რუსეთის წლევანდელ ჩემპიონატში ალექსანდრ ტარხანოვი გაწვრთნის, რომელიც ახალ გუნდში ჩვეულებისამებრ კარგად ნაცნობ მოთამაშეთა დიდი ჯგუფით მივიდა.

ახალ გუნდს ახალი გუნდისთავი სჭირდებოდა და „კრილიას" თავკაცობას, ფანობას და სამარის საზოგადოებრიობას გაფართოებულ კრებაზე საუკეთესო ვარიანტად ზურაბ ფოფხაძის კაპიტნობა მიუჩნევია.

სამარელთა ასეთი დიდი ნდობა გასაკვირად დარჩენია ალექსანდრ ტარხანოვს, რომელსაც, იმედია, ქართველი მცველი მალე დაარწმუნებს საკუთარ სიძლიერესა და გამოცხადებული ნდობის მართებულობაში.

ვახტანგ გზიკაძე

კვეტენაძე ფახთაქორში

თბილისის „მერანის", მანამდე კი „ლოკომოტივის" ნახევარმცველი გიორგი კვეტენაძე საქართველოდან წასვლას ეშურება. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ უმოკლეს გზად კი მას უზბეკური ტაშკენტის „ფახთაქორში" თამაში მიაჩნია.

— ფინანსურ გასაჭირს რა ვუთხრა, თორემ ასეთ დროს „მერანის" მიტოვება ნამდვილად მენანებაო — თქვა გიორგიმ.

კვეტენაძე უზბეკებს ფინანსურ საკითხებზე ერთ კვირაში მოელაპარაკება. იგი ტაშკენტს დღეს გაფრინდა და 5 მარტს „მერანს" „დინამოსთან" მატჩში ვერ დაეხმარება.

ვახტანგ გზიკაძე

იურის დღეების დღიური

მეორე წრის პირველი ტური მიილია. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ეს ფრაზა იმასაც გულისხმობს, რომ სატრანსფერო სეზონიც დაიხურა.

ადრე მეფის რუსეთში იყო პერიოდი, როცა ყმას ბატონის გამოცვლა შეეძლო. იმ ხანას იურის დღეებად მოიხსენიებენ რუსეთში, რადგანაც ეს კანონი მეფე იური რიურიკის ზეობისას დამკვიდრდა.

სატრანსფერო სეზონიც რაღაც მაგდაგვარია. ფეხბურთელს გარკვეული დროის მანძილზე შეუძლია, ერთ კლუბს მეორე ანაცვალოს. თუ სატრანსფერო დღეებში მოთამაშემ გუნდის გამოცვლა ვერ მოასწრო, მერე კარგა ხანს ცდა მოუწევს. ეს მიღებული წესია საფეხბურთო სამყაროში და მას ყველა ცივილიზებული ქვეყანა იცავს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, წესისა და რიგის მიხედვით, ტრანსფერები 20 თებერვალს აკრძალა. იმ დღიდან გუნდიდან გუნდში გადასვლა აღარ შეიძლებოდა, მაგრამ...

ქვემოთ ქართულ სატრანსფერო პოლიტიკის ნაყოფს ამ მოგთავაზებთ, თუმცა თუ ფეხბურთელთა მიგრაცია კიდევ გაგრძელდა, ნურც გაგიკვირდებათ და ნურც შეიცხადებთ.

ჩვენ ხომ ქართველები ვართ და არც მტერ-მოყვარე გვეშლება.

გუნდები	წავიდნენ	მოვიდნენ	თამაშები
დინამო *მურთაზ ხურცილავა*	სოღოლაშვილი („დილა“), ჯელაძე („სოკოლი“, სარატოვი, რუსეთი), ი. მახარაძე („ბათუმი“), ცქიტიშვილი, კობიაშვილი (ორივე „ფრაიბურგი“, გერმანია), დ. მუჯირი („ნიუ იორკ მეტროსტარზი“, აშშ), ქემოკლიძე („ვიტ ჯორჯია“), ზ. არჩვაძე, გოგობერიშვილი (ორივე „ლოკომოტივი“), კიკნაძე, ხომერიკი (ორივე „რასინგ მეხელენი“, ბელგია), დიდავა („ტორპედო“)?, გ. შენგელია („სამგურალი“)?, ბ. შენგელია („?“)	ბათიაშვილი, წიტაიშვილი (ორივე თსუ), ვაშაკიძე, პ. ჯინჭარაძე, ქებაძე (ყველა „ტორპედო“), ჩომახიძე („იბერია“), ტულუში („ბათუმი“), ა. მუჯირი („ჰაპოელი“, იერუსალიმი, ისრაელი), მ. მაჭავარიანი, მიხეილ ასათიანი (ორივე ტრავმის გამო არ თამაშობდა), ხიზანეიშვილი, რუხაძე, საჯაია, აბრამიძე, გ. მიქაძე (ყველა „დინამო 2“)	ვიტ ჯორჯია 3:0, 0:1; დინამო 2 2:1; სამგურალი 1:0; ოდიში 2:1; მერანი 1:0, 1:1; ცხუმი 4:1; თსუ 2:0; კაუნასი (ლიტვა) 0:2; სპარტაკი (მ, რუსეთი) 1:4; დნეპრტრანსმაში (ბელარუსი) 3:5; ლიერსი (ბელგია) 1:0; ვესტერლო (ბელგია) 3:0; ლომელი (ბელგია) 0:3; ააესტი (ბელგია) 1:0
ტორპედო *ჯემალ ხერხაძე*	პ. ჯინჭარაძე, ვაშაკიძე, ქებაძე (ყველა „დინამო“), ყიფიანი („არისი“, საბერძნეთი), მამარდაშვილი („ვიტ ჯორჯია“), გ. ჩხაიძე („ალანია“, რუსეთი)	მაზანიშვილი („სიონი“), კ. ჯანაშია, სტურუა (ორივე „სამგურალი“), ხვადაგიანი („ალანია“, რუსეთი), ახვლედიანი („კოლხეთი“), კვერნაძე („ტორპედო 2“), კიკლიაშვილი („ნეფტეხიმიკი“, რუსეთი)?, დიდავა („დინამო“)?	ფენდიქსფორი (თურქეთი) 0:0; მეტალურგი (მარიუპოლი, უკრაინა) 0:3; ანჟი (მახაჩყალა, რუსეთი) 1:0; დობრუჯა (ბულგარეთი) 0:0; სამგურალი 3:0; მარგვეთი 1:0
კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	წივწივაძე („ლოკომოტივი“), გაბისონია („მერანი“ ან პოლონეთი?), დ. ნოზაძე („მარგვეთი“), გიორგობიანი, სუხიაშვილი (ორივე „სამგურალი“), ახვლედიანი („ტორპედო“), ქუტიძე („ბათუმი“), ქვაჩახია („სოკოლი“, სარატოვი, რუსეთი)	გ. გიორგაძე, ბულუხია (ორივე „გურია“), მ. გვასალია (თამაში მიტოვებული ჰქონდა), ანჯაფარიძე, ჩადუნელი (ორივე „ოდიში“), ებრალიძე (თსუ), ამაშუკელი („იბერია“), ბურკვაძე, ჩაგანავა (ორივე „ფაზისი“)	ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 1:4; კრემენეცი (სოფია, ბულგარეთი) 1:1; სტალი (ალჩევსკი, უკრაინა) 1:4; ნესებრი (ბულგარეთი) 2:3; კონსტრუქტორული (კიშინიოვი, მოლდოვა) 0:0; ოდიში 2:2
ლოკომოტივი *თემურ მახარაძე*	ერაძე, გიორგი ქორიძე (ორივე „ვიტ ჯორჯია“), კ. გოგოლაძე, დაუშვილი (ორივე „ზიმბრუ“ ან „შერიფი“, მოლდოვა), თარხნიშვილი, არსოშვილი (ორივე „შერიფი“, მოლდოვა), ქველაძე („იბერია“), მ. მინდიაშვილი („დილა“), ახალაძე („სამგურალი“), ძოძუაშვილი („გურია“), ლ. ამბიძე („სიონი“), კვიტატიანი („?“)	ზ. არჩვაძე, გოგობერიშვილი (ორივე „დინამო“), ვ. კილასონია, ქოიავა (ორივე „გორდა“), წივწივაძე („კოლხეთი“), შ. ხუჯაძე („ნივა“, ტერნოპოლი, უკრაინა), ნ. მელაძე („?“)	ზოოვეტი 5:0; სიონი 5:1, 1:0; არსენალი 2:2; თსუ 5:1; დილა 2:1, 4:0; ვიტ ჯორჯია 3:3; ღარწყალი 2:1
ბათუმი *შოთა ჭეიშვილი*	ტულუში („დინამო“), გოგიტაძე (თსუ)?	ი. მახარაძე („დინამო“), ქუტიძე („კოლხეთი“), გუჯაბიძე („ოსტროვიეცი“, პოლონეთი)	არდაშადსფორი (თურქეთი) 1:0; პაზარსფორი (თურქეთი) 0:1; კოლეჯი 3:2, 5:1, 4:1, 6:1
დილა *ივანე თაყაძე*	კაიდარაშვილი („ნივა“, ტერნოპოლი, უკრაინა), თაყაძე („?“, რუსეთი), ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (ორივე „?“)	სოღოლაშვილი („დინამო“), მ. მინდიაშვილი („ლოკომოტივი“), ლომიძე („არსენალი“), ხიხალაშვილი (თამაში მიტოვებული ჰქონდა)	ლოკომოტივი 1:2, 0:4; ქარელი 8:0; ცხინვალი 0:0, 5:2
იბერია *სოსო ფრუიძე*	ჩომახიძე („დინამო“), ჩაჩუა („?“, გერმანია), ა. ლაბაძე, ქობესაშვილი (ორივე „თორი“), გ. ჭელიძე („კოლეჯი“), ბრეგვაძე, სადილიანი (ორივე „სულორი“), ამაშუკელი („კოლხეთი“), გ. დარასელია („ზაფრირიმი“, ისრაელი), ბაკურაძე („?“)	ფილიპაშვილი, ზ. ფხაკაძე (ორივე „სამგურალი“), ქველაძე („ლოკომოტივი“), ვარდანიძე („გურია“), ბანძელაძე („რიონი“), მალხაზ ასათიანი („ტორპედო 2“)	პრიკარპატიე (ივანო ფრანკოვსკი, უკრაინა) 1:2; ნივა (ვინიცა, უკრაინა) 0:0; კრივბასი (უკრაინა) 1:0; პოლესიე (უკრაინა) 0:0; ზირკა ნიბასი (უკრაინა) 3:1
არსენალი *მამუკა გეგეჭკორი*	ლ. კორღალიძე („სკონტო“, ლატვია), გემეზაშვილი („ურალანი“, ელისტა, რუსეთი)?, ფირცხალავა, მ. თევზაძე (ორივემ თამაში მიატოვა), ლომიძე („დილა“)	ირემაშვილი („მრეტები“), აბაზაძე, ცოტაძე (ორივე „ვიტ ჯორჯია“), კაკუბავა (თსუ), ვ. კაკაშვილი („დინამო 2“), თვალაბეიშვილი, კვირკველია (ორივე „?“)	ვიტ ჯორჯია 2:1, 1:0; ლოკომოტივი 2:2; დინამო 2 0:2; თსუ 5:2, 2:0; აკადემია 3:1; ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი) 0:3; ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:1
მერანი *სერგო გაბელაია*	მ. მესხი (თსუ), გეწაძე („მარგვეთი“), ნაჭყეპია („ღარწყალი“)	თოლორდავა („ოდიში“), ბ. ამბიძე („ჰაპოელი“, ქვარ სავა, ისრაელი), დ. ჭელიძე („სამგურალი“), ჩუხუა („გორდა“), გაბისონია („კოლხეთი“)?, კარიაული (პაკ, სალონიკი, საბერძნეთი), კოროშინაძე („გორდა“), ბერაია (ტრავმის გამო არ თამაშობდა)	ვიტ ჯორჯია 2:0, 2:2; გორდა 2:1; ცხუმი 3:1, 2:1; სიონი 0:0, 1:0; მრეტები 3:0; ოდიში 1:0; დინამო 0:1, 1:1; ღარწყალი 4:4
ოდიში *სოსო ჭედია*	კიპაროიძე („გორდა“), თოლორაია (თსუ), ენდელაძე („მარგვეთი“), თოლორდავა („მერანი“), ტყემალაძე („ივერია“), ჯაბუა („დაუგავა“, ლატვია), ჩადუნელი, ანჯაფარიძე (ორივე „კოლხეთი“), გლუნჩაძე („სამგურალი“), პ. ლურსმანაშვილი („?“)	ჯავაშვილი (თამაში მიტოვებული ჰქონდა), ვახანია („ენგური“), აკობია, გვიჩია, კალანდია, ალანია (ყველა „ოდიში 2“)	სამგურალი 2:0; დინამო 1:2; ვიტ ჯორჯია 0:1; მერანი 0:1; კოლხეთი 2:2
გორდა *იასონ ალადაშვილი*	კ. ალადაშვილი („ვიტ ჯორჯია“), ჩუხუა, კოროშინაძე (ორივე „მერანი“), ბურნაძე („სამგურალი“), ვ. კილასონია, ქოიავა (ორივე „ლოკომოტივი“), ლაშა სილაგაძე („სკონტო 2“, ლატვია), ი. ხუჯაძე (თსუ)	სიდამონიძე, კიპაროიძე (ორივე „ოდიში“), რ. მახარაძე („დინამო“, გაგრა), მ. მელაძე („გურია“), ბერიძე („სიონი“), კალმახელიძე („არსენალი 2“), ინასარიძე („მესხეთი“), სიმონიშვილი („აკადემია“), ოქროპირიძე („?“, საბერძნეთი), პ. მესხი (საუ), კ. ჩიგოშვილი („ლოკომოტივი 2“), ვ. მაჭავარიანი („?“, ისრაელი), კიტეიშვილი („ხალიბი“), მერებაშვილი, მიშველიძე (ორივე ტრავმის გამო არ თამაშობდა)	ხალიბი 4:1; ღარწყალი 3:1; მერანი 1:2; სიონი 4:1
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	ძნელაძე („?“, რუსეთი), ქობელაშვილი, პოზოიანი (ორივემ თამაში მიატოვა), კ. ჯაფარიძე („არსენალი 2“), ზ. მეტრეველი („ვიტ ჯორჯია“), მაზანიშვილი („ტორპედო“), ბერიძე („გორდა“), ვოლკოვი („?“)	შეყლაშვილი („მაღაროელი“), სულთანოვი (თსუ), ნადირაძე („კოლეჯი“), ისიანი („ტორპედო“, გორკი, რუსეთი)?, ტყავაძე („პანახაიკი“, ათენი, საბერძნეთი)?, ლ. ამბიძე („ლოკომოტივი“), ნ. ჩალაძე („მრეტები“), ხიდაშელი („იბერია“, თბილისი), ხარებაშვილი („ზოოვეტი“)	ზოოვეტი 1:1, 3:1; ლოკომოტივი 1:5, 0:1; გორდა 1:4; მერანი 0:0, 0:1; თსუ 1:4
ვიტ ჯორჯია *ჯემალ მახარაშვილი*	აბაზაძე, ცოტაძე (ორივე „არსენალი“), ზ. მენთეშაშვილი („სკონტო“, ლატვია), დვალიშვილი („სულორი“), პეტრიაშვილი („ტილიგული“, მოლდოვა), ენუქიძე („გურია“), კვიციანი („აკადემია“)	მამარდაშვილი („ტორპედო“), გიორგი ქორიძე, ერაძე (ორივე „ლოკომოტივი“), კ. ალადაშვილი („გორდა“), ხაბულიანი („აკადემია“), ქემოკლიძე („დინამო“), გვირჯიშვილი („მესხეთი“), მეტრეველი („სიონი“)	დინამო 0:3, 1:0; მერანი 0:2, 2:2; დინამო 2 0:1; არსენალი 1:2, 0:1; მრეტები 5:0; ოდიში 1:0; ლოკომოტივი 3:3; 16-წლამდე ნაკრები 1:0; ხალიბი 2:0
სამგურალი *გაიოზ დარსაძე*	კ. ჯანაშია, სტურუა (ორივე „ტორპედო“), ფილიპაშვილი, ზ. ფხაკაძე (ორივე „იბერია“), დ. ჭელიძე („მერანი“), ფაიქიძე („სულორი“), ი. ხაჭაპურიძე („მარგვეთი“), გ. თევზაძე (თამაში მიატოვა), კოლუაშვილი („?“, გერმანია), თევდორაძე, უგულავა (ორივე „?“)	ახალაძე („ლოკომოტივი“), ბურნაძე („სამგურალი“), გ. კილასონია („დნეპრი“, უკრაინა), ვოსკანოვი (მპკც, მოზირი, ბელარუსი), გიორგობიანი, სუხიაშვილი (ორივე „კოლხეთი“), გლუნჩაძე („ოდიში“), გ. შენგელია („დინამო“)?	ოდიში 0:2; დინამო 0:1; ტორპედო 0:3; მარგვეთი 3:1
თსუ *ოთარ გაბელია*	ბათიაშვილი, წიტაიშვილი (ორივე „დინამო“), კაკუბავა („არსენალი“), ბახტაძე („კოლეჯი“), ებრალიძე („კოლხეთი“), ცომაია („ღარწყალი“), სვანიძე, ნიკურაძე, ჭიაბრიშვილი (ყველა „გურია“), სულთანოვი („სიონი“), ო. სულაძე („?“)	ი. ხუჯაძე („გორდა“), მ. მესხი („მერანი“), თოლორაია („ოდიში“), გოგიტაძე („ბათუმი“)?, გონჩაროვი, შაშიაშვილი (ორივე „დინამო 2“)	ცხუმი 4:2; ზოოვეტი 3:0; ლოკომოტივი 1:5; არსენალი 2:5, 0:2; დინამო 0:2; სიონი 4:1; დინამო 2 0:0; აკადემია 5:1; 18-წლამდე ნაკრები 3:1; ღარწყალი 2:2
გურია *ავთანდილ ნარიაშვილი*	მ. მელაძე („გორდა“), ვარდანიძე („იბერია“), ბულუხია, გიორგაძე (ორივე „კოლხეთი“), დ. ჩიგოშვილი, ბუხრიკიძე, იობიძე, კავთელაძე, ჩიქვილაძე, კაკაჩია (ყველა „?“)	ნიკურაძე, ჭიაბრიშვილი, სვანიძე (ყველა თსუ), თ. ჩხაიძე, სადაღაშვილი, ბოლქვაძე, ავალიანი, შ. მახარაძე, შავშიშვილი, ვ. ჩიტაია (ყველა „ლოკომოტივი 2“), ძოძუაშვილი („ლოკომოტივი“), ლ. ჩხაიძე („არსენალი 2“), ბერძენიშვილი („კოლეჯი“), ენუქიძე („ვიტ ჯორჯია“), ფირცხალაიშვილი, იმნაიშვილი, მაჩიტიძე, კ. ნიკოლაიშვილი, ტ. კუკულაძე, რ. ჩხაიძე, გულორდავა (ყველა „?“)	

კარი ღიაა, ტერი

ტერი ვენეიბლზი

ტერი ვენეიბლზისთვის ინგლისის ნაკრების კარი ღიაა — არავინ ელოდა, რომ ამ სიტყვებს წარმოთქვამდა ის, ვინც საყოველთაოდ გახლდათ აღიარებული ვენეიბლზის მოწინააღმდეგედ. მას, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარეს, ნოელ უაითს, არასდროს სურდა, რომ თანამდებობა, რომელიც ერთი ხნის წინ გლენ ჰოდლს ეკავა, დღეს კი დროებით კევინ კიგანს ჩაბარებოდა, ტერი ვენეიბლზს დაბრუნებოდა.

ვენეიბლზი ევრო 96-ის მერე დაემშვიდობა ამ თანამდებობას. ორწლიანი შრომის შედეგად მან ინგლისის ნაკრები დიდი შეჯიბრების ნახევარფინალში გაიყვანა და გადადგა. ამბობენ (თავადაც უთქვამს), იმიტომ გადამდგარა, რომ უაიტთან ჰქონია ხშირი უთანხმოება. მაშინ, ცხელ გულზე, ისე ჩანდა, თითქოს ვენეიბლზი აღარასოდეს გაეკარებოდა ფეხბურთის ასოციაციის ოფისს.

მაგრამ, იმ ამბებიდან ორწელიწადნახევრის შემდეგ, უაიტმა განაცხადა, რომ მისი პირადი დამოკიდებულება ყოფილი მწვრთნელის მიმართ საქმესთან არაფერ შუაშია.

„ჩვენ რამდენიმე კანდიდატურას განვიხილავთ და ტერი უთუოდ იქნება ერთ-ერთი მათგანი. მე მისი პროფესიული დონე ეჭვქვეშ არასდროს დამიყენებია და ამას დღესაც არ ვიკადრებ. ვერავინ იტყვის დარწმუნებით, რომ ვენეიბლზი ჩვენი ნაკრების საჭეს აღარ დაუბრუნდება. რაც მოხდა, ისე ვატყობ, რომ წარსულს ჩაბარდა და ეს ძალიან კარგია“ — განაცხადა უაიტმა.

უაიტი ამბობს, რომ ახალი მწვრთნელის დანიშვნისას უპირველესად მის კვალიფიკაციას გაითვალისწინებენ. ასეთ, ერთი შეხედვით უცნაურ საკითხზე ინგლისში ყურადღების გამახვილება იმიტომ უხდებათ, რომ ჰოდლი თანამდებობიდან რელიგიურ საკითხებზე ხმამაღლა საუბრისთვის გადააყენეს და არა შედეგებისთვის.

„დიახ, უმთავრესი ადამიანის პროფესიული დონე უნდა იყოს. ჩვენ უარს ვერ ვიტყვით კარგ სპეციალისტზე იმ მოტივით, რომ იგი, ვთქვათ, მექალთანეა ან სმას ეძალება, მაგრამ გადაწყვეტილებამდე რომ ბევრს ვიფიქრებთ და ყველაფერს ავწონ-დავწონით, ამის პირობას ახლავე გაძლევთ“ — განავრცო საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ.

დროებითი მწვრთნელის, კევინ კიგანის შესაძლო შემცვლელთა შორის ტერი ვენეიბლზის გარდა ასახელებენ ტონი ადამსს, ბრაიან რობსონს და ჯონ გრეგორის.

უაიტმა ისიც თქვა, რომ 96-ში ვენეიბლზის თანამდებობიდან მოხსნა მარტო მასთან კონფლიქტის ბრალი არ იყო. ამ საქმეში სხვა ჩინოსნებიც ყოფილან ჩართულნი.

„ერთხელ ტერი შემხვდა. იქ იყვნენ სერ ბრტ მილიჩინი და გრემ კელიც. ჩვენ მისი კონტრაქტის განახლებაზე ვმსჯელობდით. საუბარი პირველი კონტრაქტის ვადის გასვლამდე შვიდი თვით ადრე შედგა. ჩემი პოზიცია ასეთი იყო: ტერის უნდა დაეცადა და შვიდი თვის მერე მოსულიყო. მან მიპასუხა, რომ დაფიქრდებოდა. მერე კი გრემს შეხვედრია და უთქვამს, რომ კონტრაქტის განახლებას აღარ აპირებს. მოტივად გარკვეული მოსაზრებები დაუსახელებია. ამის მერე ხმა გავრცელდა, თითქოს მახვილი მე ჩავეცი“.

ვენეიბლზის კანდიდატურა იმიტომაც ჩანს რეალური, რომ იანვარში იგი „კრისტალ პალასის“ მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა, მაგრამ ამბობენ უარზეაო.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

IV ჯგუფი. სომხეთი-რუსეთი-ანდორა



სარბიელის არქივიდან

რუსეთის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მოსამზადებლად „გუნდში გამოძახებულ ფეხბურთელთა სიაში კორექტივები შეიტანა — „სპარტაკის“ პრეზიდენტმა და მწვრთნელმა მეკარე დმიტრი ხარინი, ნახევარმცველი ანდრეი კანჩელსკისი და თავდამსხმელი სერგეი კირიაკოვი გუნდიდან დროებით გაათავისუფლა.

27 მარტს ერევანში რუსებს სომხები მასპინძლობენ, ოთხი დღის შემდეგ კი რომანცევის გუნდი სოჭში უსუსტეს ანდორას მასპინძლობს. აქამდე ნათამაშევი სამი მატჩიდან რუსთა ნაკრებს ქულაც არ აქვს — უკრაინასთან სტუმრად, მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთთან შინ და ისლანდიასთან გასვლითი შეხვედრები ჩრდილოელებმა წააგეს. ამ სამივე თამაშში რუსთა ნაკრებს აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი, რომანცევის წინამორბედი ანატოლი ბიშოვეცი ხელმძღვანელობდა.

რამ გამოიწვია კანჩელსკისის, ხარინის და კირიაკოვის გუნდიდან გაშვება, არავინ იცის, რომანცევმა კი ოფიციალურად განაცხადა, მათი მომზადების დონე არ მაკმაყოფილებსო. სხვათა შორის, 1996 წელს, როცა ოლეგ რომანცევი ქვენის პირველ გუნდს თავკაცობდა, სწორედ ამ სამ და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელთან მოუვიდა შელაპარაკება, რის გამოც მათ ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადეს. ეს ამბავი ზუსტად ევროპის ჩემპიონატის წინ მოხდა.

რომანცევმა ჯერჯერობით 28 მოთამაშეს უხმო, თუმცა არაა გამორიცხული, კვლავ მოხდეს ცვლილებები გუნდის შემადგენლობაში. აი, ნაკრებში მოწვეულთა ნუსხაც: მეკარეები — სერგეი ოვჩინიკოვი (ბენფიკა, პორტუგალია), სტანისლავ ჩერჩესოვი (ტიროლი, ავსტრია), ალექსანდრ ფილიმონოვი (სპარტაკი); მცველები — დმიტრი ხლესტოვი, ვადიმ ევსეევი (სპარტაკი), ვალერი მინკო, ევგენი ვარლამოვი (ცსკა), იური დროზდოვი, ანდრეი სოლომატინი, იგორ ჩუგაინოვი (ლოკომოტივი), არტურ პაგაევი (ალანია), ვიქტორ ონოპკო (ოვიედო, ესპანეთი), იური ნიკიფოროვი (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), იგორ იანოვსკი (პსჟ, საფრანგეთი); ნახევარმცველები — ალექსანდრ მოსტოვოი, ვალერი კარპინი (სელტა, ესპანეთი), დმიტრი ალეინიჩევი (რომა, იტალია), დმიტრი ხოხლოვი (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ვლადიმირ ბუტი (დორტმუნდი, გერმანია), სერგეი სემაკი (ცსკა), ალექსეი სმერტინი (ლოკომოტივი), ეგორ ტიტოვი, ანდრეი ტიხონოვი, ილია ციმბალარი (სპარტაკი); თავდამსხმელები — ვლადიმირ ბესჩასტნიხი (რასინგი, ესპანეთი), ალექსანდრ პანოვი (ზენიტი), სერგეი იურანი, ალექსანდრ შირკო (სპარტაკი).

საფრანგეთი

თასის მესამე რაუნდში გასულ 16 გუნდს შორის პირველი დივიზიონელი მხოლოდ სამია. ერთ-ერთი მათგანი, „ლანსი“ მეორე დივიზიონის „ლავალს“ შეახვედრა კენჭისყრამ, მეორე, „მეცი“, ჯილდოს ორგზის მფლობელი კი უიღბლო გამოდგა, მაინც და მაინც თანადივიზიონელს, „ნანტს“ გადაეკიდა.

ზემოთ რომ „ლანსი“ ვახსენეთ, გასულ სეზონში ფინალში იყო, სადაც „პარი სენ ჟერმენთან“ 1:2 წააგო. შეჯიბრებას შემორჩა მეორე დივიზიონის რვა გუნდი. მათ შორისაა 1997 წლის ფინალისტი „გინგამი“. კიდევ, მესამე ეტაპამდე სამოყვარულო, მეხუთე დივიზიონის გუნდებმაც მიაღწიეს. ასეთი სამია: „სენ ჟორჟი“, „მონტანიარდი“ და „რუანი“.

კენჭი ასე იყარა: მეცი — ნანტი, ამიენი — სედანი, სენ-ჟორჟი — ნიმი, ლანსი — ლავალი, ანგულემი — ტრუა, მონტანიარდი — რუანი, გინგამი — ლილი, კლერმონი — ლემანი

შეხვედრები 13 და 14 მარტს, ბუნებრივია, პირველად დასახელებულთა მოედანზე გაიმართება.

საბერძნეთი

21-ე ტური: ოფი — ოლიმპიაკოსი 1:2; პანიონისი — არისი 3:2; პანათინაიკოსი — პაოკი 0:1; პანელეფსინიაკოსი — აპოლონი 1:0; კავალა — იონიკოსი 1:3; ეთნიკოსი (პირეოსი) — ეთნიკოსი (ასტირი) 1:2; პანილიაკოსი — ქსანტი 1:0; ირაკლისი — პრუდეფტიკი 0:1; ვერია — აეკი 0:3.

ოლიმპიაკოსი	21	16	2	3	54:15	50
პანათინაიკოსი	21	15	1	5	37:21	46
აეკი	21	14	4	3	50:18	46
პაოკი	21	13	3	5	29:19	42
არისი	21	11	3	7	28:28	36
ქსანტი	21	10	5	6	23:18	35
იონიკოსი	21	10	5	6	23:18	35
ოფი	21	10	2	9	32:27	32
ირაკლისი	21	8	6	7	31:22	30
ეთნიკოსი (ა)	21	8	2	11	22:35	26
პანილიაკოსი	21	7	4	10	27:31	25
პანიონისი	21	7	3	11	32:33	24
კავალა	21	6	6	9	31:42	24
პრუდეფტიკი	21	5	6	10	17:24	21
პანელეფსინ.	21	3	10	8	16:29	19
აპოლონი	21	3	7	11	22:45	16
ვერია	21	3	4	14	12:37	13
ეთნიკოსი (ბ)	21	0	7	14	12:49	7

პოლონეთი

მე-16 ტური: ლეხი — ამიცა 2:0; სტომილი — კატოვიცე 2:1; გურნიკი — ლკს 0:0; პოლონია — ბელხატოვი 4:0; ოდრა — ვისლა 0:2; ვიძევი — რაძიონკოვი 2:1; პოგონი — რუხი 1:0; ზაგლებიე — ლეგია 0:0

ვისლა	16	14	1	1	38:11	43
ლეხი	16	11	0	5	35:16	33
ლეგია	16	8	5	3	21:14	29
ვიძევი	16	9	1	6	29:21	28
გურნიკი	16	7	6	3	23:16	27
პოლონია	16	6	5	5	24:21	23
რაძიონკოვი	16	6	4	6	24:18	22
ამიცა	16	6	2	8	24:26	20
ბელხატოვი	16	6	2	8	17:27	20
რუხი	16	5	4	7	14:24	19
პოგონი	16	5	3	8	21:31	18
ზაგლებიე	16	4	5	7	25:28	17
სტომილი	16	5	2	9	16:23	17
ლკს	16	4	5	7	16:24	17
კატოვიცე	16	5	1	10	15:29	16
ოდრა	16	1	6	9	15:28	9

პორტუგალია

XXIV ტური

გიმარაეში 2:0 სეტუბალი

1:0, 2:0 ედმილსონი (30, 66)

პორტუ	24	16	5	3	55:21	53
ბოავიშტა	24	15	7	2	39:19	52
ბენფიკა	24	16	4	4	52:16	52
სპორტინგი	24	12	9	3	44:20	45
ლეირია	24	10	7	7	24:17	37
ამადორა	24	9	8	7	26:28	35
სეტუბალი	24	8	7	9	22:29	31
გიმარაეში	24	8	6	10	36:31	30
სალგეირუში	24	6	12	6	33:34	30
ბრაგა	24	6	9	9	29:41	27
ფარენსე	24	7	6	11	23:38	27
მარიტიმუ	24	6	8	10	28:31	26
რიუ ავე	24	5	9	10	19:34	24
ბეირა მარი	24	4	12	8	22:32	24
შავეში	24	5	8	11	30:44	23
კამპომაიორენსე	24	6	5	13	27:39	23
ალვერკა	24	4	10	10	18:32	22
აკადემიკა	24	4	6	14	24:45	18

თურქეთი

22-ე ტური: ქოჯაელი — საქარია 0:1; ისთანბული — ტრაბზონი 0:0; ბურსა — ბეშიქთაში 1:2; ერზურუმი — გალათასარაი 0:1; გაზიანთეფი — ანთალია 1:1; ალთაი — ანკარაგიუჯიუ 5:1; ადანა — დარდანელი 3:0; გენჩლერბირლიგი — სამსუნი 3:0; ქარაბუქი — ფენერბაჰჩე 0:0

გალათასარაი	22	15	5	2	60:23	50
ფენერბაჰჩე	22	15	4	3	57:14	49
ბეშიქთაში	22	14	6	2	38:18	48
ტრაბზონი	22	12	5	5	30:23	41
ქოჯაელი	22	11	4	7	27:22	37
ისთანბული	22	9	7	6	37:28	34
გენჩლერბირ.	22	8	8	6	31:27	32
ანთალია	22	9	5	8	28:28	32
გაზიანთეფი	22	7	8	7	31:32	29
ალთაი	22	8	4	10	34:36	28
ანკარაგიუჯიუ	22	7	3	12	27:35	24
ბურსა	22	7	3	12	33:47	24
ადანა	22	7	3	12	23:38	24
სამსუნი	22	6	4	12	23:39	22
ერზურუმი	22	5	7	10	22:44	22
საქარია	22	5	5	12	26:36	20
დარდანელი	22	3	8	11	14:30	17
ქარაბუქი	22	3	5	14	17:38	14

დაბრუნება მიონხენგლადბახში

ბერტი ფოგთსი ფეხბურთში დაბრუნდა, ამჯერად საკლუბო დონეზე.

ორშაბათს გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, რომლის ხელმძღვანელობითაც ბუნდესნაკრები 1996 წელს ევროპის ჩემპიონი, ხოლო 1992-ში კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი გახდა, წყალწაღებული მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ დირექტორად დაინიშნა. ფეხბურთელობისას ფოგთსმა სწორედ მიონხენგლადბახში თამაშისას გაითქვა სახელი.

70-იან წლებში, ახლა კრიზისში მყოფი „ბორუსია“ მართლაც ძლიერი გუნდი იყო. ტიტულს ტიტულზე იგებდა და ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებისთვის ძლიერ მოთამაშეებს ზრდიდა. ბერტი ფოგთსი იმ ლეგენდარული „ბორუსიის“ უცვლელი მცველი გახლდათ. კლუბის შემადგენლობაში იგი ხუთჯერ გახდა ბუნდესლიგის ჩემპიონი, უამრავგზის პრიზიორი, ხოლო ყველაფერ ამასთან ერთად ორჯერ უეფას თასიც მოიგო.

დღეს ფოგთსი კლუბის დირექტორია. მიონხენგლადბახელთა თავკაცობა იმედოვნებს, რომ სახელოვანი ადამიანის მისვლით კლუბის საქმეები უმალ თუ არა, თანდათან მაინც გაუმჯობესდება.

ბერტი ფოგთსი

— ძალიან კარგია, რომ ჰერ ბერტი ჩვენთან იწყებს მუშაობას. იგი გერმანულ ფეხბურთში და საერთოდ მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს, დიდი გამოცდილება აქვს, პროფესიონალია, ასეთი ხალხი კი „ბორუსიას“ დღესდღეობით ძალიან სჭირდება — განაცხადა მიონხენგლადბახელთა აღმასრულებელმა დირექტორმა ვილემ კერდსმა.

ფოგთსის კლუბში დაბრუნებას სიხარულით შეხვდა „ბორუსიას“ მწვრთნელი რაინერ ბონჰოფიც. სხვათა შორის, ბონჰოფი 70-იან წლებში ფოგთსის თანაკლუბელი გახლდათ, ხოლო ჰერ ბერტის ქვეყნის პირველ გუნდში მოღვაწეობისას მის თანაშემწედ მუშაობდა.

— ბერტი შესანიშნავი პიროვნებაა და ჩემთვის სასიხარულოა, რომ კვლავ მასთან ერთად მომიწევს მუშაობა. დარწმუნებული ვარ, იგი გუნდს აუცილებლად დაეხმარება — ლაკონიური გახლდათ ბონჰოფის კომენტარი.

საინტერესოა, რას ფიქრობს თავად ბერტი ფოგთსი. სანამ მის აზრს გაგაცნობდეთ, შეგახსენებთ, რომ სულ რაღაც ერთი თვის წინ მას მიონხენგლადბახელები მწვრთნელის პოსტზე ეპატიჟებოდნენ.

— ვეცდები, გუნდს დავეხმარო, თუმცა ეს ძალიან გამიჭირდება. მე ჩემი საქმე მაქვს, რომელსაც პირნათლად შევასრულებ, მწვრთნელების საქმეში კი არ ჩავერევი. წერდნენ, თითქოს მე გუნდში კონსულტანტად მივედი, მაგრამ ეს ასე არაა. მე „ბორუსიას“ დირექტორი ვარ, მწვრთნელი კი გუნდს ერთი ჰყავს — რაინერ ბონჰოფი — თქვა ფოგთსმა.

...ოცი წლის წინანდელ „ბორუსიასა“ და დღევანდელ გუნდს შორის უდიდესი სხვაობაა, თუმცა, უსაშველო არა. შეძლებს ფოგთსი კლუბის დახმარებას?

კოტე ვაიტაძე

მოდი, ვჭამოთ



ფრედი ბობიჩი

ვინ დაკარგავს სამსახურს?

„ფრედი ბობიჩს უახლოეს მომავალში, ალბათ, გავყიდით. მას ამ დღეებშივე შევხვდები და მომავალზე დაველაპარაკები“ — განაცხადა გასული კვირის მიწურულს ბობიჩის ამჟამინდელი კლუბის, „შტუტგარტის“ პრეზიდენტმა გერჰარდ მაიერ-ფორფელდერმა ჟურნალისტებისათვის მიცემულ საკმაოდ ვრცელ ინტერვიუში. ამის თქმა და გერმანიის საფეხბურთო წრეებში მოსალოდნელ ტრანსფერზე ალაპარაკება ერთი იყო. თუმცა თავდამსხმელის მსურველი კლუბი არ ჩანდა. და აი, გუშინ ყველაფერს ნათელი მოეფინა. „არ მინდა, ყველაფერი მოთავებულად ჩავთვალო, მაგრამ ვერ დაგიმალავთ, რომ მისი ჩვენთან გადმოსვლით ყველანი ძალიან ვართ დაინტერესებულნი“ — ეს სიტყვები დორტმუნდის „ბორუსიას“ შეფ გერდ ნიებაუმს ეკუთვნის.

მართალია, ნიებაუმმა მხოლოდ ეს თქვა, მაგრამ ბობიჩის „შტუტგარტიდან“ „დორტმუნდში“ გადასვლის ამბავი ფაქტობრივად გადაწყვეტილი ყოფილა, თუმცა ეს სეზონის დასრულების შემდეგ მოხდება. ერთ დროს გერმანული ფეხბურთის იმედის სანაცვლოდ „შტუტგარტი“ 11,5 მილიონ გერმანულ მარკას მიიღებს. ბობიჩი ოთხწლიან კონტრაქტს ხელს უახლოეს დღეებში მოაწერს და გასამრჯელოდ წელიწადში 5 მილიონ მარკას აიღებს. „შტუტგარტში“ მისი წლიური ხელფასი ბევრად ნაკლები 3,2 მილიონი იყო. ბობიჩი საფეხბურთო სამყარომ სწორედ „შტუტგარტში“ თამაშისას გაიცნო. იგი წლეულს ბუნდესლიგაში მეექვსე სეზონს ატარებს და ამ ხნის განმავლობაში 64 გოლის გატანა მოასწრო. გერმანიის ეროვნულ ნაკრებში კი 19 მატჩი აქვს ჩატარებული.

ბობიჩმა „შტუტგარტიდან“ წასვლის სურვილი იმით ახსნა, რომ იქ ვერანაირ პერსპექტივას ვერ ხედავს. „მე ნაკრებში დაბრუნება მინდა, საამისოდ უმაღლეს დონეზე თამაშია აუცილებელი. „შტუტგარტში“ კი ფინანსური მდგომარეობა ვერ არის საჭირო დონეზე, გუნდის გაძლიერებაზე საერთოდ არ ფიქრობენ, ამიტომ იძულებული ვარ სხვაგან წავიდე“ — განაცხადა საუბრის დასასრულს 27 წლის თავდამსხმელმა.

მისი შეძენით „დორტმუნდის“ მთავარი მწვრთნელი მიხაელ სკიბეც კმაყოფილია, თუმცა იგი ახალი პრობლემის წინაშე დადგა. საქმე ისაა, რომ გუნდში ამჟამად სამი მაღალი დონის თავდამსხმელი ჰყავს — შვეიცარიელი შტეფან შაპუზა, ტოგოელი ბაშირუ სალუ და გერმანელი ჰაიკო ჰერლიხი. ბობიჩის მისვლით კი ისედაც დიდი კონკურენცია უფრო გაიზრდება და რომელიმეს ძირითადში ადგილისა და, ალბათ, სამსახურის დაკარგვაც მოუწევს. ამასთან დაკავშირებით ჰერლიხმა თქვა, გუნდთან კონტრაქტი 2001 წლამდე მაქვს და მანამდე არსად წასვლას არ ვაპირებ, ამიტომ მზად ვარ, ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად ვიბრძოლოო.

ვანო ოჭროპირიძე

EURO 2000
ჩვენი ჯგუფი

ალბანეთის პირველი დივიზიონის აუტსაიდერმა კლუბმა „ბურელმა“, რომელიც გასული ათი დღის განმავლობაში ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას პროტესტს უცხადებდა და მკაცრად შიმშილობდა, გაფიცვა შეწყვიტა.

ათი დღის წინ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „ბურელს“ უბრძანა, ჩემპიონატის მორიგი ოთხი საშინაო შეხვედრა ნეიტრალურ მინდორზე გაემართა, რადგან პირველობის ერთ-ერთი შეხვედრისას „ბურელის“ სტადიონზე არეულობა მომხდარა.

უფრო კონკრეტულად: „ბურელის“ და დედაქალაქ ტირანას ამავე სახელწოდების გუნდის შეხვედრისას, რომელიც დეკემბერში ტარდებოდა, სტადიონზე ავტომატმა იქუხა, რამაც, ცხადია, ტრიბუნებზე პანიკა და არეულობა გამოიწვია. მერე აყალმაყალმა ტრიბუნებიდან მინდორზეც გადაინაცვლა და „ბურელის“ ორმა ფეხბურთელმა მსაჯის, მითრეზა ალკიას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

საბოლოოდ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ „ბურელის“ წევრი ორი მოხულიგნო ელემენტი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა მკაცრად დასაჯა — სეზონის ბოლომდე აეკრძალათ თამაში, ხოლო კლუბის სასჯელზე ზემოთ მოგახსენეთ.

„ბურელის“ ჩვიდმეტმა მოთამაშემ და ორმა მწვრთნელმა შიმშილობა სწორედ ხსენებული სასჯელის საპროტესტოდ გამოაცხადეს. მათი აზრით, ფეხბურთელთა დისკვალიფიკაცია სამართლიანი იყო, აი, გუნდისა კი — არა. „ბურელის“ ხელმძღვანელთა თქმით, ტრიბუნებზე წესრიგი პოლიციას უნდა დაემყარებინა.

კვირას ალბანეთის ფეხბურთის ხელმძღვანელ ორგანოში მკაცრად იმსჯელეს მომხდარზე და დაასკვნეს, რომ „ბურელის“ მიმართ უმკაცრესი ზომები მიეღოთ ფედერაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ „ბურელი“ მათ ნებას არ დაემორჩილება და ჩემპიონატს არ დაუბრუნდება, მეორე დივიზიონში დაქვეითდება.

ამ განცხადებამ გაჭრა — გაფიცულებმა შეწყვიტეს საპროტესტო აქცია, თუმც „ბურელის“ გენერალურმა მდივანმა ეს იმით ახსნა, რომ ფეხბურთელები უმძიმეს მდგომარეობაში არიან. ყურადღებას არ გვაქცევენ, ფედერაციის გულქვაობა კიდევ ერთხელ გამოჩნდაო, თქვა „ბურელის“ გენმდივანმა ლექე შულკუმ. სხვათა შორის, აქციის შეწყვეტის შემდეგ კლუბის სამი მოთამაშე ჰოსპიტალში მოათავსეს.

ცნობისთვის: „ბურელი“ ქვეყნის ჩემპიონატში 14 ქულით ბოლო ადგილზეა და მეორე დივიზიონში, ალბათ, მაინც დაქვეითდება.

აფრიკის თასის შესარჩევი ტურნირი

REUTERS მაბოფეინიდან

სამხრეთ აფრიკა — გაბონი 4:1. მასპინძელი ფილ მასინგა მავანი გაბონელის წინააღმდეგ

I ჯგუფი

კამერუნი 1:0 მოზამბიკი

განა 5:0 ერითრეა

განა	3	3	0	0	9:1	9
კამერუნი	3	1	1	1	2:3	4
მოზამბიკი	3	1	0	2	3:3	3
ერითრეა	3	0	1	2	1:8	1

უახლოესი მატჩები: 11 აპრილს ერითრეა განა, მოზამბიკი კამერუნი

II ჯგუფი

ტოგო 2:3 მაროკო

მაროკო	2	1	1	0	4:1	4
ტოგო	2	1	0	1	4:3	3
გვინეა	2	0	1	1	1:3	1

უახლოესი მატჩი: 10 აპრილს მაროკო ტოგო

III ჯგუფი

კონგო 1:0 კოტ დივუარი

კონგო	3	2	1	0	2:0	7
კოტ დივუარი	3	2	0	1	4:1	6
მალი	2	0	1	1	0:1	1
ნამიბია	2	0	0	2	0:4	0

უახლოესი მატჩები: 11 აპრილს მალი ნამიბია, კოტ დივუარი კონგო

IV ჯგუფი

ანგოლა 0:2 მავრიკეთი

ს. აფრიკა 4:1 გაბონი

ს. აფრიკა	3	2	1	0	6:2	7
მავრიკეთი	3	1	1	1	3:3	4
ანგოლა	3	1	0	2	3:4	3
გაბონი	3	1	0	2	4:7	3

უახლოესი მატჩები: 11 აპრილს გაბონი ს. აფრიკა, მავრიკეთი ანგოლა

V ჯგუფი

ბურუნდი 1:2 ბურკინა ფასო

სენეგალი 1:1 ნიგერია

ნიგერია	3	1	2	0	3:1	5
ბურკინა ფასო	3	1	2	0	3:2	5
ბურუნდი	3	1	0	2	2:4	3
სენეგალი	3	0	2	1	2:3	2

უახლოესი მატჩები: 10 აპრილს ნიგერია სენეგალი, 11 აპრილს ბურკინა ფასო ბურუნდი

VI ჯგუფი

კენია 0:1 ზამბია

მადაგასკარი 3:1 ზაირი

ზამბია	3	2	1	0	4:2	7
მადაგასკარი	3	1	1	1	5:4	4
ზაირი	3	1	1	1	4:5	4
კენია	3	0	1	2	2:4	1

უახლოესი მატჩები: 10 აპრილს ზამბია კენია, 11 აპრილს ზაირი მადაგასკარი

VII ჯგუფი

ლიბერია 1:1 ალჟირი

ტუნისი 6:0 უგანდა

ტუნისი	3	3	0	0	9:1	9
ლიბერია	3	1	1	1	4:3	4
უგანდა	3	1	0	3	2:6	3
ალჟირი	3	0	1	2	2:4	1

უახლოესი მატჩები: 9 აპრილს ალჟირი ლიბერია; 10 აპრილს უგანდა ტუნისი

შენიშვნა: ყოველი ჯგუფიდან პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები ფინალურ ეტაპზე ხვდებიან. აფრიკის თასის ბოლო გათამაშების გამარჯვებული ეგვიპტე შესარჩევი ტურნირისგან თავისუფალია. კონტინენტის თასის გათამაშების მასპინძელი საბოლოოდ 15 მარტს გამოცხადდება.

ფეხბურთის რუკასთან

ბრაზილიაში პელეს ყოფილმა კლუბმა „სანტოსმა“, ბოლო შეხვედრაში 41-ჯერ დაარღვია თამაშის წესი, რის გამოც საქვეყნოდ გამოაჭენეს და უხეშობის სიმბოლოდ შერაცხეს. თუმცა გამოჩნდა ადამიანი, „კორინთიანსის“ თავკაცი ლუის ფილიპე სკოლარი, მეტსახელად დიდი ფილი, რომელმაც სანტოსელები სამაგალითო ხალხად დასახა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ რიო — სან პაულუს ტურნირზე „სანტოსი“ საშუალოდ, თამაშში 35-ჯერ არღვევდა წესს და ერთ ფეხბურთელს უძევებდნენ. „ჩვენ იმიტომ მივაღწიეთ წარმატებას, რომ საუკეთესონი ვიყავით და ყურსაც არ ვუგდებდით მათ, ვინც გარეშოს წამლავს“ — განაცხადა გუნდის ცენტრალურმა მცველმა არჟელმა, რომელიც ყველაზე უხეშ კაცადაა ცნობილი. თავდამსხმელმა ალესანდრომ, რომელიც შვიდ შეხვედრაში ორჯერ გააძევეს მოედნიდან, ყველაფერი მსაჯებს დაბრალა. „მე სულ მირტყამენ, მაგრამ მეტოქეებს ერთი ყვითელი ბარათიც არ მიუღიათ“ — წაილუღლუღა მან. დიდმა ფილმა კი საკითხს ასე შეხედა: „მიჯობს ის მწვრთნელი ვიყო, თავის ფეხბურთელებს დაჯარიმებისკენ რომ მოუწოდებს, ვიდრე ჩემმა ფეხბურთელებმა სულელური გოლები გაუშვან“. მანვე დასძინა, სიმართლეს რომ ვამბობ, ლბათ, შტერი ვარო.

ინგლისელთა სურვილს, უმასპინძლონ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატს, ერთი სერიოზული დაბრკოლება ელის: „უემბლის“ სტადიონის რეკონსტრუქციის დაყოვნება. ალეკ მაკგივანმა, რომელიც 2006 წლის პირველობის მონადირების კამპანიას ხელმძღვანელობს, გაზეთ „ტაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „სამომავლოდ გადადებული გადაწყვეტილებანი არ გვჭირდება. ჩვენი ბრძოლისთვის დაუყოვნებლივ მოქმედება ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ. გეგმის თანახმად, მოგეხსენებათ, „უემბლი“ ამ ზაფხულზე უნდა დანგრეულიყო და მის ადგილას 2001 წლისთვის ახალი, 80-ათასიანი სტადიონი უნდა წამოიჭიმოს, მაგრამ ამისთვის ნაგებობა ჯერ უნდა გაიყიდოს. სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. „უემბლის“ დღევანდელი მეპატრონეები მისი გაყიდვის პროცესს აჯანჯლებენ. ამ საკითხზე მორიგი თათბირი 11 მარტსაა დანიშნული. ამასობაში კი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ფიფას დეტალური ანგარიში უნდა წარუდგინოს. დრო ივლისამდეა. სხვათა შორის, ფეხბურთის გარდა, განახლებულ „უემბლიზე“ 2003 წლის მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატიც არის ჩაფიქრებული.

იტალიური „რომა“ ინგლისურ „დერბი ქაუნთისთან“ აწარმოებს მოლაპარაკებებს. რომაელებს ერთბაშად ორი მოთამაშის შეძენა სურთ. ერთია უონჩოპი, რომელშიც იტალიის დედაქალაქის გუნდი სულ ახლახან, დეკემბერში 9 მილიონ გირვანქას იხდიდა, მეორე კი არგენტინელი ორასიო კარბონარი.

ჩეხეთის ჩემპიონატის XVII ტური. სლავია — ბანიკი 0:0; ჩმელი — ოლომოუცი 3:2; სლოვანი — ბობი 0:0; ოპავა — ვიქტორია (ჟიჟკოვი) 2:0; დრნოვიცე — იაბლონეცი 1:1; კარვინა — სპარტა 0:3; ვიქტორია (პლზენი) — ჰრადეც კრალოვე 0:3; ტეპლიცე — დუკლა 1:1. ჩემპიონატს 37 ქულით ლიდერობს პრაღის „სპარტა“. მეორე ადგილზეა „ტეპლიცე“ 32 ქულით. ხოლო მას ერთი ქულით ჩამორჩება მესამეადგილოსანი „დრნოვიცე“.

უნგრეთის ჩემპიონატის ორშაბათს გამართული მატჩი „კიშპეტსა“ და „ვიდეოტონს“ შორის ფრედ 0:0 დასრულდა. პირველობას კვლავ ბუდაპეშტის მტკ ლიდერობს 44 ქულით. მას 6 ქულით ჩამორჩება „დიორ ეტო“, რომელიც თავის მხრივ 3 ქულით უსწრებს მესამე ადგილზე მყოფ „დიოშდიორს“.

ლუქსემბურგის ჩემპიონატში კვირას გამართული მატჩები: არისი — მონდრეკენჟი 1:1, გრევენმახერი — უნიონი 0:0; პეტანჟი — დუდელანჟი 0:3; ავენირი — სპორა 3:2; ვილცი — სპორტინგი 1:1; ჟენეს ეში — ჰობშაიდი 2:1. ჩემპიონატის ლიდერია „დუდელანჟი“, რომელსაც 30 ქულა აქვს. მეორე-მესამე ადგილებზე მყოფ „ავენირს“ და „უნიონს“ 29-29 ქულა აქვთ, თუმცა, „ავენირი“ ბურთების უკეთესი სხვაობით მეორე ადგილზეა.

სლოვაკეთის ჩემპიონატი: სპარტაკი — კოშიცე 0:0; დებნიცა — სობოტა 3:0; ინტერი — არტმედია 4:1. 38 ქულით ჩემპიონატის ლიდერია ბრატისლავის „ინტერი“. ქულით ნაკლები აქვს მეორე ადგილზე მყოფ ტრნავის „სპარტაკს“, ხოლო მესამეზეა ბრატისლავის კიდევ ერთი გუნდი „სლოვანი“ — 34 ქულა.

ხორვატიის ჩემპიონატის XIX ტური: ზაგრები — სიბენიკი 3:2; სლავენი — დრაგოვოლიაცი 1:0; ჰაიდუკი — ოსიეკი 2:1; ციბალია — მლადოსტ 127 2:0; რიეკა — ზადარკომერციი 4:1; ვარტექსი — კროაცია 2:0. 46 ქულით პირველობის ლიდერია „რიეკა“. 2 ქულით ნაკლები აქვს მეორე ადგილზე მყოფ „კროაციას“, ხოლო მესამეზეა „ჰაიდუკი“ — 39 ქულით.

ჩრდილო ირლანდიის ეროვნული გუნდი ბელფასტში, 18 აგვისტოს მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრებთან გამართავს ამხანაგურ შეხვედრას. ჩრდილოირლანდიელებს ფრანგები უკრაინასთან ოფიციალური თამაშის წინ გავარჯიშებით დაუინტერესებიათ. საფრანგეთი ყოფილ საბჭოელებს ბელფასტური მატჩიდან ორი კვირის მერე შეხვდებიან.

კვიპროსის ჩემპიონატის XIX ტური: არისი — ანორთოსისი 1:4; აეკ — ომონია 0:1; აპოელი — ეთნიკოსი 1:0; ოლიმპიაკოსი — ალკი 2:2; ენოსისი — ევაგორასი 6:1; აპოლონი — დოქსა 5:2; ნეა სალამინა — აელ 0:0. ფამაგუსტას „ანორთოსისს“ 48 ქულით პირველი ადგილი უპყრია, ხოლო მეორე-მესამე ადგილებზე არიან ნიქოზიის კლუბები „ომონია“ და „აპოელი“, შესაბამისად 46 და 43 ქულით.

იაპონიის სუპერთასის მფლობელია ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე გაირკვა — „კაშიმა ანთლერზმა“ 2:1 მოუგო „შიმიცეს“. ანგარიში 25-ე წუთზე აცუში იანაგისაკიმ გახსნა. ერთ წუთში მასააკი სავანობორამ გაათანაბრა, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე 21 წუთით ადრე აკირა ნარაჰაშიმ გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

გერმანიაში გადაიდო „ბოხუმისა“ და „ჰამბურგის“ შეხვედრა. მიზეზი: დატბორილი მოედანი. შეხვედრის ახალ თარიღად 16 მარტი დათქვეს.

შოტლანდიაში ფეხბურთის ასოციაციის თასის მეოთხე ეტაპის მატჩი „კლაიდბანკსა“ და „დანდი იუნაიტედს“ შორის მინდვრის დატბორვის გამო გადაიდო.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

მიდი, მიდი, მაჯდად მიდი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩები

სარბიელის არქივიდან

აქ, ულამაზეს „კამპ ნოუზე“ რვა მეოთხედფინალისტიდან ერთი ჩემპიონთა თასს აღმართავს

ბაიერნი vs კაიზერსლაუტერნი

ევროტურნირების მრავალწლიან ისტორიაში არცთუ ხშირად მოსდარა, ერთი ქვეყნის ორი კლუბი შეხვედროდეს ერთმანეთს. თუ სტატისტიკას მოვიშველიებთ, კონტინენტის საკლუბო გათამაშების პირველ წლებში ასეთი რამ უკიდურესად იშვიათი იყო, ხოლო იმავე სტატისტიკის მიხედვით, თანამემამულეთა ურთიერთდაპირისპირებანი ამ ბოლო დროს საგრძნობლად გახშირდა.

უმეტესწილად ერთი ქვეყნის ორი კლუბის დუელი საკმაოდ საინტერესოა, მაგრამ ეს ნამდვილად არ ითქმის დღევანდელ გერმანულ დაპირისპირებაზე — „ბაიერნის“ და „კაიზერსლაუტერნის“ შეხვედრა ძალიან დაძაბული და ძალიან საინტერესო იქნება. რატომ? „ბაიერნი“ ბუნდესლიგის ლიდერი და უდავოდ ძლიერი გუნდია, „კაიზერსლაუტერნი“ კი გერმანიის ჩემპიონია და სიძლიერესაც არ უჩივის. თან ბუნდესჩემპიონებს ოტო რეჰაგელი წვრთნის, ორი წლის წინ „ბაიერნიდან“ უაზროდ გათავისუფლებული კაცი.

ერთი სიტყვით, უდავოდ ყურადსაღები მატჩია, რომელიც გერმანული ფეხბურთის ორი ლიდერის დაპირისპირების გარდა შეიძლება თამამად მივიჩნიოთ ორი დიდი მწვრთნელის პაექრობადაც.

ოტმარ ჰიცფელდი გერმანულ ფეხბურთში სულაც არაა მეორეხარისხოვანი პიროვნება. მის სახელს უკავშირდება დორტმუნდის „ბორუსიის“ ბოლო წლების უდიდესი წარმატებები. სწორედ ჰიცფელდის დამსახურებაა ის, რომ 1997 წელს გერმანულმა გუნდებმა ნავსი გატეხეს და ევროპის საკლუბო ოლიმპი დაიპყრეს. მაშინ ჰიცფელდის დორტმუნდის „ბორუსიამ“ ფინალში 3:1 დაამარცხა „იუვენტუსი“ და პირველი გერმანული კლუბი გახდა „ჰამბურგის“ შემდეგ, ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ჯილდო რომ აღმართა. „ჰამბურგმა“, თავის მხრივ, უდიდეს წარმატებას 1983 წელს მიაღწია.

თემას, ცოტა არ იყოს, გადავუხვიეთ, არადა, ასეთ შეხვედრაზე ვსაუბრობთ.

დღესდღეობით „ბაიერნი“ ბრწყინვალე ფორმაშია, ხოლო გუნდის წინახაზელები მეტოქეთა დაცვას ბდღვნიან. კლუბის ბრაზილიელი თავდამსხმელი ჯოვანი ელბერი 13 გოლით ბუნდესლიგის ბომბარდირთა ლიდერია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გამოჯანმრთელდა მიუნხენელთა უძლიერესი ნახევარმცველი მარიო ბასლერი, ნათელი გახდება, რომ „კაიზერსლაუტერნს“ იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის.

„ბაიერნისგან“ განსხვავებით, ოტო რეჰაგელის გუნდში პრობლემებია — ვერ ითამაშებს „კაიზერსლაუტერნის“ საუკეთესო თავდამსხმელი ოლაფ მარშალი და დანიელი მცველი მიხაელ შონბერგი. სათუოა უვე როსლერის გამოჩენაც. სხვათა შორის, როსლერი გიორგი ქინქლაძის თანაკლუბელი გახლდათ „მანჩესტერ სიტიში“.

ჩვენის მხრივ, დავძენთ — შარშან, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, „ბაიერნი“ სწორედ გერმანულმა კლუბმა გამოთიშა გათამაშებას. მიუნხენელებს დორტმუნდის „ბორუსიამ“ სძლია.

ირაკლი ილაშვილი

რეალი vs დინამო

ჩემპიონთა თასის მფლობელი „რეალი“ ნამდვილად ვერაა კარგ ფორმაში — ესპანეთის ყველაზე ტიტულიან გუნდს ახლა კრიზისული პერიოდი აქვს და ეს აშკარაა.

ძნელია, კიევის „დინამოს“ მდგომარეობაზე ისაუბრო. უკრაინის ჩემპიონმა რამდენიმე დღის წინ ისრაელში ორკვირიანი შეკრებაც დაასრულა და პირინეის ნახევარკუნძულსაც ეწვია.

სავსებით შესაძლებელია, „დინამომ“, წინა გათამაშების მეოთხედფინალისტმა, ამჯერად ეს ეტაპი გადალახოს და ნახევარფინალში გავიდეს.

— ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მატჩი ჩვენთვის სასურველი შედეგით დავასრულოთ. განმეორებითი შეხვედრის წინ ფრე ძალიან კარგი იქნება. ამით იმის თქმა სულაც არ მინდა, თითქოს გამარჯვებისთვის არ ვიბრძოლებთ. „დინამო“ „რეალს“ მთელი ძალით დაუპირისპირდება. დღევანდელ საქმეს სხვალიოდ არ გადავდებთ — კიეველთა მწვრთნელის, ვალერი ლობანოვსკის წინასამატჩო საუბარი მკაცრი და ნათელი იყო. მას რომც არ ეთქვა, ისედაც ცხადი იქნება, რომ „დინამო“ მედგრად შეებრძოლება „რეალს“.

წინა გათამაშების ჯგუფურ ტურნირში „დინამომ“ ესპანური ფეხბურთის მეორე გრანდი „ბარსელონა“ აღგავა პირისაგან მიწისა — შინ, კიევში, 3:0 დაამარცხა, ხოლო სტუმრად, „კამპ ნოუზე“ 4:0 შეარცხვინა. ეს არის ის ფაქტორი, რის გამოც ესპანეთში „დინამოს“ კრძალვით უყურებენ.

დღეს „დინამო“ აღარაა ის გუნდი, ადვილად დასაძლევად რომ ითვლებოდა. დღეს „დინამო“ ევროპაში ერთ-ერთი ძლიერი კლუბია.

და სწორედ მაშინ, როცა მადრიდელთათვის ასეთი მნიშვნელოვანი მატჩი ახლოვდება, სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა, უფრო კი „რეალის“ პრეზიდენტი ლორენსო სანსი ძალიან სარისკო ნაბიჯზე წავიდა — მან მწვრთნელი შეცვალა. გუს ჰიდინკმა, რომელსაც ევროპის ჩემპიონთა თასი ჯერ კიდევ 1988 წელს მოუგია „ეინდჰოვენში“ მუშაობისას, „რეალში“ მხოლოდ რვა თვეს დაჰყო და თანამდებობა უელსელ ჯონ ტოშაკს გადაულოცა. „რეალში“ მისვლისთანავე ბრიტანელი მწვრთნელი, რომელსაც, სხვათა შორის 1990 წელს ამ გუნდისთვის ესპანეთის ჩემპიონობა მოუტანია, უდიდესი პრობლემის წინაშე დადგა — დავრდომილი „რეალი“ უნდა აღაზევოს და თუნდაც ერთი წლის წინანდელი გამარჯვება გაიმეოროს.

— „რეალი“, მიუხედავად კრიზისისა, არასდროს დაეშვება ისე, ვინმეს სასაცილო გახდეს. ამ წყვილში ფავორიტად სწორედ „რეალია“ მიჩნეული და სამართლიანადაც. ჩვენ გავალთ ნახევარფინალში! — ტოშაკს ოპტიმისტ კაცად იცნობენ.

რა შეიძლება ითქვას გუნდების მდგომარეობაზე? „რეალს“ ფერნანდო იერო დააკლდება. კლუბის ვეტერანის თამაში საბოლოოდ გამორიცხული არაა, თუმცა მისი წვივის ტრავმას კარგი პირი არ უჩანს. სათუოა სამეფო კლუბის კაპიტნის, მანუელ სანჩისის გამოჩენაც. ხოლო ის, რომ ახალგაზრდა მცველი აიტორ კარანკა ვერ ითამაშებს, უკვე გადაწყვეტილია.

„დინამოს“ ორი მოთამაშე არ ეყოლება — ახალგადაბირებული ვლადიმერ იეზერსკი და მცველი იური დმიტრულინი.

...ამბობენ, ბარსელონაში „დინამოს“ ქომაგობენო?!

ირაკლი ილაშვილი

სარბიელის არქივიდან

„ბაიერნის“ ფიქრები: ვიქნები ჩემპიონთა თასის მფლობელი?

მანჩესტერი vs ინტერი

ზაფხულში, მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში, არგენტინამ ინგლისი დაამარცხა. იმ უდავოდ ლამაზი შეხვედრის ერთ მომენტში ინგლისელი ნახევარმცველი დევიდ ბექემი არგენტინელ შუახაზელ დიეგო სიმეონესთან უხეშობის გამო გააძევეს...

დღეს ბექემი და სიმეონე, ალბათ, კვლავ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ოღონდ არა სანაკრებო, არამედ საკლუბო დონეზე. მიუხედავად ამისა, თასი, რომლისთვისაც ეს ორი ფეხბურთელი დღესდღეობით იბრძვის, მსოფლიოს ჩემპიონობას დიდად არ ჩამოუვარდება.

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალებიდან ეს წყვილი, ალბათ, უძლიერესია. შეიძლება თასის მომავალი მფლობელი სწორედ ამ ორი გუნდიდან იყოს.

— „მანჩესტერ იუნაიტედს“ იტალიურ კლუბებთან თამაში უჭირს. ეს ძალიან კარგად ვიცით და ვეცდებით, მას არც ჩვენ გავუიოლოთ საქმე. მგონი, „ინტერი“ მეტოქეზე ძლიერია — მილანელთა ჩილელი თავდამსხმელი ივან სამორანო, იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „იუვენტუსთან“ შეხვედრისას მხრის ტრავმა რომ მიიღო, იმედიანადაა.

მართალია სამორანო — „მანჩესტერ იუნაიტედს“ იტალიის გუნდებთან პაექრობა უჭირს, თუმცა მხოლოდ წარსულით ხომ არ შეიძლება ანგარიში ვიანგარიშოთ. კი, „ინტერი“ ძლიერი გუნდია, სახელდაგდებული, მაგრამ განა „მანჩესტერი“ ნაკლებია?! არამც და არამც. სხვა თუ არაფერი, თუნდაც ის რად ღირს, რომ ალექს ფერგიუსონის კლუბმა ბოლო 14 მატჩიდან 13 მოიგო, ჩემპიონატი ვნებავთ თუ თასი. „ინტერი“ ასეთი მიღწევით ვერ დაიკვეხნის — გუნდი შინ დაუმარცხებელია, მაგრამ სტუმრად 13 დეკემბრის შემდეგ ვერ მოუგია.

— სასიხარულოა, გუნდი პრინციპულ მატჩს უპრობლემოდ რომ ხვდება. ჩვენი ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და მზადაა გამარჯვებისთვის იბრძოლოს. „მანჩესტერ იუნაიტედს“ ყველაზე მეტად სწორედ ამ ეტაპზე უჭირს თამაში. თუმცა ვეცდებით, ნავსი გავტეხოთ და ბარიერი გადავლახოთ — ფერგიუსონი, იტალიელთა რუმინელ მწვრთნელ მირჩა ლუჩესკუსგან განსხვავებით, ენაწყლიანია. ალბათ იმიტომ, რომ იცის საკუთარი გუნდის ძალა.

„ინტერის“ შესაძლებლობები, ალბათ, მირჩა ლუჩესკუმაც კარგად უწყის, მაგრამ შესაძლოა, მას ის უტეხავს გულს, რომ კლუბის შესაძლებლობა სასურველი არაა.

ხავერ ძნეტის მხრის ტრავმა აწუხებს, სამორანოსაც, რობერტო ბაჯოს კოჭი წამოსტკივებია... ყველა მთგანი „ოლდ ტრეფორდზე“, ალბათ, ითამაშებს, მაგრამ მთელი ძალით? კიდევ ერთი: „ინტერს“ ჯუზეპე ბერგომი უბრუნდება.

კი მაგრამ, რონალდო? თითქმის გადაწყვეტილია, რომ იგი დღევანდელ შეხვედრას გამოაკლდება. მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელს ფეხის ტრავმა ჯერაც არ მოუშუშებია. ცნობისთვის: წლეულს „ინტერის“ 38 ოფიციალური მატჩიდან რონალდო მხოლოდ 15-ში მონაწილეობდა.

კოტე ვაიტაძე

იუვენტუსი vs ოლიმპიაკოსი

ოთხი წელიწადი! მთელი ოთხი წელიწადი! ტურნირის „იუვენტუსი“, იტალიის ყველაზე ტიტულიანი გუნდი, ოთხი წელიწადი, ევროთასების ფინალში გადის. მართალია, აქედან მხოლოდ ერთხელ იმარჯვა, მაგრამ მაინც. მას შემდეგ, რაც 1993-94 წლების სეზონში „შავ-თეთრები“ იტალიურმა „კალიარიმ“ უეფას თასის მეოთხედფინალში დაამარცხა, „იუვენტუსს“ ევროგათამაშებების ერთი ტურიც კი არ გაუცდენია.

„ბებერი ქალბატონის“ სვლა ბებერ კონტინენტზე კვლავ გრძელდება.

„დელე ალპი“, მრავალი დიდი ორთაბრძოლის მოწმე სარბიელი, დღეს შედარებით მოკრძალებულ სტუმარს, ბერძნულ კლუბს, კერძოდ კი პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ მასპინძლობს. ფავორიტად ვინაა მიჩნეული, ძნელი მისახვედრი არაა, თუმცაღა თუ იტალიელთა მდგომარეობას (კრიზისულს) და ბერძენთა ბოლოდროინდელ აღმასვლას გავითვალისწინებთ, იქნებ სენსაციაც მოხდეს.

— ჩვენი მიზანი იგივე რჩება. „იუვენტუსი“ კვლავაც ეცდება, ჩემპიონთა ლიგა მოიგოს — ჩირო ფერარა, „იუვენტუსის“ დღევანდელი შემადგენლობიდან, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი, უკან დახევას არ აპირებს. თითქმის ამასვე ფიქრობენ ტურინული კლუბის სხვა მოთამაშეები, თუმცა მწვრთნელი კარლო ანჩელოტი დუმს. სხვათა შორის, მისი ხელმძღვანელობით ნათამაშევი სამი მატჩიდან „იუვენტუსმა“ ორი მოიგო, ხოლო მესამე ფრედ დაასრულა. კარი ყველა შემთხვევაში მშრალად შეინახა.

— გუნდი უპრობლემოდ ხვდება ამ პრინციპულ თამაშს და სრულ მზადყოფნაშია, რათა ტურინიდან შინ თავაწეული დაბრუნდეს. „ოლიმპიაკოსი“ კარგი გუნდია და ჩვენს ძალას იტალიაშიც დავამტკიცებთ — „ოლიმპიაკოსის“ იუგოსლავიელი მწვრთნელი დუშან ბაევიჩი იმედიანადაა. მისივე განცხადებით, შესაძლოა, იტალიას ხუთი ათასამდე პირეოსელი ქომაგი ეწვიოს.

„ოლიმპიაკოსს“ პრობლემები არ აქვს, „იუვენტუსში“ კი... დელ პიერო ისევ ვერ ითამაშებს. სათუოა მეკარე ანჯელო პერუცის გამოჩენაც. ერთი მარკ იულიანო დაუბრუნდა გუნდს.

ლაშა გოდუაძე

ვლადისლავ რადიმოვი

15 თებერვალს ჩემს ბინაში სატელეფონო ზარი გაისმა. ძმა მირეკავდა, შენთვის საინტერესო მასალა მაქვს და თუ შეგიძლია, გამომიარე, იქნებ გამოგადგესო. გამიკვირდა. ვერაფრით გამეგო, თუ რით შეეძლო დაეინტერესებინა ქიმიკოსს სპორტული ჟურნალისტი. წასვლით კი მაინც წავედი, რადგან საქმე არაფერი მქონდა და შორსაც არ უნდა მევლო. ნოემბატვეევკის 22-ის ეზოში რომ შევედი, იქაურობა ცოტა უცნაურად გამოიყურებოდა.

ჩხუბი ნოემბატვეევკის 22-ში

ჩვეულებრივ მოვლილი ეზო სილიკატური აგურის ნამტვრევებით იყო სავსე, პირველი სართულის ერთ-ერთი ფანჯრის შუშები მთლიანად ჩაემსხვრიათ, მიუხედავად ცივი ამინდისა, ეზოში ხალხიც გამოფენილიყო და იყო გაცხოველებული დავა და კამათი. მეორე სადარბაზოს შესასვლელთან კი სასწრაფო დახმარებისა და მილიციის მანქანებიც შევნიშნე, რომლებიც ჩემი მიახლოებისთანავე დაიძრნენ და ქუჩაში გავიდნენ. იქ დიდხანს აღარ დავყოვნებულვარ. ლიფტში ჩავჯექი და ძმასთან ავედი, რომელიც მოუთმენლად მელოდა, რათა მომხდარის შესახებ მოეთხრო. თურმე რაში ყოფილა საქმე:

ახალი წლის შემდეგ ნოემბატვეევკას 22-ში ახალი მაცხოვრებელი გადასულა. იქნებ მისი მისვლა ერთ ჩვეულებრივ მოვლენადაც აღქმულიყო, რომ არა კორპუსის პატარა მობინადრენი. ფეხბურთის ტრფიალებმა მაშინვე შეიცნეს ესპანეთის „სარაგოსადან“ დაბრუნებული, ერთ დროს მოსკოვის ცსკა-სა და რუსეთის ნაკრებში მოთამაშე პოპულარული ნახევარმცველი ვლადისლავ რადიმოვი. იგი რუსეთში აპირებდა თამაშის გაგრძელებას. სავარაუდოდ, მოსკოვის რომელიმე კლუბში, ინტენსიურ მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა და საქმეც თითქმის მოგვარებული ჰქონდა. ის მარტო ცხოვრობდა, თუმცა, მეზობელთა თქმით, მასთან ხშირად დადიოდნენ მეუღლე (?!) და დედა, შეჭაღარავებული სიმპათიური ქალბატონი. რატომ გამოეყო ოჯახს რადიმოვი, ამის მიზეზს დანამდვილებით ვერ მოგახსენებთ. ახლა კი იმის შესახებ, თუ რას ჰყვებიან თვითმხილველები:

15 თებერვალს, დაახლოებით 19 საათისთვის ნოემბატვეევკას 22-ის ეზოში სამი მსუბუქი ავტომანქანა შესულა. მეზობელთა თქმით, ორი „ვაზ 2106“ და ერთიც „ბმვ“-ის მარკის. მათი ნომრების დამახსოვრება, ცხადია, არავის მოსვლია აზრად. ორიოდე წუთში ეზოში თურმე ყვირილი და უშვერი ლანძღვაგინება გაისმა. მომხვდურნი გამეტებით უშენდნენ ქვებსა და აგურებს პირველი სართულის ერთ-ერთი ბინის ფანჯრებს. მინები ზრიალით იმსხვრეოდა, ბინის პატრონი კი არსად ჩანდა. იგი სულ მალე გამოჩნდა, უფრო სწორად, სადარბაზოდან გამოვარდა. დაინახეს თუ არა ვლადისლავ რადიმოვი, გააფთრებული ახალგაზრდები მისკენ საცემრად გაექანნენ. მეორე სართულის ფანჯრიდან მოთვალთვალე მეზობლებმა ისიც კი შენიშნა, რომ ერთ-ერთმა ყმაწვილმა დანა ამოიღო, თუმცა როგორც შემდეგ გაირკვა, რადიმოვისთვის ჭრილობა არ მიუყენებიათ.

არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ყოველივე, ისევ და ისევ მეზობლებს რომ არ ეაქტიურათ. ისინი აყვირდნენ, მილიციაში დარეკეთ და ახლავე აქ გაჩნდებიანო. თავდამსხმელები ძალიან გამხეცებული კი იყვნენ, მაგრამ, ეტყობა, უმალ გაიაზრეს ყოველივე და შემთხვევის ადგილს უმალ გაეცალნენ, თუმცა წასვლის დროსაც საშინლად ილანძღებოდნენ და იმუქრებოდნენ, სულ მალე ისევ მოგაკითხავთო.

ყოველივე რომ დასრულდა, მეზობლები უკვე თამამად გამოვიდნენ ქუჩაში, რადიმოვი წამოაყენეს და შინ შეიყვანეს, დაბარებული მილიცია და სასწრაფო დახმარებაც ოპერატიულად გამოცხადდა.

ფეხბურთელის მეულლის, დედისა და სხვა ახლობელთა განცხადებით, მათ წარმოდგენაც არა აქვთ, თუ რა უნდა მომხდარიყო. დედა, ოლგა მატვეევნა, ამბობს:

— ვერაფერი გამიგია. ვლადს მტრები საერთოდ არ ჰყავს და არც შეიძლება ჰყავდეს. ის ხომ ისეთი კეთილია და მეგობრული. ჩემი შვილი ორი წლის განმავლობაში ესპანეთში იყო და აქ ვისთვის რა უნდა დაეშავებინა? მარტიდან თამაშიც უნდა დაეწყო, ბოლო ხანს უკეთესი ვარიანტიც გამოუჩნდა, გერმანიაზე იყო საუბარი. ახლა კი, ახლა რა გვეშველება?

ახლახან შევიტყვეთ, რომ რადიმოვის ჯანმრთელობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება და ორიოდე დღეში ის ვარჯიშსაც განაახლებს.

არაფერი იცის თავად ფეხბურთელმაც, რომელთან გასაუბრება МУР-ის თანამშრომლებმა საჭიროდ ჩათვალეს. მაშ, რა უნდა მომხდარიყო? საქმეში ისევ პატარა გულშემატკივრები ჩაერივნენ. ორ მათგანს კარგად დაუმახსოვრებია ერთ-ერთი თავდამსხმელის სახე. ისინი თამამად აცხადებენ, რომ ის მოსკოვის ცსკა-ს თავგამოდებული ფანატიკოსია, რომელიც გუნდის თითქმის ყველა თამაშს ესწრება და თავისი სისასტიკით იმ დაუნდობელ ბრბოშიც კი გამოირჩევა. ბავშვები ისე ირწმუნებოდნენ, ოპერატიული თანამშრომლებიც თითქმის დააჯერეს. ყოველ შემთხვევაში, მათ ეს ვერსია არ გამორიცხეს და რადიმოვის ყოფილ თანაგუნდელებთან გასაუბრების შემდეგ გამოცანის ამოხსნის ერთ გზასაც მიადგნენ.

ესპანეთში წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე რადიმოვმა და მისმა თანაგუნდელებმა ვლადისლავის ესპანეთში გამგზავრება რესტორან „იაროსლავლში“ ქეიფით აღნიშნეს. ფეხბურთელს კონტრაქტზე ხელი უკვე მოწერილი ჰქონდა და ბიჭებმაც, განსაკუთრებით კი რადიმოვმა, ცოტათი მოულხინეს. მალე მეზობელ მაგიდას ახალგაზრდების მეორე ჯგუფი მიუჯდა. მათ მაშინვე იცნეს რადიმოვი, ხოხლოვი და სხვები. მანამ ბიჭები ფხიზლად იყვნენ და ფეხბურთელებსაც ამცნეს, ცსკა-ს თავგამოდებული ქომაგები ვართო, ყველაფერი ნორმალურად იყო. მერე კი, მერე... ერთნიც და მეორენიც რომ შეზარხოშდნენ, სრულიად უსაფუძვლოდ შეკამათდნენ. საქმის გარჩევა ქუჩაში გაგრძელდა და ნავარჯიშევმა ბიჭებმა თავიანთი თავგადაკლული ფანები მეგობარი გოგონების თვალწინ დაუნდობლად სცემეს. ეს იყო და ეს.

МУР-ის თანამშრომლებმა სატელეფონო საუბრისას ამიხსნეს, ეს გამოძიების მხოლოდ ერთ-ერთი ვერსიაა, ჯერჯერობით ყველაფერი ზუსტდებაო. ვნახოთ.

იური ციბანიოვი მოსკოვიდან

საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“

საგანგებოდ „სარბიელისთვის“

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

	3 მარტი			
რეალი — დინამო	(1,4-2,3)	1,6	3,1	5,3
მანჩესტერი — ინტერი	(1,7-1,7)	1,9	2,9	3,6
იუვენტუსი — ოლიმპიაკოსი	(1,05-7,5)	1,15	5,6	10,0
ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი	(1,15-4,0)	1,35	3,8	7,0

თასების თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

	4 მარტი			
ჩელსი — ვალერენგა	(1,05-7,5)	1,15	5,6	10,0
ლოკომოტივი — მაკაბი	(1,35-2,5)	1,5	3,2	6,5
ვარტექსი — მალიორკა	(7,5-1,05)	3,0	2,9	2,2
პანიონიოსი — ლაციო	(10,0-1,02)	5,3	3,1	1,6

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები

3 მარტი			
შეფილდ უენსდეი — უიმბლდონი	1,8	2,8	4,4

ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXXIV ტური.

3 მარტი			
ბარნსლი — ბრედფორდი	2,5	2,9	2,5
ქუინზ პარკი — ოქსფორდი	1,6	3,0	5,6
სვინდონი — ტრანმერი	2,2	2,8	3,1

შვეიცარიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

3 მარტი			
ქსამაქსი — გრასჰოპერი	2,5	2,8	2,6

ჩემპიონთა თასი		თასების თასი		უეფას თასი	
ინტერი	2,5	ლაციო	2,0	რომა	3,0
იუვენტუსი	2,5	ჩელსი	2,0	პარმა	3,0
მანჩესტერი	3,0	მალიორკა	3,0	მარსელი	4,0
ბაიერნი	4,0	ლოკომოტივი	8,0	სელტა	5,0
რეალი	5,0	მაკაბი	15,0	ბორდო	5,0
კაიზერსლაუტერნი	10,0	ვარტექსი	50,0	ბოლონია	5,0
დინამო	10,0	ვალერენგა	50,0	ატლეტიკო	6,0
ოლიმპიაკოსი	50,0	პანიონიოსი	50,0	ლიონი	10,0

კალათბურთი

NBA

3 მარტი			
ფილადელფია — ჩიკაგო	1,2	12,0	3,5
ვაშინგტონი — ინდიანა	1,7	12,0	1,7
ორლანდო — შარლოტი	1,1	12,0	5,0
მილუოკი — გოლდენ სტეიტი	1,4	12,0	2,3
იუტა — ვანკუვერი	1,1	12,0	5,0
ლეიკერსი — ფინიქსი	1,4	12,0	2,3
საკრამენტო — პორტლენდი	1,9	12,0	1,55
4 მარტი			
ნიუ ჯერსი — შარლოტი	1,4	12,0	2,3
მაიამი — დენვერი	1,2	12,0	3,5
ატლანტა — ტორონტო	1,15	12,0	4,0
კლივლენდი — დეტროიტი	1,7	12,0	1,7
დალასი — სან ანტონიო	1,7	12,0	1,7
ჰიუსტონი — კლიპერსი	1,1	12,0	5,0
სიეტლი — ფინიქსი	1,5	12,0	2,0
ვანკუვერი — მინესოტა	2,0	12,0	1,5

ჰოკეი.

NHL

3 მარტი			
ბუფალო — ედმონტონი	1,35	4,4	3,6
ტორონტო — ნიუ ჯერსი	1,8	4,4	2,2
პიტსბურგი — მონრეალი	1,3	4,4	4,0
კაროლინა — ბოსტონი	1,7	4,4	2,4
ფლორიდა — კოლორადო	1,8	4,4	2,2
ვანკუვერი — სან ხოსე	2,0	4,4	2,0
ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი	1,5	4,4	3,0
4 მარტი			
აილენდერსი — დალასი	2,7	4,4	1,6
ფილადელფია — ოტავა	1,6	4,4	2,7
ვაშინგტონი — რეინჯერსი	1,8	4,4	2,2
ტამპა ბეი — კოლორადო	2,7	4,4	1,6
სენტ ლუისი — ტორონტო	2,0	4,4	2,0
ლოს ანჯელესი — ნეშვილი	1,5	4,4	3,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

27-28 თებერვალი

A ჯგუფი

ბელგია 73:82 საბერძნეთი

ბელგია: ბერი (8), ბაიერი (5), კლეიმანსი (18), გუტალსი (13), ლორიდონი (7), სტასი (11), სტრიულენსი (11), ვან ჰალე

საბერძნეთი: ალვერტისი (24), ბალოიანისი (12), ბუდურისი (2), გიანოულისი (9), კარაგუტისი (8), ლიადელისი (4), ნიკოლაიდისი (4), პაპანიკოლაუ (13), სიგალასი (2), ცაკალიდისი (4)

სლოვენია 86:67 ბულგარეთი

სლოვენია: ბეკიროვიჩი (7), ბრეზეცი (13), დრაზოვიცი, იაგოდნიკი (13), იეკლინი (15), კუნცი (6), სმოდისი (26), სპორარი (2), ტოვორნიკი (2), ტრიფონოვიჩი (2)

ბულგარეთი: ანგუელოვი, ბელბეროვი (7), დიმიტროვი, დრუმევი (5), კოეჩინოვი, კოსტურკოვი (7), ნატოვი (12), პეტროვი (3), სტოიკოვი (28), ველჩევი (5)

გერმანია 79:53 სლოვაკეთი

გერმანია: ბოგოევიჩი (6), ფემარლინგი (16), ლუტკე (2), მაკოვსკი (4), მუში (13), ნეესი (12), პესიჩი (7), როდლი (7), ტერდენგი (10), მუხერერი (2)

სლოვაკეთი: იაკაბოვიჩი (11), კრკოსი, ლოვიკი, მიხალიკი (1), მიჩუდა (13), მორავეკი, სმაკო (1), სნოპკო (5), ტოია (13), ვიმერი (9)

A ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 სლოვენია		79:66	75:71	86:67	80:57	72:61	9	1	810:695	19
2 საბერძნეთი	76:79		58:53	92:62	79:72	77:56	7	3	782:704	17
3 გერმანია	76:91	74:71		76:73	79:53	79:70	7	3	731:688	17
4 ბულგარეთი	79:71	83:105	61:83		86:70	86:82	3	7	744:831	13
5 სლოვაკეთი	70:101	73:76	66:68	73:72		88:76	2	8	690:792	12
6 ბელგია	72:76	73:82	70:72	93:75	75:68		2	8	728:775	12

B ჯგუფი

რუმინეთი 81:98 რუსეთი

რუმინეთი: კ. ალეკუ, დ. ალეკუ, აპოსტოლი (6), პიკოვი, ბურლაჩუ (7), ფომეტეშკუ (7), ლაპუსტე (19), მოკანუ (11), პოპა (8), ტორდაი (23)

რუსეთი: ზ. პაშუტინი (22), ე. პაშუტინი (9), პეტრენკო (25), სევასტიანოვი (15), ჩიკალკინი (22), ვედიჩევი (3), იუდინი (2)

მაკედონია 64:58 უნგრეთი

მაკედონია: ბლაზევსკი (2), ბოჩევსკი (6), გეჩევსკი (6), კურტოვიკი (2), მიხაილოვსკი, ნაუმოვსკი (32), სრბინოვსკი (2), სტანკოვიკი (6), სტეფანოვი (8)

უნგრეთი: ბენცე, ბოროში (5), ციგლერი (6), გულიაში (13), ჰალმი (10), კალმანი (6), მერეცი, მეცაროსი (3), ოროცი, შიტკუ (15)

პოლონეთი 89:65 პორტუგალია

პოლონეთი: ხლებოვსკი (2), იანკოვსკი (12), კოსჩუკი (2), პლუტა (15), შჩესნიაკი (3), ტომჩეკი (12), ვიეკიერა (7), ვილანგოვსკი (4), ვოიჩიკი (14), ზელინსკი (18)

პორტუგალია: ანტუნეში (14), აზევედუ (8), ბენტო, ბრიტო, მორიერა (6), დიასი (2), მარკეში (9), მაჩადო, ოლივეირა (13), კოსტა (13)

B ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 რუსეთი		116:73	87:78	92:86	108:60	115:45	9	1	942:723	19
2 მაკედონია	89:94		64:58	79:72	75:63	80:52	8	2	747:677	18
3 უნგრეთი	60:59	49:68		78:68	85:69	86:56	6	4	693:664	16
4 პოლონეთი	75:82	50:61	60:69		89:65	91:64	4	6	758:741	14
5 პორტუგალია	76:91	64:87	79:58	81:86		81:64	3	7	709:813	13
6 რუმინეთი	81:98	59:71	54:72	70:81	70:71		0	10	615:846	10

C ჯგუფი

დანია 63:80 ესპანეთი

დანია: ბიერეგაარდი (12), ჰაუგე (14), ჰიორტი (5), იენსენი (4), ლარსენი (15), ლაულანდი, ჰ. პედერსენი (4), ტ. პედერსენი (4), სორენსენი (5)

ესპანეთი: ფ. ანგულო (11), ლ. ანგულო (5), კორალესი (9), დე მიგელი (8), ჰერნანდესი (8), სანჩესი (8), გონსალესი (9), კაბანასი (12), როდრიგესი (2), რომერო (8)

უკრაინა 79:67 ბელარუსი

უკრაინა: ბაზალევსკი (7), იაილო (26), ხარჩენკო (4), ხიზნიაკი (6), ლოხმანჩუკი (25), მედვედენკო, მოლჩანოვი (6), მურზინი (2), ევსტრატენკო (3), ჟურავლიოვი

ბელარუსი: ბოიდაკოვი (20), იელუდოკი (11), კორშუკი, კოული (18), კუზმინი (2), პრივონოსი (2), ლაშკევიჩი, პლოტნიკაუ, პინტიკოვი (11), როდიონოვი (3)

ისრაელი 79:76 ინგლისი

ისრაელი: კოენი, გუდესი (9), ჰენფილდი (6), კატაში (25), კაცი, საფარი, შელეფი (9), შეფერი (14), შტენჰაუერი (16), თორჯმანი

ინგლისი: აუსტინი (5), ბაკერი, ბაკნელი (26), კარტერი (2), ჩუნგი (7), ჰანსელი (14), ჰასლემი (8), ჰერიმენი (6), ჰუგინსი (8)

C ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 ესპანეთი		71:63	80:51	74:58	101:53	86:57	10	0	827:627	20
2 ისრაელი	61:67		77:70	79:76	95:64	67:63	7	3	749:688	17
3 უკრაინა	66:83	62:65		66:60	79:67	66:67	5	5	733:693	15
4 ინგლისი	76:92	68:82	61:88		61:56	87:70	4	6	679:726	14
5 ბელარუსი	79:93	71:65	72:102	55:60		66:60	3	7	652:774	13
6 დანია	63:80	76:95	61:83	64:72	58:69		1	9	639:771	11

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკედონია — უნგრეთი. მაკედონიელი დუსკო ბოჩევსკი უნგრელმა ერნე შიტკუმ (4) ჯარიმითღა შეაჩერა

D ჯგუფი

ხორვატია 103:73 ჰოლანდია

ხორვატია: გრგატი (10), კალანიზა (8), კრსტიჩი (6), მილაჩიჩი, პრკაჩინი (14), რიმაჩი (11), რუზიჩი (15), სტოიჩი (8), ვუიჩიჩი (11), ზადრავეცი (20)

ჰოლანდია: ბენეში, დე ვუგდი (14), დე ვრიესი (3), ჰანკი (2), ჰიუბენსი (20), კრიგერი (9), ტრიემსტრა (5), ვან დერ სლუისი (20), ვან რუდსელარი, ზვიკერი

ბოსნია 83:69 ესტონეთი

ბოსნია: ალიპოჯიჩი (14), აიდინი (17), ფირიჩი (16), ჰუკიჩი (9), კაპრიმანოვიჩი (2), ლერიჩი (5), მარკოვიჩი (7), მირკოვიჩი (6), მუეზინოვიჩი (7)

ესტონეთი: კრიისა, კულამი (13), კუუსმა (14), მეტსტაკი (7), ნორმეტსი (3), პარნი (6), პეჰკა (19), რენტერი, რუმა (7), ტაგამეტსი

ისლანდია 48:94 ლიტვა

ისლანდია: არნარსონი (17), ბრაგასონი (7), ფ. ჰარდარსონი, ჰ. ჰარდარსონი (5), ჰაუკსონი (5), ოლაფსონი, რაგნარსონი, ორლიგსონი (10), სტეფანსონი, ვილბერგსონი (3)

ლიტვა: გიედრაიტისი (9), იასიკევიჩუსი (7), მაშიულისი (4), პაკესასი (8), პრასკევიჩუსი (15), შუმტოკასი (14), შისტაუსკასი (10), სლანია (8), ვაისლივა (5), ჟუკაუსკასი (14)

D ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 ბოსნია		57:87	74:67	83:69	68:60	109:84	9	1	787:717	19
2 ლიტვა	66:69		76:65	87:77	80:61	96:71	8	2	829:637	18
3 ხორვატია	64:67	72:64		88:63	103:73	111:77	7	3	813:711	17
4 ესტონეთი	90:96	60:91	76:82		90:99	88:79	3	7	817:864	13
5 ჰოლანდია	76:81	57:88	67:79	80:104		77:65	3	7	737:841	13
6 ისლანდია	54:83	48:94	74:82	79:100	83:87		0	10	714:927	10

E ჯგუფი

ლატვია 83:84 შვედეთი

ლატვია: ბაგატსკისი (29), ბერნატსი (2), ჰელმანისი (10), ლაკსა (7), ლიეპა (2), მიგლინიეკსი (9), შტელმაჰერსი (10), ვეცვაგარსი (4), ვიტოლსი (10), ზეიდაკსი

შვედეთი: აულანდერი (8), ბერგსტრიომი (7), ბლომი (11), ბიორგი, გერკე (14), ჰაკანსონი (15), ლანდგრენი, ჰ. ლარსონი (2), პ. ლარსონი (10), სალსტრიომი (17)

თურქეთი 86:67 ჩეხეთი

თურქეთი: ბეშოქი (17), ერდენაი (7), გულერი (4), ქუთლუაი (21), ოკური (9), პარსი (11), სარიჯა (7), თუნქერი, თურქოღლუ (8), ილდირიმი (2)

ჩეხეთი: ბეჩკა (27), ზიდეკი, დვორაკი, ფრანა (3), კლაპეტეკი (6), სოკოლოვსკი (4), სტანეკი (5), შტუხლი (12), ი. ველში (4), ჰ. ველში (6)

საქართველო 64:105 იტალია

საქართველო: აბრამიძე (4), ბერძენიშვილი (7), ბოისა (17), ჩხეიძე (7), გაგნიძე (4), ჯაფარიძე (9), ქარაბაკი (2), ულენტი (4), ოთიურიძე (10)

იტალია: ბასილე (6), ჯიაკიჯი (18), ჯულიომარია (6), ფუჩკა (15), გალანდა (8), მარკონატო (14), მიანი (8), პოზეკო (13), სამბუგარო (8), ტონოლი (9)მ

E ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 იტალია		68:54	84:60	92:81	96:84	90:43	8	2	823:659	18
2 თურქეთი	64:72		86:67	65:48	78:65	103:60	8	2	774:658	18
3 ჩეხეთი	63:79	67:74		102:83	77:69	81:74	6	4	757:770	16
4 შვედეთი	82:75	64:90	93:97		87:82	89:85	5	5	793:830	15
5 ლატვია	64:62	74:84	60:73	83:84		99:63	3	7	778:800	13
6 საქართველო	64:105	73:76	68:70	59:82	96:98		0	10	685:893	10

ევროპას უკრაინაც ეზედმეტა

კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო ტურის მატჩები ფორმალურ ხასიათსღა ატარებდა, რამეთუ ფინალურ ეტაპზე გამსვლელი თექვსმეტი გუნდის ვინაობა ჯერ კიდევ ბოლოსწინა მეცხრე ტურის დასრულებისთანავე გაირკვა, თუმცა რამდენიმე მატჩი მაინც უაღრესად დაძაბულად წარიმართა. ამათგან გამორჩეულად ქართველთა ამასწინანდელი მეტოქეების — ლატვიელებისა და შვედების პაექრობა უნდა გამოყოთ. ლატვიელები, თუ მოიგებდნენ, მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საკვალიფიკაციო ეტაპის გაუვლელად ჩაერთვებოდნენ, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ისინი შინ 83:84 დამარცხდნენ და მეოთხე ადგილიც სკანდინავიელებს გადაულოცეს.

აქვე უკრაინელებზეც მოგახსენებთ. მართალია, ვლადიმერ რიჟოვის შეგირდებმა ბელარუსებს 79:67 მოუგეს და C ჯგუფში მესამე ადგილიც დაიკავეს, მაგრამ მათდა სამწუხაროდ, ყველაზე მცირეძალიანი მესამეადგილოსანნი აღმოჩნდნენ. დებულების თანახმად კი ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები ავტომატურად ხვდებიან საფრანგეთში, მათ კიდევ ოთხი საუკეთესო მესამეადგილოსანიც ემატება. ამიტომაც თხუთმეტქულიან უკრაინელებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში აუხდენელ ოცნებად დარჩათ.

ახლა იმ გუნდებზეც ვთქვათ, ვინც 21 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით საფრანგეთის დარბაზებში იასპარეზებენ. მასპინძლებსა და ევროპის ჩემპიონ იუგოსლავიელებს ეს ნაკრებები შეუერთდნენ:

სლოვენია, საბერძნეთი, გერმანია, ესპანეთი, ისრაელი, თურქეთი, იტალია, ჩეხეთი, ლიტვა, ბოსნია, ხორვატია, რუსეთი, მაკედონია, უნგრეთი.

12 მარტს კი პარიზში ევროპის 1999 წლის ჩემპიონატის კენჭისყრა მოეწყობა.

კახა ხურციძე

აზიაში ხომ არ გვეთამაშა?

დღეს ჩვენთვის ევროპა მთვარეზეა

დამთავრდა კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების ჯგუფური ეტაპი. თოთხმეტმა საუკეთესო გუნდმა გზა გაიკაფა ფინალური ტურნირისკენ, რომელიც ამ ზაფხულს საფრანგეთში გაიმართება და მასპინძლებთან და წინა ჩემპიონატის ტრიუმფატორ იუგოსლავიელებთან ერთად ის თექვსმეტეული შეიკვრება, რომელიც კონტინენტის უძლიერესის ტიტულისთვის იბრძოლებს.

ქართველთათვის ეს ციკლი საბედისწერო აღმოჩნდა. ათი შეხვედრიდან ათი დამარცხებით ჩვენმა ნაკრებმა გულმოდგინედ ტკეპნა E ჯგუფის ფსკერი და ამ სავალალო შედეგით ქართული კალათბურთის სიცოცხლისუნარიანობა საეჭვო გახადა.

მარცხი მარცხად, მაგრამ რა ვუყოთ იმ მწარე რეალობას, რომელიც დაუკითხავად შემოიჭრა ჩვენს შემეცნებაში და ამბიციურ ქართველებს სიმართლის წინაშე ქედი მოგვახრევინა — საქართველოს ნაკრებს დღეს არ შესწევს საიმისო ძალა, რომ ტოლ-სწორად ეთამაშოს არამცთუ გრანდებს, არამედ ევროპის საუძალო კლასის გუნდებს, ქართულმა კალათბურთმა დაკარგა კონკურენტუნარიანობა და თანამედროვე საკალათბურთო ევროპაში მაჩაჩალის სახელი დაიგდო.

შესაძლოა, ზემოთ თქმული მავანმა გადაჭარბებულად ჩაგვითვალოს, მაგრამ ჩვენი სიტყვების სისწორეზე თავად ფაქტები მეტყველებს და უპრიანი იქნება, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ეროვნული გუნდის გამოსვლას ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ ტურნირზე. მით უფრო, რომ დღეს დასკვნების გაკეთებაც შეგვიძლია და წარუმატებლობის მიზეზებზე საუბარიც.

ამ ციკლის დაწყებას საქართველოს ნაკრების მაშინდელი მთავარი მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი იმედით შეჰყურებდა, თუმცა სტარტზე ჩეხთან, შვედეთთან და თურქეთთან დასანან მარცხთა შემდეგ ლიპარტელიანმა პოსტი დატოვა. მიუხედავად ამისა, არც მაშინ და არც შემდეგ მწვრთნელ ლიპარტელიანზე აუგი არავის დასცდენია. ეგ კი არა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ლიპარტელიანის ნაკრები მაქსიმუმს აკეთებდა, რისი გაკეთებაც კი ამგვარი მომზადებით შეიძლებოდა. ყოველ შემთხვევაში, გუნდს ჰქონდა საკუთარი ხელწერა და ტაქტიკური განსწავლულობითაც ერი თავით მაღლა იდგა დღევანდელ ნაკრებზე. და მაინც, ლიპარტელიანი წავიდა და მისი ადგილი „დინამოს“ სახელდაგდებულმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა დაიკავა. ეს უკანასკნელი რიხით მოვიდა ნაკრების საჭეთმჭერობელის თანამდებობაზე, რაშიც მისი პირველივე განცხადებაც გვარწმუნებს: „ჩეხეთთან, შვედეთთან და თურქეთთან წაგებულ თამაშებს მე მოვიგებდი“. ვერ გეტყვით, რისი ეიმედებოდა ლევან მოსეშვილს. ასე რომ არ ყოფილიყო, ამ საპასუხისმგებლო მისიას არ იკისრებდა. მის გამოცდილებასა და სამწვრთნელო ცოდნაში ეჭვის შეტანა ჩვენი მხრიდან მკრეხელობა იქნება, მაგრამ რეალობა სხვას ღაღადებს. მოსეშვილის ხელმძღვანელობით ნაკრებმა დარჩენილი შვიდივე შეხვედრა წააგო, აქედან იტალიელებთან ორი მატჩის ჯამში დეფიციტმა 88 ქულას უწია. გუნდი გვარიანად შერცხვა თურქეთსა და ლატვიაშიც, შესაბამისად, 43 და 36 ქულა წააგო. შინ 23 ქულით დაეჩაგვრინა შვედეთს, 7 ქულით დანებდა ჩეხეთს და 2 ქულით დამარცხდა ლატვიასთან. აი, ყველაფერი ის, რაც საქართველოს ნაკრებმა ერთი წლის მანძილზე მოიმკო და აქედან გამომდინარე, არავის გაჰკვირვება, როცა საკალათბურთო კულუარებში კვლავაც ბესიკ ლიპარტელიანის სახელი გაისმა.

ფაქტი ერთია, მწვრთნელთა ცვლამ ეროვნულ გუნდს სასიკეთო ვერაფერი მოუტანა. თუმცა ხელაღებით იმის მტკიცება, ლიპარტელიანი მეტს ბიადწევდაო, შეუძლებელია, რადგან ნებისმიერ მწვრთნელს თავისი იდეების განსახორციელებლად ელემენტარული პირობები უნდა შეექმნას, რაც კალათბურთის ფედერაციის პირდაპირი მოვალეობაა. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მოსეშვილსაც და ლიპარტელიანსაც არანაირი პირობა არ ჰქონიათ ნაკრების სრულფასოვნად მოსამზადებლად, თუ არ ჩავთვლით აქა-იქ გამმტყვრალ სირიულ და ისრაელურ არაფრისმომცემ შეკრებებს. სანაკრებო დონეზე გუნდს ერთი ამხანაგური შეხვედრაც კი არ უთამაშია. მაშ, ვის მოვთხოვოთ პასუხი: მწვრთნელებს, რომელთაც სასურველი კალათბურთელის ნაკრებში ჩამოყვანა ზედმეტ თავსატეხად ატყდებათ, თუ ჯიბეგაფხეკილ ფედერაციას, ორი შაურის ლოდინში სპორტის დეპარტამენტისკენ მაცქერალს თვალები რომ ამოუღამდა და ფიბა-ს ძვლმა თუ ახალმა ვალებმაც ლამის დაახრჩოს. სულ ერთია, ვის უფრო მეტად და ვის ნაკლებად მიუძღვის ბრალი, რადგან გულშემატკივრების წინაშე პასუხი ერთსაც მოეთხოვება და მეორესაც.

გულშემატკივარი ტკბილად როდი გვიხსენებია. მან ყველაზე უკეთ იცის ქართული კალათბურთის ტკივილი და საწუხარი. მას უხარია, განიცდის და, რაც მთავარია, ობიექტურად აღიქვამს მოვლენებს. ნათლად ხედავს, რომ კალათბურთი ხელში ჩაგვაკვდა და ბოღმა ახრჩობს იმის გამო, რომ არც მომავალი გვიქადის სიკეთეს.

მალე მაისიც თავს დაგვიკრავს. ნაკრები ახლა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის წინა, ანუ საკვალიფიკაციო ეტაპში უნდა ჩაებას. ღმერთმა ნუ ქნას და, თუ ვერც ეს ბარიერი დავძლიეთ, მაშინ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებიც კი ორი წლით განზე დაგვრჩება. ვინ იცის, მხოლოდ ორი წლით? ორს კიდევ ორი მოჰყვება, კიდევ ორი და... შეგვრჩება მხოლოდ ტკბილი მოგონება, დაუვიწყარი და განუმეორებელი.

დიახაც, არსებობს ამის საშიშროება. ჩვენი დღევანდელი ყოფა სწორედ რომ წინაპირობაა ქართული კალათბურთის სამუდამო დასამარებისა. მისი ბედი თითოეული ჩვენგანის ხელშია. ასე რომ, დავფიქრდეთ და გადავწყვიტოთ, გავწიროთ თუ სიცოცხლე შევუნარჩუნოთ კალათბურთს. გვემეტება კი დასაღუპად?!

გიორგი ბიკაშვილი

---

3 მარტი. ვერის ბაღი. 17,30 საათი
აზოტი — ვითა

თურმე მოლოდინსაც ჰქონია საზღვარი, ისევე, როგორც ამქვეყნად ყველაფერს. ვინ იცის, რამდენ ხანს ელოდა გულშემატკივარი დღევანდელ დღეს და აი, გვეღირსა — ვერის ბაღში თვით „ვითა“ და „აზოტი“ შეეჭიდებიან ერთმანეთს.

გასული ჩემპიონატის პირველი და მეორე ადგილოსნები სამკვდრო-სასიცოცხლო ხუთმატჩიანი ფინალური სერიის შემდეგ ერთმანეთს არსად გადაჰყრიან. ამის მიზეზი ისიც გახლავთ, რომ პირველ წრეში „ვითამ“ დროებით ჩემპიონატს უგანა და ფედარაციამაც დებულების თანახმად გამარჯვება „აზოტს“ მიაკუთვნა. საეჭვოა, ფედერაციის ძღვენით რუსთაველებს ჩემპიონებისგან ნაწვნევი წყენა გაჰქარვებოდათ და გულის მოსაფხანად დღევანდელ მატჩშიც მხოლოდ მოგებას გეგმავენ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თხუთმეტი ტურის შემდეგ ვიცე-ჩემპიონები ერთპიროვნულად ლიდერობენ გათამაშების ცხრილში, ჯერაც დაუმარცხებლად მიიწევენ წინ და ვითელებთან წაფორთხილება წარმატებული სერიის შეწყვეტადაც დაუჯდებათ.

მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ სეზონის წინ სოლიდურ შემადგენლობას მოუყარა თავი. აზოტელთა სიძლიერე ზედმიწევნით თვალშისაცემი მას შემდეგ გახდა, რაც მათ თსუ-დან ჟღენტი და ბაბიაშვილი გადაიბირეს. ამით გუნდმა გამთამაშებლის პრობლემაც საბოლოოდ გადაჭრა და სლოვენიაში წასულ ბოისასაც ღირსეული შემცვლელი მოუძებნა. ამათ გარდა რუსთაველებს ჰყავთ ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ცენტრი ჯაფარიძე, მძლავრი უკანახაზელი გაბისონია და გუნდის „დირიჟორად“ წოდებული გოგბერიშვილი, რომელსაც ნებისმიერი მატჩის ბედის გადაწყვეტა ძალუძს. „აზოტს“ სათადარიგო კალათბურთელებიც ანგარიშგასაწევი ჰყავს.

„ვითა“, საქართველოს ექვსგზის ჩემპიონი, მოედანზე მუდამ მოსაგებად გადის და ამჯერადაც ასე იქნება. მართალია, მათ ბოლო ტურში თსუ-სგან დასანანი მარცხი იწვნიეს, მაგრამ ეს ჭკუის სასწავლებლად გამოადგებათ და ნებისმიერ მეტოქესთან საბრძოლველად მეტად მობილიზებულნი გავლენ. სხვა მხრივ, ჩემპიონებს საწუხარი არაფერი აქვთ. უკანახაზელები — აბრამიძე და დავითულიანი ჩინებულად ასრულებენ თავიანთ ფუნქციას, მათ ზურგს ორმოცაძე-ჩუბინიძე-კოკოლაშვილის ნაცადი სამეული უმაგრებს. ცენტრზე კი კორძაძე და ახალკაცი მოქმედებენ სასარგებლოდ.

ერთი სიტყვით, დღეს ვერის ბაღში ჩემპიონობის უპირველესი მაძიებელნი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და იმედია, ქომაგნიც თვალსასეირო სანახაობით დატკბებიან.

დიმიტრი ნიშნიანიძე

3 მარტი. ვერის ბაღი. 14 საათი
ასკ — მაკაბი

არც თუ ისე დიდი ხნის შესვენების შემდეგ ჩვენი კლუბები კვლავაც შეეტოქებიან ერთმანეთს. განახლდება ეროვნული ჩემპიონატი და ჩვენი მაყურებლიც ვერის ბაღს დაუბრუნდება. დღევანდელ პირველსავე შეხვედრაში აუტსაიდერები შეებრძოლებიან ერთმანეთს.

მაშ ასე, ასკ—„მაკაბი“, სატურნირო ცხრილის ბოლოში მოკალათებულთა (თუ ამას მოკალათება ეთქმის) პაექრობა. მოდით, თანმიმდევრობით მივყვეთ. ჯერ არმიელებზე ვთქვათ. ასკ მერვე ჩემპიონატს მეორე წრიდან შემოუერთდა და ამ მოკლე დროში მხოლოდ „შევარდენის“ ძლევა მოახერხა. ამ ახალგაზრდულ გუნდს საბრძოლო შემართება არ აკლია, ერთი ეგაა, მოთამაშეები შეწყობილად ვერ ირჯებიან. თუმც ამ ნაკლის გამოსასწორებლად შესვენებისას დროც საკმაოდ ექნებოდათ და ბიჭებიც, ალბათ, ყველაფერს იღონებდნენ. მათი შრომის ნაყოფი კი დღეს უნდა გამოჩნდეს, თორემ ერთ კინკილა მოგებას ამ მაჩტში გაორება არ უწერია.

„მაკაბი“ კი შემსრულებელთა რიცხვმრავლობით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ სასტარტო, თანაც შეუცვლელი ხუთეულის მონდომებით აუტსაიდერ მეზობლებთან გამარჯვებას მაინც ახერხებს. თუ მაკაბელთაგან „დინამოს“ ძლევას არავინ მოელოდა, „შევარდენთან“ და „კოლხასთან“ მოგების შემდგომ გუნდმა შურისმაძიებლის სახელი დაიგდო. „მაკაბის“ არმიელების ჯავრი არა აქვს ამოსაყრელი (პირველ წრეში ასკ-ს მასთან წაგება ჩაეთვალა) და მეტოქეს შედარებით მშვიდ ხასიათზე შეხვდება. ვინ იმარჯვებს, ამაზე სიტყვა არ დაგვცედნია და თავსაც იმიტომ ვიკავებთ, რომ ორივე გუნდს თანაბარი შანსი აქვს.

მატჩს დამატებით ინტრიგას ისიც სძენს, რომ არმიელი პაპასკირი და ჩხაიძე უწინ მაკაბელთა მხარდამხარ იღვწოდნენ და არცთუ ურიგოდ. ახლა კი, მშობლიურ კლუბში დაბრუნებულნი, ყოფილ თანაგუნდელებს პირისპირ წარუდგებიან და უბრძოლველად არაფერს დაუთმობენ.

მამუკა ტულუში

ვერაგ დილინჯაშვილის ფოტო

პირველი წრის სტუ — დინამო. სტუდენტი ლაშა ლოსაბერიძე (ბურთით) დინამოელ დავით შანიძეს დაუსხლტა

3 მარტი. ვერის ბაღი. 15,45 საათი
სდასუ — კოლხა

სდასუელებს მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი ვერც კოლხებთან შეხვედრისას დაარიგებს. იგი უცხოეთშია და გუნდის გაძღოლას, ისევე, როგორც წინა მატჩებში ალბათ, სტუდენტთა ლიდერი დავით თორთლაძე ითავებს. ბოლო შეხვედრაში, ასკ-სთან სადსუელებმა კარგად ითამაშეს, თვითონ თორთლაძემ კი მშვენივრად შეასრულა როგორც მოთამაშის, ასევე მწვრთნელის მოვალეობა. „კოლხა“, რაც წამყვანმა კალათბურთელმა ვანო აბულაძემ დატოვა, შესუსტებულია. ფარქვეშ მხოლოდ დავით უგრეხელიძე იბრძვის, სდასუელ ცენტრებთან მარტო პაექრობა იოლი საქმე არ არის და დავითსაც დიდი ჯაფა მოელის შოთა მაჭარაძის, გიგი ხარაძის, ლევან ქევხიშვილისა და კახა გიგაშვილის წინააღმდეგ.

სდასუ-ს უკანა ხაზშიც ძლიერი მოთამაშეები ჰყავს.: დავით თორთლაძე, შოთა უძილაური და თამაზ გიგაური ჩვენს ჩემპიონატში ანგარიშგასაწევი ძალაა და ბუნებრივია, ახალგაზრდა სოხუმელებს მათთან ბრძოლა მეტად გაუჭირდებათ — სდასუელები „კოლხასთან“ მოგებას ხელიდან არ გაუშვებენ. მათ პლეი ოფში თამაში აქვთ დასახული მიზნად, რაც სავსებით რეალურია და სტუდენტებისთვის ყველა მოგებას დიდი ძნიშვნელობა აქვს. „კოლხამ“ ბოლო შეხვედრა „მაკაბისთან“ დათმო და თავის მხრივ, ეცდება, გუნდის ქომაგებს კიდევ არ გაუცრუოს იმედი, თუმცა ეს მართლაც ძნელი საქმეა. მისი მეტოქე ყველა რგოლში უკეთაა დაკომპლექტებული და ამ მატჩში სწორედ სდასუ-ა ფავორიტი. პირველ წრეში სდასუელებმა იოლად სძლიეს „კოლხას“, რომელიც მოედანზე რევანშის წყურვილით გამოვა, თუმცა მარტო მონდომება როდი შველის საქმეს...

ზურაბ გონაშვილი

4 მარტი. ვერის ბაღი. 15,45 საათი
დინამო — სტუ

ვფიქრობ, დინამოელთა და სტუდენტთა პაექრობა ინტერესმოკლებული არ იქნება. ალბათ, გემახსოვრებათ, პირველ წრეში ერთობ მომძლავრებულმა სტუ-მ „დინამო“ რომ დაიფრინა. მაშინდელ მატჩში დაჩაგრულთ ახლა ეძლევათ ჯავრის ამოყრის შანსი. შეძლებს კი ამას „დინამო“? ისე, ამ გუნდის ქადილი არცთუ უსაფუძვლოა მას შემდეგ, რაც ძველები, ფედერაციის მიერ შეწყალებული ხოშტარია და რუსეთმოვლილი კილაძე დაუბრუნდა. მათმა მოსვლამ ახალგაზრდულ შემადგენლობას ბრძოლისუნარიანობა შემატა.

ზემოთ სტუ-ს მომძლავრება ვახსენეთ და არცთუ უმართებულოდ. ჩერქეზიშვილი, ოთიურიძე და ცხვედიანი ხომ ბევრ გუნდს დაამშვენებდნენ. საქმეში მრავალნაკად ტრიოს ტანმაღალი ცქიტიშვილიც შეემატათ და სტუდენტებიც ერთიორად გაძლიერდნენ.

გუნდების შემადგენლობებზე სიტყვა გაგვიგრძელდა და მატჩს დავუბრუნდეთ, სადაც რაიმეს წინასწარმეტყველება ძნელია. ორივე მხარეს შეუძლია გამარჯვების მოპოვება, მაგრამ მცირედ უპირატესობას მაინც სტუ-ს მივაკუთვნებთ. მით უმეტეს, რომ სტუდენტებს უფრო თანაბარძალოვანი რგოლები ჰყავთ. თანაც ბოლო ხანებში „დინამოელთა“ მთავარი მწვრთნელისთვის, ლევან მოსეშვილისთვის ავადმყოფობას თავი შეუხსენებია და შესაძლოა ეს, გუნდის თამაშსაც დაეტყოს. მიუხედავად ამისა, „დინამოს“ უგულებელყოფა არ შეიძლება, იგი ჯავრს უბრძოლველად არ შეირჩენს. თავის მხრივ, სტუ-ც არას დათმობს და საბოლოოდ ვინ იძალებს, ამას მხოლოდ შეხვედრა გასცემს პასუხს.

აჩიკო გელაშვილი

4 მარტი. ვერის ბაღი. 14 საათი
თსუ — შევარდენი

ამ შეხვედრაში წინა ტურის სენსაციის ავტორი, ექვსგზის ჩემპიონ, „ვითას“ დამმარცხებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი პირველობის აუტსაიდერს, „შევარდენს“ შეხვდება. შევარდნებს მეორე წრეში მატჩი არ მოუგიათ და ბუნებრივია, სტუდენტებთან წარმატების მისაღწევად იბრძოლებენ, თანაც ეს შეხვედრა ორივე გუნდისთვის პირველი იქნება ორკვირიანი შესვენების შემდეგ და მოულოდნელობას ვერ გამოვრიცხავთ. თამაშის იშტაზე მოსული სტუდენტების შეჩერება ძნელი საქმეა, თანაც თსუ-ს „შევარდენზე“ გრძელი სკამიც აქვს და კარგი მოთამაშეებიც მრავლად ჰყავს: ცენტრზე არჩილ ხელაშვილი და გოჩა არსიაშვილი ეგულებათ, თავდასხმაში გიორგი მარკოიშვილი და ოდისეი დიმიტრიადი, დაცვაში კი გოჩა წოწელია, ნიკა ვეფხვაძე და ლევან მგალობლიშვილი. „შევარდენს“ კი პრობლემები აქვს — რაც გუნდი ცენტრმა, ბექა ნუცუბიძემ დატოვა, ფარქვეშ დიდი თავსატეხი გაუჩნდათ, ხანდაზმულ მალხაზ ღვინეფაძეს თსუელ ცენტრებთან ჭიდილი მართლაც რომ გაუჭირდება. დაცვაშიც გია კაზანჯიანისა და შალვა გაგნიძეს, შეიძლება ითქვას, შეუცვლელად უწევთ თამაში. მთელი ჩემპიონატის მანძილზე „შევარდენს“ ძირითადად ექვსი კალათბურთელით უწევს მოედანზე გამოსვლა და მისი არაერთი მარცხის მიზეზი, ისიც მინიმალური ანგარიშით, სწორედ მოთამაშეთა ნაკლებობაა.

ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თსუ — „შევარდენის“ შეხვედრაში, ფავორიტად სტუდენტები უნდა ჩავთვალოთ, თუმცა „შევარდენს“ არ სჩვევია მატჩის უბრძოლველად დათმობა. თუ მცველებს სროლა წაუვათ, უნივერსიტეტელებს პრობლემებს შეუქმნიან და მათაც დიდი ყურადღება მართებთ. ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდება გამარჯვება — თსუ-ს ლიდერთა შორის მოხვედრა დაუსახავს მიზნად, „შევარდენს“ კი აუტსაიდერთაგან თავის დაღწევა.

ზურაბ გონაშვილი

მენეგინს რუსთა ძლევანი ახსოვს...

დონ დინო ვლადიმერ სტეფანიაზე: ეს ბიჭი თუ იშრომებს, ბევრს მიაღწევს

ბადრი კეთილაძის ფოტო

დონ დინომ ეროვნული ნაკრების მაისური 16 წლისამ, 1966 წელს მოირგო, 1969-84 წლებში კი მისი უცვლელი წევრი იყო. ნაკრებთან ერთად მენეგინი სამჯერ დაეუფლა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალს. 1983 წელს ჩემპიონი გახდა. იგი შეუდარებელი იყო 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის ნახევარფინალში ფავორიტად მიჩნეული საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ და თანაგუნდელებთან ერთად ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ფინალში კი, მძიმე ნახევარფინალური მატჩის შემდეგ, „სკუადრა აძურა“ იუგოსლავიელებთან ვერცხლის მედალს დასჯერდა.

დინო მენეგინს ჰყავს მეუღლე კეტრინა და 25 წლის ვაჟი, „ვარეზესა“ და იტალიის ნაკრების თავდამსხმელი ანდრეა მენეგინი.

დონ დინო ინტერვიუზე უყოყმანოდ დაგვთანხმდა. მასთან საუბარიც ისეთივე საინტერესო იყო, როგორც მისი თამაში მოედანზე.

— თქვენ ახლაც, 49 წლისა, ისევე კარგად გამოიყურებით, მგონი, მოედანზე რომ გახვიდეთ, ბევრ თქვენზე ახალგაზრდას არ დაუდებთ ტოლს.

— ახლაც ვვარჯიშობ და კვირაში ერთ ან ორ თამაშშიც ვმონაწილეობ. რა თქმა უნდა, ამხანაგურებში, თორემ ჩემი ხნის კალათბურთელისთვის, როგორც უნდა გამოიყურებოდეს, დიდი კალათბურთის თამაში მიუღებლად მიმაჩნია.

— თქვენი ვაჟის გვერდით ან მის წინააღმდეგ თუ გითამაშიათ?

— ნაკრებში ანდრეას გვერდით თამაშმა არ მომიწია, რადგან ის რომ ნაკრებში მიიწვიეს, მე უკვე აღარ გამოვდიოდი. 90-იანი წლების დასაწყისში, „ტრიესტში“ თამაშისას ანდრეას „ვარეზეს“ შევხვდით და დავამარცხეთ. „ვარეზე“ დასუსტებული იყო.

— ამჯერად რატომ არ არის თქვენი ვაჟი ნაკრებში?

— გაციებულია.

— მენეგინების საკალათბურთო ტრადიციის გაგრძელება მშობლის სურვილი უფრო იყო თუ შვილის?

— ანდრეა რომ წამოიზარდა, ვუთხარი, კარგი იქნება, სპორტს თუ გაჰყვები, მაგრამ აუცილებელი არ არის, კალათბურთი აირჩიო, რაც გინდა, ის ირჩიე-მეთქი. თავიდან იგი ცურვასა და სირბილზე დადიოდა, მაგრამ ბოლოს მაინც კალათბურთი არჩია.

— ანდრეა სიმაღლითაც დაგემსგავსათ?

— მე 2 მეტრი და 5 სანტიმეტრი ვარ, ანდრეა კი ჩემზე ცოტა დაბალი, დაახლოებით 2 მეტრი იქნება, ამიტომაც იგი ძირითადად ფრთაზე თამაშობს.

— კალათბურთში სიმაღლის გამო მონვედით თუ მისი სიყვარულით?

— მხოლოდ სიყვარულით.

— ხანგრძლივ საკალათბურთო კარიერასაც სიყვარულით ახსნით?

— თავიდან ფიზიკურად სუსტი ვიყავი, მაგრამ შემდეგ ისე მოვლონიერდი, რომ დღესაც შესანიშნავად ვგრძნობ თავს. არასოდეს შევუწუხებივარ უბრალო ტრავმებსაც კი. სიყვარულთან ერთად ალბათ ამანაც განაპირობა ის, ასე ხანგრძლივად რომ შევრჩი აქტიურ სპორტს.

— კალათბურთის გარდა სხვა სპეციალობა თუ გაქვთ?

— ერთი წელი არქიტექტურას ვსწავლობდი, მაგრამ დრო არ მყოფნიდა და იძულებული გავხდი თავი დამენებებინა.

— ხომ არ ნანობთ, რომ მხოლოდ კალათბურთს შემორჩით?

— პირიქით, ვთვლი, რომ ძალიან გამიმართლა. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა შემოვიარე და ყველგან სიყვარულით მხვდებიან.

— საქართველოზე რა შთაბეჭდილება გრჩებათ?

— დროის სიმცირის გამო თქვენთან თითქმის არაფერი მინახავს, მაგრამ ვისაც შევხვდი, ყველა დიდი სითბოთი მხვდებოდა. ვხედავ, რომ ბევრი შეჭირვებული ხალხი დადის ქუჩაში, მაგრამ ბევრი შეძლებულიც გყოლიათ, რომლებიც ძვირფასი მანქანებით დასეირნობენ. ჩემი აზრით, თქვენთვის უმთავრესი დამოუკიდებლობაა, დანარჩენი კი თანდათან მოვა.

— საქართველოს კალათბურთზე თუ გსმენიათ რამე?

— ვიცი, რომ 60-იან წლებში კარგი გუნდი ყავდათ და ევროპის ჩემპიონთა თასიც მოგიპოვებიათ. სამწუხაროდ, ქართველებს მოედანზე არ შევხვედრივარ.

— არც საბჭოთა კავშირის ნაკრებთან თამაშისას?

— შეიძლება შევხვდი, მაგრამ არ მახსენდება. მაშინ სსრკ-ს ყველა მოთამაშეს რუსად აღვიქვამდით.

— სტეფანიაზე რას მეტყვით?

— ლიუბლიანის „ოლიმპიაში“ რომ თამაშობს?

— წლეულს სტეფანიამ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა „სიეტლ სუპერსონიქსთან“.

— იშვიათად მინახავს სტეფანიას სიმაღლის ასეთი მოქნილი და სწრაფი კალათბურთელი. ეს ბიჭი თუ იშრომებს, ბევრს მიაღწევს.

— ბევრისთვის დღესაც გამოცანად რჩება, როგორ სწყობნიდა დინო მენეგინი 15-17 სანტიმეტრით მაღალ მეტოქეებს...

— მიმაჩნია, რომ კალათბურთელისთვის აუცილებელია ნიჭი, გამძლეობა, შრომისმოყვარეობა და, რაც მთავარია, ენი, ბრძოლის წყურვილი.

— თქვენ ყველა ეს თვისება გქონდათ?

— ერთში ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი: მშიშარა არასოდეს ვყოფილვარ.

— მაგ თვისებამ ხომ არ განაპირობა მოსკოვის ოლიმპიადაზე თქვენგან საბჭოელების ძლევა? მაშინ თქვენს წინააღმდეგ თამაშობდნენ ცნობილი ცენტრები ტკაჩენკო და ბელოსტენნი.

— რა თქმა უნდა, ასეც იყო.

— ყველაზე მეტად ვისთან გიჭირდათ თამაში?

— ტკაჩენკოსთან, ბელოსტენინთან, ჩოსიჩთან... ყველას ვერც ვიხსენებ.

— პარტნიორთაგან ვის გამოარჩევდით?

— 70-იანი წლების დამდეგს იყო ასეთი იტალიელი კალათბურთელი — ფაბიანო, რომელიც მაშინ კარიერას ამთავრებდა. მისი რჩევები შემდგომ დიდად გამომადგა და დღესაც კარგად მახსოვს.

— მატჩებიდან ალბათ მოსკოვის ოლიმპიადაზე რუსების დამარცხებაა ღირსსახსოვარი...

— იყო უფრო სამახსოვრო მატჩი 1970 წელს, როდესაც ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში მოსკოვის ცსკას ვძლიეთ. მაშინ 20 წლის ვიყავი და გუნდში ძირითადად ჩემი თანატოლები თამაშობდნენ. ეს ის თაობა იყო, რომელმაც შემდეგ, 1980 წლის ოლიმპიადაზე რუსეთის ნაკრების დამარცხება შეძლო.

როლანდ ლაგუჩიძე
ირაკლი ფირაშვილი

შაკილი როდმანს ეარშიყება

1 მარტი

საკრამენტო 102:105 სიეტლი

საკრამენტო: ვილიამსი (11 ქულა, 10 პასი), აბდულ-ვაჰადი (8), ვილიამსონი (13), ვებერი (20 ქულა, 14 მოხსნა), დივაცი (9); სტოიაკოვიჩი (17), ფანდერბურკი (8), მაქსველი (4), ბერი (12, ჰოკინსი

სიეტლი: პეიტონი (28 ქულა, 12 პასი, 10 მოხსნა), ოუენსი (14), შრემპფი (11), ბეიკერი (31), პოლინაისი (3 ქულა, 10 მოხსნა); ჰოკინსი (9), ელისი (5), ვილიამსი (4)

„საკრამენტო კინგზი“ ის გუნდია, სიეტლს პირველი მარცხი რომ აგემა და სეზონის სტარტზე ექვსმატჩიანი მოგებების სერია შეაწყვეტინა. პირველ ნახევარში მთელი 13 ქულითაც იგებდა, მაგრამ საკრამენტოელებმა რა იცოდნენ, რომ წინა მატჩებში ბევრი არაფრით თავგამოჩენილი ვინ ბეიკერი მაინცდამაინც ამ თამაშში, განსაკუთრებით მეორე ნახევარში, გაიგიჟებდა თავს. ბეიკერი ლიგაში მეექვსე და ამასთან მისთვის ყველაზე უხეირო სეზონს ატარებს და ამ შეხვედრამდე მისი საშუალო მონაგარი მხოლოდ 11,3 ქულა იყო. ამის მიზეზს თავად ბეიკერიც ვერ ხსნის, ვერ ამბობს, რამ აიძულა, საკრამენტოსთან ასე გამოედო თავი. მის მშვენიერ თამაშს ერთიორად მეტი ფასი დაედო, რადგან წინა მატჩში მის მძლეველ კრის ვებერს აჯობა. ბეიკერი კარგი იყო, მაგრამ არანაკლებ გაიბრწყინა სიეტლის სუპერგამთამაშებელმა გერი პეიტონმა, რომელმაც ამ სეზონში პირველი, საერთოდ კარიერაში კი მერვე სამმაგი დუბლი გაუხერხა მშობლიურ გუნდს. სწორედ მისი და ბეიკერის ხელმძღვანელობით დაფარა სიეტლმა მეორე ნახევარში 13-ქულიანი დეფიციტი, მეოთხე მეოთხედში თუმც მცირედით, მაგრამ მაინც მოახერხა დაწინაურება და ბოლო წამამდე შეძლო ამ რამდენიმექულიანი უპირატესობის შენარჩუნება. სწორედ დაძაბულ მატჩს და მისი კონკურენტის, ვინ ბეიკერის ჩინებულ თამაშს უნდა დავაბრალოთ, ვლადიმერ სტეფანიამ რომ ვერ ითამაშა. როგორც ჩანს, სიეტლის მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა ახალბედა ქართველის მოედანზე შეშვება ვერ გაბედა.

ფინიქსი 91:97 ლეიკერსი

ფინიქსი: გულიოტა (20)
ლეიკერსი: ონილი (25)

წყნარი ოკეანის დივიზიონის ცხრილის შუაში მყოფი გუნდები ფინიქსის „ამერიკა ვესტ არენაზე“ შეებნენ ერთმანეთს და ფიცხელი ბრძოლაც გაიმართა. მატჩი ერთობ დაძაბული იყო და ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა მნიშვნელოვნად დაწინაურება. თუმც ბოლოს შაკილ ონილის ლეიკერსმა იმძლავრა და მატჩის დამთავრებამდე ორიოდე წუთით ადრე წინ გავიდა. ლეიკერსის ახალწვეულმა, შერეკილმა დენის როდმანმა ჩვეულად დიპყრო ფარი, 16 ბურთი მოხსნა და მისთვის უჩვეულოდ ბევრი — 7 ქულა ჩაუგდო ფინიქსს. მატჩის ბოლოს კი ახალი გუნდის ლიდერს, შაკილ ონილს ათქმევინა, დენისის შემატებამ ენერგია შეგვმატა, ყოჩაღ მგას, მართლა კარგი ბიჭი ყოფილო.

ორლანდო 70:67 ატლანტა

ორლანდო: ჰარდეიეი (19 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი)
ატლანტა: მუტომბო (23 ქულა, 12 მოხსნა)

ატლანტამ ამჯერადაც მოისაკლისა ბომბარდირები — ფეხმტკივანი სტივ სმიტი და ზურგმტკივანი ალან ჰენდერსონი. მათ არყოფნაში კი ქულების ჩაგდება ამ საქმეში არცთუ წარმატებულმა დიკემბე მუტომბომ ითავა და მოულოდნელად არცთუ ურიგოდ, მაგრამ ორლანდოს შინ ძლევა ჯერ ვერც ერთ გუნდს ვერ მოეხერხებინა და ეს ვერც ატლანტამ შეძლო.

ნიუ იორკი 85:78 კლივლენდი

ნიუ იორკი: იუინგი (16 ქულა, 12 მოხსნა)
კლივლენდი: კემპი (19 ქულა, 10 მოხსნა)

უილგაუსკასო კლივლენდმა ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია პატრიკ იუინგს და მის ნიუ იორკს. ნიუ იორკმა კი სეზონის დასაწყისში კლივლენდში მარცხის ჯავრი ამოიყარა და მხოლოდ მაშინ შეეშვა „კავალიერზს“, როცა ბოლო მეოთხედში 12 ქულით წინ გავიდა.

შარლოტი 91:88 ტორონტო

შარლოტი: კოულმენი (24 ქულა, 12 მოხსნა), ვესლი (21), რიდი (20)
ტორონტო: კარტერი (15)

ვაშინგტონი 91:104 ფილადელფია

ვაშინგტონი: ჰოვარდი (21)
ფილადელფია: აივერსონი (38)

ფილადელფიამ, რომელსაც მხოლოდ ერთი ნამდვილი ვარსკვლავი ალენ აივერსონი ჰყავს, შანი არ დაუტოვა ვაშინგტონში იქაურ „ვაიზარსს“, სამი, აივერსონზე არანაკლები ვარსკვლავის პატრონს. ამთვან მხოლოდ ჯუონ ჰოვარდი და მიჩ რიჩმონდი (17 ქულა) თუ გაისარჯნენ ასე თუ ისე ხეირიანად, შარშანდელი სეზონის მეორე სიმბოლურ ხუთეულში მოხვედრილმა როდ სტრიკლენდმა კი ვერაფერი მოუხერხა აივერსონს და მხოლოდ რვა ქულის გაკეთებით მორიგი მატჩი ჩაფლავა. აივერსონი შეუდარებელი იყო. მან აშკარად დაჯაბნა თავისი მეურვე სტრიკლენდი და ვაშინგტონს თამაში მარტომ მოუგო, თუმც მატჩის შემდეგ მასზე აუები არ დასცდენია. მიყვარს როდის თამაშის ყურება, ლიგის გამთამაშებლებიდან ყველაზე მეტად იგი მომწონს და ძნელი სათქმელია, რატომ ჩაგდო ეს მატჩიო.

ბოსტონი 97:99 ნიუ ჯერსი

ბოსტონი: ვოლკერი(21), პირსი (20)
ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (20 ქულა, 11 მოხსნა), კიტლზი (20)

ძირითადი მოთამაშეების ხშირი ტრავმიანობის გამო ერთობ დასუსტებულ ნიუ ჯერსის მისმა იმედმა, კიტ ვან ჰორნმა მოაგებინა, რომელმაც საფინალო სასტვენთან ერთად გადამწყვეტი ბურთი ჩაუგდო „ბოსტონ სელტიქსს“.

ირაკლი ფირაშვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი	მ	წ	%
ორლანდო	11	4	73,3
მაიამი	9	4	69,2
ნიუ იორკი	9	5	64,3
ფილადელფია	9	5	64,3
ბოსტონი	6	6	50,0
ვაშინგტონი	4	8	33,3
ნიუ ჯერსი	3	10	23,1
ცენტრალური დივიზიონი			
ინდიანა	9	4	69,2
ატლანტა	8	6	57,1
დეტროიტი	8	6	57,1
მილუოკი	6	5	54,5
კლივლენდი	5	7	41,7
ტორონტო	4	9	30,8
ჩიკაგო	4	10	28,6
შარლოტი	3	9	25,0

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი			
იუტა	11	2	84,6
მინესოტა	8	5	61,5
ჰიუსტონი	8	6	57,1
სან ანტონიო	6	8	42,9
დენვერი	5	9	35,7
დალასი	5	10	33,3
ვანკუვერი	4	9	30,8
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
პორტლენდი	9	3	75,0
სიეტლი	9	4	69,2
ლეიკერსი	10	6	62,5
ფინიქსი	8	6	57,1
გოლდენ სტეიტი	6	7	46,2
საკრამენტო	6	8	42,9
კლიპერსი	0	12	0

ალენზე ალაღია

ფილადელფიელ ალენ აივერსონს თებერვალში გარჯა დაუფასდა. იგი ნბა-ს ნაკლული სეზონის პირველი თვის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან შარშანდელ სეზონში მატჩში საშუალოდ 22,0 ქულის გამკეთებელმა წლეულს თებერვალში ეს მაჩვენებელი 29,1 ქულამდე გაზარდა და საკმაოდ მოულოდნელად ლიგის უძლიერეს ბომბარდირთა სიას თავში მოექცა. აივერსონზე ეს აღიარება ნამდვილად ალალია. მან ხომ მართლაც ბრწყინვალედ ჩაატარა თამაშები და ფილადელფიას 14 მატჩიდან 9 ფაქტობრივად მარტომ მოაგებინა. მისი ძლევამოსილი თამაშით ფილადელფიას ფლეი ოფისკენ გზა გაეხსნა (ეს არ მომხდარა გუნდიდან ბარკლის წასვლის შემდეგ, 1992 წლიდან). წლეულს კი ფილადელფიას რეალურად ძალუძს ამ მისთვის არასასიამოვნო ტრადიციის დარღვევა და თუ ეს ასე მოხდა, გუნდი უპირველეს ყოვლისა აივერსონს უნდა უმადლოდეს.

ფილადელფიელთაგან თვის მოთამაშედ აღიარების პატივი ბოლოს 1988 წელ ჩარლზ ბარკლის ერგო, ხოლო ბომბარდირობა — უილტონ ჩემბერლენს შორეულ 1967 წელს.

ალენ აივერსონს ამ ტიტულში ეცილებოდნენ: გერი პეიტონი (სიეტლი), ჯეისონ კიდი (ფინიქსი), კრის ვებერი (საკრამენტო), შაკილ ონილი (ლეიკერსი), კარლ მელოუნი (იუტა), სკოტი პიპენი (ჰიუსტონი), ალონზო მურნინგი (მაიამი), ანტონიო მაკდაიესი (დენვერი), გრანტ ჰილი (დეტროიტი), შონ კემპი (კლივლენდი), პოლ პირსი (ბოსტონი).

REUTERS ლონდონიდან

რიჩარდ კრაიჩეკი

თეთრი დღე შავების ცხოვრებაში

ლონდონი. ინგლისი.
GUARDIAN DIRECT CUP
დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 815 ათასი $

მეოთხედფინალი: ტომას იოჰანსონი (8, შვედეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) 6:2, 7:6 (7:5); გრეგ რუზედკი (3, ინგლისი) — ტომას ენკვისტი (6, შვედეთი) 7:5, 4:6, 6:3; რიჩარდ კრაიჩეკი (4, ჰოლანდია) — კაროლ კუჩერა (5, სლოვაკეთი) 6:1, 6:3; ჰიშამ არაზი (მაროკო) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:4, 6:2

ნახევარფინალი: კრაიჩეკი — იოჰანსონი 6:2, 6:4; რუზედკი — არაზი 6:2, 6:3

ფინალი: კრაიჩეკი — რუზედკი 7:6 (8:6), 6:7 (5:7), 7:5

ეკონომიკური კრიზისით და სარეკორდო გამყინვარებით გატანჯულ თანამემამულეები და მორიგი ამოუცნობი დაავადებით მორიგ სამთავრობო სანატორიუმში მორიგი კვირით შემალული ჩოგბურთის მოყვარული პრეზიდენტი ევგენი კაფელნიკოვმა პარასკევ ღამით ვერაფრით გაახარა — პირველი რუსი მსოფლიოს პირველი ჩოგნის ნაცვლად იგი მეოთხედფინალში დამარცხებული ფავორიტი შეიქნა.

კლასიფიკაციაში პიტ სამპრასის გასასწრებად ლონდონში სოჭელ ჟენიას ნახევარფინალში გასვლაც ჰყოფნიდა, მაგრამ თავისთვის მეტად უხერხულ მეტოქეს, ტომას იოჰანსონს (რომელთანაც შარშან ორჯერ, მათ შორის, აშშ-ის ღია პირველობის მერვედფინალში დამარცხდა) ამჯერადაც ვერაფერი მოუხერხა.

„ვფიქრობ, ევგენი ზედმეტად ნერვიულობდა. ეს თავიდანვე შევატყვე. ჩვეულად კარგად ვერ მოძრაობდა და ბევრ შეცდომასაც უშვებდა. თუმცა ასეთ მნიშვნელოვან მატჩში ეს ნორმალურიცაა“ — აღნიშნა მოგვიანებით იოჰანსონმა.

კაფელნიკოვმა პირველივე მოწოდებაზე ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა, მეტოქეს ჯერ ერთი ბრეიკი დაანება, მერე მეორე და პირველი სეტი ნახევარ საათში დათმო. მეორე ხელში მოწოდება არც ერთს აღარ დაუკარგავს, ტაი-ბრეიკზე კი შვედი 6:2-ით დაწინაურდა და სამი მატჩ-პოინტის განიავების მიუხედავად, რუსს აუღებელი შემოკლებულით მოუღო ბოლო.

„ეს ერთ-ერთი იმ დღეთაგანი იყო, თავს ცუდად რომ გრძნობ, თანაც დიდ ზეწოლას განიცდი. სიმართლე გითხრათ, ცოტათი მეშინოდა კიდეც, რომ ეს მოხდებოდა. მაგრამ მაინცდამაინც იმედგაცრუებული არა ვარ. მჯერა, პირველი ჩოგანი, ადრე თუ გვიან, მაინც გავხდები“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ბოლო ხანებში უჩვეულოდ თავდაჯერებულმა რუსმა.

კაფელნიკოვის ნაცვლად კი ტემზის პირას აგებულ კარავში რიჩარდ კრაიჩეკმა გაიხარა. არადა, შაბათ დილას იგი რომელიმე მახლობელ სასტუმროში კი არა, მშობლიურ ჰოლანდიაში შეხვდა, სადაც სამშაბათს ავტოკატასტროფაში დაღუპული მეგობრისა და კოლეგის, მენო უსტინგის დაკრძალვას დაესწრო და უკან ნახევარფინალის დაწყებამდე ორიოდ საათით ადრეღა გადმოფრინდა.

„ამ ტიტულს მენოს ვუძღვნი. არ მეგონა, თუ ყველაფერი ასე ემოციური იქნებოდა, მაგრამ გუშინ, როცა მის კუბოს მივყვებოდი უკან, თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი, დამშვიდობება მეტად ძნელი გამოდგა. იმედი მაქვს, ის ახლა უკეთეს ადგილზეა“ — განაცხადა ჰოლანდიელმა კარიერის მეთექვსმეტე ტიტულის აღსანიშნავ სიტყვაში.

მთელი კვირის მანძილზე უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონმა მეტოქეებს ორად ორი ბრეიკი დაანება, ფინალში კი 31 ეისი მოაწოდა, თუმცა ერთი პატარა ინციდენტის გამო გამარჯვება კინაღამ რუზეცკის გადაულოცა.

ეს ამბავი გადამწყვეტ ხელში მოხდა — ჰოლანდიელი 4:3-ს იგებდა, როდესაც გეიმი 27-ე ეისით დაიწყო. იმედგადაწურულმა ბრიტმაც გაცვეთილ ოინს მიმართა — თავისი ჩოგანი ბურთის მიმტან გოგონას გადაულოცა და თვითონ სკამზე ჩამოჯდა. კრაიჩეკმა და პატარა ვიქტორია ლისტერმა მატჩის ყველაზე ხანგრძლივი გათამაშება მოაწყვეს, ჰოლანდიელმა ალბათ, კვირის მანძილზე პირველად, გაიღიმა კიდეც... და საქმე უკან-უკან წაუვიდა.

ყურადღებაგაფანტულმა კრაიჩეკმა ჯერ საკუთარი მოწოდება წააგო, მერე მეტოქის და უცებ წაგებამდე ორი ქულაღა დააკლდა — 4:5, 0:30. „ყველა იღიმოდა, მაგრამ მე საქმე კინაღამ სატირლად გამიხდა. არ ვიცი, გრეგმა ეს განზრახ გამიკეთა თუ არა, მაგრამ გართობა ლამის მატჩის წაგებად დამიჯდა. მასთან მომდევნო შეხვედრაში, უკვე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო — ბურთის მიმტანს ვათამაშებ“ — აღნიშნა ჰოლანდიელმა.

უხერხულ სიტუაციას კი, როგორც უკვე მიხვდებოდით, კრაიჩეკმა 28-ე და 29-ე ეისებით დააღწია თავი, მომდევნო გეიმში შესანიშნავი ბექჰენდით რუზეცკის კიდევ ერთხელ აართვა მოწოდება და სამართალს პურიც აჭამა.

პარიზი. საფრანგეთი.
OPEN GAZ DE FRANCE
დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 520 ათასი $

მეოთხედფინალი: ამელი მორესმო (6, საფრანგეთი) — მარტინა პინგისი (1, საფრანგეთი) 2:6, 6:1, 6:3; დომინიკ ვან რუსტი (3, ბელგია) — ელენა ლიხოვცევა (8, რუსეთი) 7:5, 6:0; სერენა უილიამსი (აშშ) — ჟული ალარი (7, საფრანგეთი) 6:2, 6:3; ნატალი დეში (საფრანგეთი) — ამელი კოშტო (საფრანგეთი) 6:1, 4:6, 6:1.

ნახევარფინალი: მორესმო — ვან რუსტი 6:0, 7:6 (7:5); უილიამსი — დეში 6:1, 6:4

ფინალი: უილიამსი — მორესმო 6:2, 3:6, 7:6 (7:4)

ლონდონის არ იყოს, ტურნირის უმნიშვნელოვანესი მატჩი პარიზშიც მეოთხედფინალში შედგა, სადაც ერთიმეორეს მელბურნული ჭორ-მართლის შემდეგ გადაკიდებული ამელი მორესმო და მარტინა ჰინგისი შეხვდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლესბოსელი ფრანგის „ნახევრადკაცად“ მომხსენიებელ გატლეკილ მარტინას პარიზელი მაყურებელი ტკბილად არ შეხვედრია — მოთელვის დროს მის თითოეულ დარტყმას სტვენა-ჟივილს აყოლებდნენ, თავისიანს კი „ამელი, ჩვენ შენთან ვართო“ და მსგავსი პატრიოტული პლაკატ-ლოზუნგებით აგულიანებდნენ.

ავსტრალიის ღია პირველობის ფინალის დარად, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მატჩი შესანიშნავად დაიწყო და პირველი სეტი იოლად მოიგო, მაგრამ სწრაფი გასეირნება ამჯერად არ გამოუვიდა. მორესმომ შეცდომებს სულ უფრო უკლო, მძლავრი მოწოდება და ფორჰენდი ჯეროვნად აამუშავა, მეტოქე აქეთ-იქით სირბილში დაქანცა და ანგარიში გაათანაბრა.

გადამწყვეტი ხელი ყველაზე თვალსაჩინო გამოდგა — ჩოგბურთელები ლამის თითოეულ მოგებულ ქულას მეტოქისკენ გაშვერილი მჯიღით და შეძახილით აღნიშნავდნენ, გათამაშებები კი სულ უფრო მეტხანს გრძელდებოდა. შურისძიება კი მაინც შედგა: მორესმომ 2:3-დან ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო და მატჩ-პოინტზე ჰინგისის აცილებულ ბურთს მთელი დარბაზი აღფრთოვანებული, ნიშნისმომგები ყიჟინითა და ფეხზე წამოდგომით შეხვდა.

„დასაკარგი არაფერი მქონდა, თანაც შევატყე, რომ მარტინა შესაძჩნევად განერვიულდა და შესაძლებლობა ხელიდან არ გავუშვი. ეს ჩემი კარიერის საუკეთესო მატჩი იყო“ — აღნიშნა ფრანგმა, ჩვეულზე გაცილებით გაფთრებული და ნაკლებად ენაწყლიანი მარტინა კი ხასიათზე აშკარად არ გახლდათ: „ახლა მივხვდი თუ რას იგრძნობდნენ ბრაზილიელები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის წინ. ყველა ჩემს წინააღმდეგ იყო განწყობილი და თავი დავკარგე“.

თავისიანთა ბოლომდე გახარება მორესმომ მაინც ვერ მოახერხა. ფინალში ორი ყველაზე დაკუნთული ჩოგბურთელი ქალის ორთაბრძოლაში სერენა უილიამსმა ნერვები ვერაფრით მოთოკა და უამრავი შეცდომის ხარჯზე გადამწყვეტ სეტში 4:1 უპირატესობა ხელიდან გაუშვა, მაგრამ ტაი-ბრეიკზე მაინც იმარჯვა და მერე ჩვეულად გაიბადრა (სურათზე) — წაიტრაბახა: „ვამაყობ საკუთარი თავით. უკვე ვიცი, რას ნიშნავს ტურნირის მოგება და იმედია, მალე დიდი სლემის ტურნირზეც ვიმარჯვებ, შეიძლება პარიზში ჩემი მომდევნო ჩამოსვლის დროსაც — როლან გაროსზე“.

ოკლაჰომა სიტი. აშშ.
ტენის კლარკი. ჰარდი.
საპრიზო 180 ათასი $

ნახევარფინალი: ვინუს უილიამსი (1, აშშ) — ლილია ოსტერლოჰი (აშშ) 6:2, 6:3; ამანდა კუტცერი (3, სამხრეთ აფრიკა) — ანა კურნიკოვა (2, რუსეთი) 6:4, 6:0

ფინალი: უილიამსი — კუტცერი 6:4, 6:0

ოკეანის გაღმა უილიამსთა ოჯახის პრესტიჟი უფროსმა დამ — ვინუსმაც არ შებღალა და ისტორიაში პირველად ერთი ოჯახის წევრებმა ერთსა და იმავე დღეს სხვადასხვა ტურნირზე იმარჯვეს. „ფინალის წინ გავიგე, რომ სერენას მოეგო და თავი ვალდებულადაც კი ვიგრძენი, გამემარჯვა“ — აღნიშნა ნაკლებად დაკუნთულმა, ოღონდ გაცილებით მაღალმა უილიამსმა.

ავთანდილ სვანიძე

რაგბი, ფიჯი: გულში ხინჯი!

ფიჯიში შეკრებაზე მყოფმა საქართველოს ნაკრებმა მორიგი დანაკლისი განიცადა. ერთ-ერთი პროვინციის გუნდთან ამხანაგური შეხვედრისას, რომელიც 52:14 „ბორჯღალოსანთა“ გამარჯვებით დასრულდა, იაშვილი და ხამაშურიძე დაშავდნენ. რა განწყობაზე იქნებიან ქართველთა მწვრთნელები, ადვილი მისახვედრია. ასეთი მნიშვნელოვანი თამაშის წინ ხუთმა მორაგბემ მიიღო ტრავმა — მაჩიტიძე და იურინი თბილისში დაშავდნენ, მერე მთიულიშვილს საფრანგეთის პირველობის მატჩში თვალი დაუზიანდა და საოპერაციო შეიქნა, ახლა კი, ტონგასთან დაპირისპირებამდე ექვსი დღით ადრე, იაშვილი და ხამაშურიძეც გამოაკლდნენ გუნდს. მასპინძლებს იმ მატჩში იმდენად უუხეშიათ, ქართველებს უნანიათ, ნეტავ, სულ არ გვეთამაშაო. იაშვილს ხელი აქვს მოტეხილი და, ალბათ, ვერც ჰოლანდიელების წინააღმდეგ გამოვა, თუ ღმერთმა ინება და „ბორჯღალოსნებმა“ ტონგური ბარიერი დააძლიეს. რაც შეეხება ხამაშურიძეს, მას ფეხის სერიოზული ტრავმა მიეღია, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში იქნებ კიდეც ითამაშოს ტონგელების წინააღმდეგ, თუმც ეს ნაკლებ სავარაუდოა. დაშავებულთა სხვა მობურთალებით შეცვლა უკვე აღარ მოესწრება, თუმც ნაკრების მწვრთნელები იმედს მაინც არ კარგავენ, რომ ნუკუალოფაში 6 მარტს დანიშნული მატჩი ქართველთათვის სასურველი შედეგით დასრულდება.

მეტოქეს რაც შეეხება, იქაური პრესის ცნობით, ლეგიონერთა უმეტესობა უკვე ადგილზეა და ადგილობრივ მობურთალებთან ერთად ემზადებიან ქართველებთან საბრძოლველად.

პაატა თოთაძე

უჩაძე ბოლო ვაგონს შეახტა

დღეს ჰოლანდიის ქალაქ არნემში ტყვიის მსროლელთა ევროპული პირველობა დაიწყება. მასში საასპარეზოდ, მანამდე კი მოსამზადებლად ოლიმპიადის ლიცენზიამოპოვებული ნინო სალუქვაძე და დარეჯან დუმბაძე მწვრთნელებთან ერთად ადრევე გაემგზავრნენ გერმანიას, სადაც ორი კვირა დორტმუნდში წაივარჯიშეს და ჰოლანდიას იქიდან ჩავიდნენ. აი, ნინო უჩაძის გამგზავრება კი ბოლო მომენტში გადაწყდა. ფედერაცია-დეპარტამენტმა მას იქ წასასვლელი ფული ვერაფრით გამოუძებნა და დახმარება თავდაცვის სამინისტროს სთხოვა, რაკიღა ნინო არმიული კლუბის წევრია. ამთაც საჭირო თანხის ნაწილი უსესხეს, დარჩენილი თავად უჩაძემ ისესხა და, რომ იტყვიან, ევროპაში წასასვლელად ბოლო ვაგონს შეახტა. ევროპის ჩემპიონატზე უჩაძის გამგზავრება იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მსროლელები პირადი პირველობის გარდა გუნდურშიც იასპარეზებენ — სამი სპორტსმენი მაინც უნდა გყავდეს, გუნდურზე რომ დაგიშვან.

ირაკლი თავაძე

მარტო ტიტემ გაიტანოს?!

გადაღებული ფოტოდან

ტიტე კალანდაძეს შინაც ბევრი გაჰქონდა და სკოპიეშიც გააქვს

გასულ უქმეებზე ევროპის დარბაზებში კონტინენტის ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის პირველი ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართა.

ზაგრებში ხორვატიული „ბადელი“ ესპანურ პორტლენდ სან ანტონიოს მასპინძლობდა და საპასუხო მატჩისთვის 5-ბურთიანი მარაგი შეიქმნა. „ბადელმა“ 27:22 მოიგო. მეორე ნახევარფინალშიც ესპანური კლუბი თამაშობდა. „ბარსელონა“ კონტინენტის ყველაზე სახელიანი გუნდია და მისი ძალა ჩვენებურმა „სტუ-შევარდენმაც“ იწვნია. ალბათ, გეხსომებათ, მეთექვსმეტედფინალში კატალონიელებმა ორი მატჩის ჯამში ქართველები რომ გაანადგურეს. აი, „ბარსამ“ სლოვენიურ „პივოვარნას“ კი ვერაფერი მოუხერხა და სტუმრად 32:35 წააგო. თუმცა 6 მარტს, შინაურ კედლებში, მათ სლოვენიელების დიდი ანგარიშით დამარცხება და ფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ.

ჩვენს ყურადღებას გამორჩეულად სკოპიეს „ვარდარისა“ და ესპანური „პროსესა ადემარას“ თასების თასის ნახევარფინალური შეხვედრა იპყრობდა. მაკედონიურ „ვარდარში“ კარგა ხანია ქართველი ხელბურთელები თამაშობენ და ერთი მათგანი, ტიტე კალანდაძე გუნდის უპირობო ლიდერია. ტიტემ თავისი სიძლიერე ამ მატჩშიც დამტკიცა და ესპანელებს 11 ბურთი გაუტანა, მაგრამ ამით მაკედონიელებს არაფერი ეშველათ და „ვარდარმაც“ შინ 27:29 წააგო. მეორე ნახევარფინალში ბელგრადის „პარტიზანმა“ კიდევ ერთ ესპანურ „კახა სანტდაბრიას“ 26:23 სძლია. საპასუხო მატჩები 6 მარტს გაიმართება.

სოსო კოტორეიშვილი

ჯორჯ მიჩელი:

ოლიმპიური კომიტეტი ქრთამის ჭაობია

ჯორჯ მიჩელმა გუდას პირი მოხსნა

„სოლტ-ლეიკ 2002“-ის ბინძური სკანდალის შესახებ აქამდე ხმა მასში ჩათრეულ თუ ჩაყოლილ ყველა ორგანიზაციასა და კანტორას ამოეღო. დუმდა მხოლოდ აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის მიერ ბობოლა იურისტებისა და მისთანათაგან თათარიახნად შექმნილი მავანი საბჭო, რომლის სათავეში სენატორყოფილი ჯორჯ მიჩელი იჯდა. ხსენებულმა საბჭომ და მისმა თავმჯდომარემ თავიანთი გუდისთვის პირის მოხსნა გუშინ გადაწყვიტეს. გუდიდან ისეთი სურფსარქისი ამოვარდა, რომ ლოზანასა და მის გარეუბნებში დედები შვილებს ვერ აკავებდნენ, სამარანჩი კი — სოკ-ს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მიჩელმა და მისმა კომპანიამ ოლიმპიური ბუხრიდან დამპალი შეშის გამოღება და — საერთოდაც — ბუხრის სტრუქტურული გადახალისება მოითხოვეს. „ოლიმპიური ცეცხლი გასაწმენდია“ — სწერია საბჭოს მიერ გავრცელებულ პატაკში — „სოკ-ი ძირფესვიანად უნდა გარდაიქმნას. იგი უკვე დიდი ხანია, მექრთამეობისა და ცუდმესაჩუქრეობის ჭაობს დაემსგავსა“. საბჭოელთა აზრით, მართალია, სოლტლეიკელებმა საზიზღრობა ჩაიდინეს, როცა სამასპინძლო შეჯიბრის მოგება სოკ-ელთა მოსყიდვით სცადეს, მაგრამ „ისინი უკვე დადგენილი წესების მიხედვით მოქმედებდნენ და ახალი არაფერი გამოუგონებიათ. მათ მხოლოდ სხვაზე უკეთ გააკეთეს ის, რაც სოკ-სა და მის გარეუბნებში უკვე დიდი ხნის განმავლობაში კეთდება“.

ამის გამო გარდასაქმნელია არა მარტო სოკ-ი, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი ოლიმპიური რგოლი — ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან დაწყებული, ვიდრე პრეზიდენტ სამარანჩის სამდივნომდე. გასამჭვირვალეა ოლიმპიური ფინანსური მიმოქცევის სისტემა. გასამკაცრებელია სოკ-ის წევრად არჩევის პროცედურა... „ერთი სიტყვით — შესაცვლელია თამაშის წესები და არა რომელიმე ცალკეული მოთამაშე თუ გუნდი“ — პატაკის ამ დამაბოლოოებელ ფრაზას, თქვენი არ ვიცი და, აშშ-ში კი ხანგრძლივი და მქუხარე ოვაციებით შეეგებნენ. სხვა რომ არა იყოს, აშშოკ-მა მის მიერვე ხელდასხმულ ჯგუფს გარჯა ფრიადზე დაუფასა და — თუკი ოლიმპიზმის მომავალი რამოდენიმედ უკეთესი იქნა, ეგ ამ ბიჭების გამოისობითაცო — განაცხადა.

თუმცა ამერიკელთა ტაშ-ფანდურს საკმაო გულცივობით შეეგება სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი და მექრთამეობის წინააღმდეგ მთავარი მოლაშქრე რიჩარდ პაუნდი. ასე საჯაროდ ჩვენი შპს-ს კორუფციისა და მექრთამეობის მყრალ ჭაობად მონათვლა, გადამეტებულად ხომ არ გეჩვენებათო, ფრთხილად შეუნიშნავს პაუნდს და ირიბი ღიმილითაც ჩაუღიმია. ვინ ვინ და მან კი კარგად უწყის, რომ თუკი ამერიკელები გაცხარდებიან, სოკ-ს მათ ბარაქიან ქვეყანაში უგადასახადოდ ბაირამობისა და ბევრი სხვა კუდრაჭობის უფლებაც ჩამოერთმევა. ამერიკელთა გაცხარებას კი სოკ-ს მხოლოდ თავისი აქოთებული ბუხრის გამოწმენდა აარიდებს.

რუსელი ალაპარაკდა: დოპინგით ყველა იჭყიპება

REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

„ტურ დე ფრანსის“ ბოლო გათამაშებას დოპინგ-სკანდალი რომ მოჰყვა, ალბათ, გეხსომებათ. მაშინ ყველაზე მეტად დაზარალდა ფრანგული გუნდი „ფესტინა“, რომელიც ტურის ორგანიზატორებმა შეჯიბრიდან მოხსნეს. გუნდის ლიდერმა რიშარ ვირენკმა კი სპორტიდან წასვლის შესახებაც განაცხადა, თუმცა ცოტა ხანში სიტყვა გადათქვა.

საქმეში გარეული თითქმის ყველა პიროვნება ათასგვარ განცხადებას აკეთებდა, ზოგი დანაშაულს აღიარებდა, ზოგიც თავის გამართლებას ცდილობდა. „ფესტინას“ აწ უკვე ყოფილი სპორტული დირექტორი ბრუნო რუსელი კი ერთადერთი იყო, ვისაც, თითქოს დამუნჯდაო, ხმა არ ამოუღია სკანდალთან დაკავშირებით.

და, აი, ახლახან რუსელიც ალაპარაკდა.

„ციხეში ისეთი რამისთვის ჩამსვეს, რაც ველოსპორტში სავსებით მიღებულია და ყველა აკეთებს. მე ჩემი წილი პასუხისმგებლობა ავიღე, ხოლო თქვენ და იმ ხალხმა, ვისაც თქვენ წარმოადგენთ — არა. არანაირი მორალური უფლება არ გაქვთ, განმსაჯოთ!“ — განუცხადა მან საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციის ფედერალურ საბჭოს. ამ საბჭოს საგანგებო სხდომა პარიზში „ფრანგული სპორტის სახლში“ გაიმართა ფრანსუა ალაფილიპის თავმჯდომარეობით.

„ფესტინას“ ექსდირექტორის საქმეს სასამართლო რამდენიმე თვეში განიხილავს, მანამდე კი რუსელს ფარისევლებთან ბრძოლა გადაუწყვეტია. „აქ იმიტომ მოვედი, რომ ამ გაიძვერებს მთელი სიმართლე პირში მივახალო. თითქოს აქამდე არ იცოდნენ, რომ მრბოლთა უმეტესობა დოპინგით იჭყიპებოდა. მე ჩემი საქმე მიყვარდა და მისთვის თავის დანებება არ მინდოდა, ამიტომაც ბედის ანუ დოპინგის შეგუების გარდა სხვა არაფერი დამრჩენოდა“ — უთხრა ცოტა მოგვიანებით ჟურნალისტებს რუსელმა.

ახლა მთელი ევროპა საგონებელშია ჩავარდნილი — როგორ ებრძოლონ დოპინგს? თუმცა ბებერი კონტინენტის წარმომადგენლებს ეჭვი ღრღნით, რომ ამერიკელები, აფრიკელები და აზიელები მათსავით თავს არ გამოიდებენ ამ სენის სპორტიდან აღმოსაფხვრელად, რასაც ალაფილიპის სიტყვებიც ადასტურებს: „ფაქტობრივად, შეუძლებელია დოპინგის შემოტევის შეჩერება მარტო ჩვენი ძალებით. ხოლო რა პოზიციას დაიჭერენ სხვა კონტინენტების წარმომადგენლები, ჯერ კიდევ გაურკვეველია“.

დავუბრუნდეთ ისევ „ფესტინას“. საბჭომ რუსელთან ერთად გუნდის ექიმ ვილი ვოესაც მოუსმინა. ორივენი ერთს ითხოვდნენ — მათ მიმართ მიღებული სანქციების გაუქმებას. მათ შესაბამისად ხუთი და სამი წლით აუკრძალეს ველოსპორტთან კავშირი. თუმცა რუსელის ადვოკატ ტიბო დე მონბრიალის თქმით, მისი კლიენტისთვის ეს მხოლოდ პრინციპის ამბავიღაა, რადგან ველოსპორტში დაბრუნება ვეღარც კი წარმოუდგენია განტევების ვაცად ქცევის შემდეგ: „შეუძლიათ, სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცენ, ამას უკვე აღარანაირი აზრი არა აქვს. ბატონ რუსელს უკვე იმხელა შეურაცხყოფა მიაყენეს, როცა ნამდვილი კრიმინალივით ციხეში ჩასვეს (1998 წლის 17-დან 28 ივლისამდე. გ.თ.), რომ იგი აღარასოდეს დაუბრუნდება ძველ გარემოს. დოპინგი ველოსპორტში, ფაქტობრივად, მისი შექმნის დღიდანვე გამოიყენება და ამისთვის აქამდე არავინ დასჯილა. ერთი სიტყვით, სპორტის ამ სახეობის მამებმა თავიანთი ბინძური ხელები „ფესტინას“ შეახოცეს“.

რამდენად იმოქმედა რუსელის, მისი ადვოკატისა და ვოეს სიტყვებმა ველოსპორტის ფრანგ ჩინოსნებზე, ეს ერთ კვირაში გამოჩნდება, როცა სვფის ფედერალური საბჭო თავის გადაწყვეტილებას საჯაროდ განაცხადებს.

გაიოზ თალაკვაძე

მინარდი ფიმ



ლუკა ბადოერი
იტალია
დაიბადა 1971 წლის 25 იანვარს
მონტებელუნაში (იტალია)
ცხოვრობს მონტე კარლოში
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1993,
BMS-იტალია, 34 რბოლა

minardi

გუნდის შეფი ჯანკარლო მინარდი
კონსტრუქტორი გუსტავ ბრუნერი
შასი: მინარდი M-01
ძრავა: ფორდ V-10
საბურავები: „ბრიჯსტოუნი“
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1985, ბრაზილიის დიდი პრიზი
221 რბოლა, 27 ქულა

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP



მარკ ხენე
ესპანეთი
დაიბადა 1974 წლის 29 მარტს
საბადელში (ესპანეთი)
ცხოვრობს ბარსელონაში,
უცოლო



მარკ ხენე და გაბრიელე რუმი „მინარდის“ წლევანდელი პრეზენტაციისას. ლუკა ბადოერი ჯერ მათთან არ იყო

სარგებლობს არქივიდან

საცოდავი ოლიმპიელი

ფორმულა 1-ის ტრასებზე გამოჩენისთანავე „მინარდი“ თითქოსდა ოლიმპიური პრინციპით ხელმძღვანელობს — „მთავარია მონაწილეობა“. გუნდის მთავარ საზრუნავს რბოლებში მონაწილეობისთვის საჭირო ფულის შოვნა წარმოადგენდა.

ამჟამად საჯინიბოს „ფონდმეტალის“ შეფი გაბრიელე რუმი აკონტროლებს. თუმცა ოფიციალურად გუნდის ხელმძღვანელად მისი დამფუძნებელი ჯანკარლო მინარდი რჩება. ამჟამად გუნდს ფინანსური შეჭირვების გამო დახურვა არ ემუქრება, მაგრამ ჯერჯერობით არც იმის ძალა უნდა შესწევდეს, რომ კონკურენტუნარიანი ბოლიდი შექმნას.

წლევანდელი მოდელი M-01 გუსტავ ბრუნერის ქმნილება გახლავთ, მაგრამ არც ეს უნდა იყოს რევოლუციური მოდელი, რომლისგანაც რაიმე წარმატებაა მოსალოდნელი.

გუნდის მთავარ პრობლემას წლეულს პილოტები წარმოადგენდნენ. ახალგაზრდა და პერსპექტიულმა არგენტინელმა ესტებან ტუერომ სამშობლოში დაბრუნება და იქ საგზატკეცილო რბოლებში მონაწილეობა არჩია. იტალიელებმა ლუკა ბადოერის, „ფერარის“ ტესტ-პილოტის მიწვევა განიზრახეს, „სკუდერიას“ შეფებს დიდხანს ეაჯნენ და ბოლოს ბადოერი, მხოლოდ პირველ ტესტებზე რომ დააგელვებდა ბრუნერის ქმნილებას და მეტის უფლება ფერარელებისგან არ ჰქონდა, მინარდელი გახდა. იგი შეუწყვილდა 24 წლის ესპანელ მარკ ხენეს, რომელმაც თავისი სპონსორის, ტელეკომუნიკაციების კომპანია „ტელეფონიკას“ მეშვეობით 7 მილიონი დოლარი მოუტანა საჯინიბოს. ტეს-პილოტად კი ახალგაზრდა არგენტინელი, 23 წლის გასტონ მაცაკანეა მიწვეული. იგი შარშან ფორმულა 3000-ში ასპარეზობდა და ბევრი არაფრით გამოუჩენია თავი.

როგორც ვხედავთ, „მინარდი“ წლეულსაც ოლიმპიურ პრინციპს უნდა დასჯერდეს და წარმატებების იმედი კვლავაც მომავლისთვის გადადოს.

ალეკო ჯაბუკიანი

კოლორადოც მარაქაში გაჰრია

გაზაფხულს ლიგა სულ ორი თამაშით შეხვდა, მაგრამ მათ მიმართ ინტერესი დიდი იყო. ამ დღეს ხომ სწორედ ფლერის გახმაურებული გაცვლის მონაწილე კალგარი და კოლორადო თამაშობდნენ.

REUTERS დენვერიდან

კოლორადო — ედმონტონი. აწ უკვე კოლორადოელი ტეო ფლერის პირველი გოლი ახალ კლუბში

1 მარტი

კოლორადო — ედმონტონი 3:4

0:1 0:1 3:2

0:1 ბერანეკი 2'59 (17); 0:2 გერინი 20'42 (24); 0:3 მირონოვი 40'47 (9); 0:4 მიურეი 41'32 (13); 1:4 ფლერი 46'57 (31); 2:4 კამენსკი 49'10 (14); 3:4 მილერი 54'31 (4)

„ასეთი სიამოვნება დიდი ხანია, არ მიმიღია. მშვენიერი აუდიტორია, თბილი გარემო და, რაც მთავარია, ზღაპრული პარტნიორები, რომლებიც უამრავ საგოლე მომენტს გიქმნიან" — ტეო ფლერი მატჩის შემდეგ ისეთი გახარებული იყო, გეგონებოდათ, მისმა ახალმა გუნდმა გაიმარჯვა. თვით ფორვარდი კი თამაშის გმირი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები დამარცხდნენ და ორ პერიოდზე მეტ ხანს საერთოდ ვერ დალაშქრეს ბობ ესენსის (47 მოგერიება) კარი, შეხვედრის ფანტასტიკურმა დასასრულმა ცხადყო, რომ ფლერის მისვლის შემდეგ კოლორადო ნამდვილად გაძლიერდება. სწორედ ექსკალგარელის ზუსტმა დარტყმამ ჩაუყარა საფუძველი „ეველანშის" შტურმს, რომელმაც 13 წუთს გასტანა. სტუმრები მხოლოდ სასწაულმა იხსნა. ფლერის ყველა მომენტი რომ გამოეყენებინა, მეტს თუ არა, ჰეთ-თრიქს აუცილებლად შეასრულებდა.

კალგარი — სან ხოსე 1:2

0:1 1:0 0:1

0:1 ჰოულდერი 6'25 (6); 1:1 ბურე 21'52 (14); 1:2 ჰოულდერი 40'16 (7)

დაობლებულ კალგარის კი ძნელი ჟამი დაუდგა. არადა, ეს თამაში რომ მოეგო, დასავლეთის დივიზიონში მერვე ადგილზე მყოფ სან ხოსეს გაუტოლდებოდა.

სამგელ ღარიბიანი

სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი								ატლანტა								წყნარი ოკეანე							
ოტავა	59	33	8	18	170	128	74	ნიუ ჯერსი	61	33	8	20	181	154	74	დალასი	58	38	9	11	171	116	85
ტორონტო	60	34	5	21	194	176	73	ფილადელფია	60	30	13	17	187	137	73	ფინიქსი	60	30	10	20	149	136	70
ბუფალო	60	28	12	20	163	132	68	პიტსბურგი	59	32	7	20	187	163	71	ანაჰაიმი	61	27	9	25	164	150	63
ბოსტონი	59	25	10	24	154	140	60	რეინჯერსი	60	25	7	28	169	170	57	სან ხოსე	62	21	14	27	138	145	56
მონრეალი	61	24	8	29	144	158	56	აილენდერსი	61	19	7	35	143	183	45	ლოს ანჯელესი	61	23	5	33	140	162	51
სამხრეთ-აღმოსავლეთი								ცენტრი								ჩრდილო-დასავლეთი							
კაროლინა	62	27	12	23	160	154	66	დეტროიტი	62	31	6	25	183	158	68	კოლორადო	61	30	8	23	166	151	68
ფლორიდა	60	22	16	22	153	159	60	სენტ ლუისი	59	25	10	24	165	151	60	ედმონტონი	61	24	9	28	168	159	57
ვაშინგტონი	60	25	5	30	153	159	55	ნეშვილი	60	21	6	33	141	193	48	კალგარი	61	21	10	30	156	176	52
ტამპა	59	13	5	41	123	211	31	ჩიკაგო	62	17	8	37	136	196	42	ვანკუვერი	61	19	9	33	148	189	47

ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 90 (28+62); ლინდროსი 86 (36+50); ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) 79 (38+41); სელიანე 79 (34+45); კარია (ორივე ანაჰაიმი) 78 (27+51); ფლერი 70 (31+39); ფორსბერგი (ორივე კოლორადო) 69 (18+51); იაშინი (ოტავა) 67 (29+38); საკიკი (კოლორადო) 65 (29+36); მოდანო (დალასი) 65 (24+41); სტრაკა (პიტსბურგი) 63 (29+34); დემიტრა (სენტ ლუისი) 63 (27+36); სუნდინი (ტორონტო) 63 (21+42)

პატარას და მუშას თავისთვისაც უნდა

ფლერის გამარჯვება მოენეტრა

REUTERS დენვერიდან

ტეო ფლერი

უკვე გაუწყეთ, რომ 28 თებერვალს კალგარისა და კოლორადოს შორის სენსაციური ტრეიდი განხორციელდა, რომლის გმირად ტეო ფლერი იქცა. კალგარის ლიდერთან ერთად „ეველანშმა" ფორვარდი კრის დინგმანიც გადაიბირა, „ალებმა" კი თავდამსხმელი რენე კორბე და მცველი უეიდ ბელაკი მიიღეს...

არადა, რა ბრწყინვალედ დაიწყო ყველაფერი. 1989 წლის იანვარში „პატარა თაგუნა" ფლერი კანადის ახალგაზრდული ნაკრების რიგებში მსოფლიოს ჩემპიონი ხდება, უმალვე იღებს კალგარის წინადადებას, ნჰლ-ში სადებიუტო სეზონშივე თასის მფლობელი ხდება და ყველას უმტკიცებს, რომ სიმაღლე, უფრო სწორედ სიდაბლე (166 სმ) სრულიად არაფერს ნიშნავს მაშინ, როცა მოთამაშე ჭეშმარიტი ოსტატია, ლიდერის სულისკვეთებითა და მოზღვავებული ენერგიითაა აღსავსე. ამის შემდეგ მისგან და მისი თანაგუნდელებისგან ყველა თავბრუდამხვევ წარმატებას ელოდა, მით უმეტეს, რომ მაშინდელ კალგარიში ვარსკვლავთა მთელი კრებული ასპარეზობდა. ამის დასტურად დუგ გილმორის, ჯო ნუინდაიკისა და ელ მაკინისის ხსენებაც კმარა. თუმც ჩემპიონატში ჩინებული გამოსვლის შემდეგ პლეი-ოფში ვერა და ვერ იხეირეს და ზედიზედ ხუთჯერ პირველივე წრეში გავარდნის შემდეგ ხანგრძლივი კრიზისიც დაიწყო, საიდანაც გუნდი დღემდე არ გამოსულა. ფლერიმ გუნდს დიდად უერთგულა, მთელი ამ გაჭირვების ჟამს მასთან ერთად იყო, ითმინა, ითმინა, მაგრამ ველარ მოითმინა... მართალია, ბოლო ხანს კალგარი გამოცოცხლდა და საპლეიოფო ოქტეტს მიუახლოვდა, მაგრამ ფლერი ბედს აღარ მიენდო და უკეთესი მომავლის იმედით კოლორადოში გაემგზავრა.

თუ ფლერი დენვერელებს თასის მოგებაში დაეხმარა, მაშინ ეს ტრეიდი ლიგის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ილბდიანად შევა, მაგრამ თუ გუნდი პლეი ოფის პირველ ან მეორე რაუნდში გავარდა, ფლერი ზაფხულში თავისუფალი აგენტი ხდება და იქნებ დენვერში დარჩენა აღარც მოინდომოს. ამ შემთხვევაში კალგარი იქნება კმაყოფილი. მით უმეტეს, რომ 22 წლის ძალისმიერი მცველი უეიდ ბელაკი საკმაოდ პერსპექტიულია.

ასეა თუ ისე, კოლორადოს ჰაერივით სჭირდება ახალი ძალა. ერთ სამეულში გაერთიანებულმა ჯო საკიკმა (ფლერის უახლოესმა მეგობარმა) და პეტერ ფორსბერგმა გამოიყვანეს გუნდი კრიზისიდან (გაიხსენეთ 12-მატჩიანი მომგებიანი სერია), მაგრამ ყველა მატჩში ლამის 30 წუთი ყინულზე არიან და იქნებ პლეი ოფამდე ქანციც გასძვრეთ. მეორე სამეულში ცენტრფორვარდის პოზიციაზე გადასული ადამ დედმარში (ნომინალურად გარემარბი) სულ ჩვეული მარჯვენა ფრთისკენ მიიწევდა. ამჟამად კი „ეველანშში" სხვადასხვა ტაქტიკურ ვარიანტის გამოყენებას შეძლებს, მით უმეტეს, რომ ფლერის შეტევაში ნებისმიერ პოზიციაზე ძალუძს თამაში, ხოლო რიცხვმრავლობაში სამი ექსტრაკლასის მოთამაშის შეამხანაგება (საკიკი — ფორსბერგი — ფლერი) ნებისმიერ მეტოქეს შეაშინებს. აღარაფერს ვამბობთ იმ ჟინსა და ამოუწურავ ენერგიაზე, რასაც ფლერი გუნდს შეჰმატებს.

ასე რომ, კოლორადო დალასთან და დეტროიტთან ერთად დასავლეთის მთავარი ფავორიტი ხდება. მოვლენები, ალბათ, ისე განვითარდება, როგორც „ეველანშის" მესვეურებმა დაგეგმეს. კოლორადოს გენერალურ მენეჯერ პიერ ლაკრუას თქმით, ადვილი როდი იყო ფლერის ხელში ჩაგდება. ზაფხულშიც ყველაფერს გააკეთებენ მის შესანარჩუნებლად.

REUTERS ოფტერშვინგიდან

ანდრე ამოდტმა ლასე კიუსს და ჰერმან მაიერს ჩაუქროლა და მსოფლიოს თასის ლიდერი შეიქნა

ქალებს გრძელი ენა აქვთ, კაცებს კი ომი უყვართ

REUTERS არედან

ენამოკვნეტილი მარტინა ერტლი

შვედეთის სამთო კურორტ არეს სწრაფდაშვების ტრასა საბედისწერო გამოდგა 25 წლის გერმანელი მარტინა ერტლისთვის. მარტინამ მეორე დაშვებისას ერთ-ერთ მოსახვევში წონასწორობა დაკარგა და თოვლში თავით ჩაერჭო. მუხლიც დაიზიანა და არც მეტი, არც ნაკლები, თერთმეტი ნაკერი დაადეს... ენაზე. ექიმთა განაჩენი ულმობელი იყო — ერტლი მთიან ფერდობებზე ამ სეზონში ველარ ისრიალებს. არადა, მარტინა წლევანდელ მსოფლიოს თასზე ჩინებულად ასპარეზობდა და საერთო ჩათვლაშიც მესამე იყო. ცხადია, გერმანელ ქალბატონს ასეთი პერსპექტივა ალბათ, სულაც არ ეხატება გულზე, მაგრამ დარდისა და ნაღველის გასაზიარებლად პირში ენა აღარ უბრუნდება და რა ქნას.

მარტინას ბედი გაიზიარეს ავსტრიელმა შტეფანია შუსტერმა და იტალიელმა დანიელა ჩიკარელიმ, ორივე სამთომოთხილამურე ამჟამად საავადმყოფოს პალატებში თეთრხალათიანთა მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან. დასახიჩრებულებზე და ენამოკვნეტილებზე საუბარი ამით დავამთავროთ და ახლა იმათზეც ვთქვათ, ვინც მშვიდობიანად სწრაფდაეშვა.

27 წლის ავსტრიელმა რენატა გოეტჩლიმ მსოფლიოს თასზე მოგებული ეტაპების რიცხვი ცხრამდე გაზარდა. რენატამ კოლორადოს მსოფლიოს ჩემპიონატზეც სწორედ სწრაფდაშვებაში ირგუნა ოქროს მედალი და თასზეც იგივე გაიმეორა. მისი შედეგი 2:07.80 წუთი იყო. მეორეზეც ავსტრიელი მიქაელა დორფმაისტერი (2:07.87) გავიდა. მესამეზე — გერმანელი რეგინა ჰოუსლი 2:07.95. ალექსანდრა მაიზნიცერი ამჯერად მეცამეტე ადგილს დასჯერდა, თუმცა მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში 1450 ქულით კვლავ პირველია. რენატა გოეტჩლიმ მეხუთეზე აინაცვლა.

სწრაფდაშვება

1. **რენატა გოეტჩლი (ავსტრია) — 460**
2. **ჰილდე გერგი (გერმანია) — 359**
3. **მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 334**
4. **ალექსანდრა მაიზნიცერი (ავსტრია) — 328**
5. **რეგინ კავენიუ (საფრანგეთი) — 295**

მსოფლიო თასის საერთო ჩათვლა

1. **ალესანდრა მაიზნიცერი — 1450**
2. **ჰილდე გერგი — 1051**
3. **მარტინა ერტლი — 987**
4. **პერნილა ვიბერგი (შვედეთი) 924**
5. **რენატა გოეტჩლი — 805**

თუ ქალთა მსოფლიოს თასზე ლიდერი რახანია უცვლელია და მაიზნიცერის პირველობასაც საფრთხე არ ემუქრება, სამთომოთხილამურე კაცებმა კი ნამდვილად ომი გააჩაღეს. გერმანულ ოფტერშვინგში გიგანტურ სლალომში გაჯიბრებამდე საერთო ჩათვლაში ნორვეგიელი ლასე კიუსი დაწინაურებულიყო, მას კვალდაკვალ თანამემამულე ანდრე ამოდტი და ავსტრიელი ჰერმან მაიერი მისდევდნენ.

გიგანტური სლალომის მერე კი ვითარება შეიცვალა. ამ სახეობაში საუკეთესო ავსტრიელი შტეფან ებერჰარტერი (2:17.79) იყო, მეორეზეც ავსტრიელი ჰანს კნაუსი (2:18.06) გავიდა, მესამეზე შვეიცარიელი მიქაელ ვან გრუნიგენი (2:18.07). ლიდერთაგან ყველაზე უკეთ ჰერმან მაიერმა (2:18.13) ისრიალა და მეოთხე ადგილს დასჯერდა. ამოდტი მხოლოდ მეცხრე იყო, ლასე კიუს კი სურდო შეჰყრია და ტრასაზე საერთოდ არ გამოსულა. საერთო ჩათვლაში 1103 ქულით „ჰერმინატორი" დაწინაურდა, კიუსმა 1089 ქულით მეორეზე გადაინაცვლა, ამოდტმა 1070 ქულას მოუყარა თავი და მესამე პოზიციაზე ჩამოქვეითდა.

მეორე დღეს, სლალომში ასპარეზობის მერე კვლავ აირია მონასტერი. მართალია, ვერც ამოდტმა და ვერც ჰერმან მაიერმა შეძლეს ეტაპის მოგება, მაგრამ ნორვეგიელმა იმდენი კი მოახერხა, მესამე ადგილზე რომ გასულიყო და ასე საჭირო ქულები მოეპოვებინა. ერთი სიტყვით, კიუსის ავადმყოფობითა და „ჰერმინატორის" უილაჯობით კეიტ ანდრე ამოდტმა ისარგებლა და მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლის ლიდერიც შეიქნა.

სლალომში კი ნორვეგიელმა ფინ კრისტიან იაგენმა (1:47.76) იმარჯვა, მასზე ოდნავ უარესად კი ავსტრიელმა ტომას შტანგასინგერმა (1:48.81) ისრიალა.

გიგანტური სლალომი

1. **ფონ გრიუნიგენი (შვეიცარია) — 383**
2. **ჰერმან მაიერი — 371**
3. **შტეფან ებერჰარტერი — 360**
4. **ანდრე ამოდტი — 290**
5. **ბენემინ რაიხი (ავსტრია) — 286**

სლალომი

1. **ტომას შტანგასინგერი (ავსტრია) — 466**
2. **იურე კოშირი (სლოვენია) — 391**
3. **პიერიკ ბურჟო (საფრანგეთი) — 363**
4. **კრისტიან იაგე (ნორვეგია) — 360**

5-6. **ამოდტი და ამიეზი (საფრანგეთი) — 283-283**

საერთო ჩათვლა

1. **ამოდტი — 1130**
2. **მაიერი — 1103**
3. **კიუსი — 1089**

სოსო კოტორეიშვილი

უეფას თასი. მეოთხედფინალი
პირველი მატჩები. 2 მარტი

UEFA CUP

მარსელი (საფრანგეთი) 2:1 სელტა (ესპანეთი)
1:0 მორისი (33), 1:1 მოსტოვოი (64), 2:1 მორისი (68)
მარსელი: პორატო, ბლონდო (ბლანდო 78), ბლანი, დომორო, გალასი, რუა, ლუქსენი, პირესი, დიუგარი, მორისი (ედსონი 86), რავანელი (კამარა 73)
სელტა: დუტრუელი, სალგადო, კასერესი, ჯოროვიჩი, ლოპესი (ეგენი 79), კარპინი, ოსკარ ვალესი, მაზინიო, მოსტოვოი (ტომასი 86), პენევი (ხუან სანჩესი 55), რევივო

ბოლონია (იტალია) 3:0 ლიონი (საფრანგეთი)
1:0, 2:0 სინიორი (5, 49), 3:0 ბინოტო (54)
ბოლონია: ანტონიოლი, პარამატი, ტარანტინო, მანგონე, ბია, ფონტოლანი (კაპიოლი 80), მაროკი, ინგესონი, ბინოტო (რინალდი 70), სინიორი (კოლივანოვი 87), ანდერსონი
ლიონი: კუპე, ბრეშე, ფურნიე, ლავილი, კარტერონი, ლინარესი, ვიოლო (კოკარი 55), ჟობი, ბაკი, დორასო, კავეგლია

ბორდო (საფრანგეთი) 2:1 პარმა (იტალია)
1:0 მიკუ (40), 2:0 ვილტორდი (45), 2:1 კრესპო (85)
ბორდო: რამე, გრენე, საველიჩი, ალიკარტი, ფერიე (ჯემალი 76), ბენარბია, დიაბატი, პავონი, მიკუ, ლასლანდი, ვილტორდი
პარმა: ბუფონი, ტურამი, კანავარო, სენსინი, სტანიჩი (ვანოლი 88), ფუზერი, ლონგო, ვერონი, ბენარივო, ბალბო (კრესპო 73), ასპრილია (კიეზა 63)
გაძევება: ბენარივო (82)

ატლეტიკო (ესპანეთი) 2:1 რომა (იტალია)
1:0 ხოსე მარი (13), 2:0 ფრესნედოსო (46), 2:1 დი ბიაჯო (74)
ატლეტოკო: მოლინა, აგილერა, სანტი, შამოტი, ტონი (ხელი 87), ფრესნედოსო, იუგოვიჩი, ბარახა, სერენა, ჟუნინიო, ხოსე მარი (ლარდინი 72)
რომა: კიმენტი, კაფუ, ძაგო, ალდაირი, კანდელა (ვომე 80), ტომაზი (ალეინიჩევი 67), დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, პაულუ სერჟიო, დელვეკიო (ჟუნიორი 67), ტოტი
გაფრთხილება: ედინბურგი, ფროინდი, კერსლი, ვანჩოპე, ბარტონი

REUTERS მარსელიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარსელი — სელტა 2:1. მარსელელი ფლორიან მორისის (მარცხნივ) და ვიგოელი ხოსე მანუელ ლოპესის ორთაბრძოლა

ინგლისი

გადადებული მატჩი
ტოტენჰემი 3:0 საუთჰემპტონი
1:0 არმსტრონგი (18), 2:0 ივერსენი (67), 3:0 დომინგუში (90)

პირველი დივიზიონი
ბირმინგემი 0:0 ნორვიჩი
ჰადერსფილდი 3:2 ბოლტონი
0:1 პოლდსუორთი (20), 1:1 სტიუარტი (37), 2:1 ჯონსონი (40), 3:1 არმსტრონგი (46), 3:2 იოჰანსენი (51)
იფსვიჩი 3:2 უოტფორდი
1:0 დაიერი (17), 2:0 ვინასი (27), 3:0 ჯონსონი (74), 3:1 სმიტი (82), 3:2 მუნი (84)
შეფილდ იუნ. 1:1 კრ. პალასი
0:1 პეტრიჩი (10), 1:1 მორისი (89)
სანდერლენდი 2:0 პორტსმუთი
1:0 დიკიო (9), 2:0 ფილიპსი (60)
ვესტ ბრომვიჩი 3:1 სტოკპორტი
1:0 კილბეინი (18), 2:0 დე პრეიტასი (52), 3:0 ჰიუზი (60), 3:1 მაკინტოში (75)
ბერი — ვულვერჰემპტონი,
ქრიუ — ბრისტოლი,
პორტ ვეილი — ბრიმსბი
გადაიდო

ავსტრია

გადადებული მატჩი
შტაირი 0:1 ტიროლი

REUTERS საჭარიდან

ხალხისგან რა გინდა, ბიჭო!

ამასწინათ გამართული „საფარი რალის“ ერთ-ერთ ფიცხელ მონაკვეთში მსოფლიოს ჩემპიონ ფინელ ტომი მაკინენს ბორბალმა უმუხთლა. სანამ ჩემპიონი საბარგულში ჩალიჩობდა, მის ირგვლივ მოსერილ კენიელთა სოლიდური ამქარი შემოიკრიბა. კეთილმა და ჰალალმა აფრიკელებმა გადამთიელი მრბოლისთვის ხელის გამართვა დააპირეს, მერალე მახვშთა მიხედვით, მაკინენმა მათი დახმარება მიიღო და, რამდენადაც ეს წესების დარღვევად ითვლება, რბოლის გაგრძელების უფლებაც დაკარგა. თავად მაკინენის ახსნა-განმარტებით კი — კენიელები ველურები არიან, დახმარება კი არა, მანქანის ნაწილები რომ არ წაეღოთ, „აბრეზის“ ამოღება და მათთვის ბათქაბუთქის ატეხვა დამჭირდაო. თუმცა, როგორც ტელეკადრები ცხადყოფენ, მაკინენს მოსერილთა დახმარებით მაინც უსარგებლია და ახლა თავისი ბითური იაღლიშის უცოდველ ხალხზე გადაბრალებას ცდილობს... რომ აღარაფერი ვთქვათ ამ გადაბრალების გამოკვეთილად რასისტულ შეფერილობაზე, რის გამოც ჩემპიონს რამდენიმე ათასი დოლარით თუ არა, რამდენიმე გულშემატკივრით გაღარიბება უეჭველად მოუწევს.

კალათბურთი. ევროლიგა. მერვეددფინალის პირველი მატჩები

ჟალგირისი	76:62	ულკერი	
ფენერბაჰჩე	81:89	რეალი	
ვილერბანი	95:63	ციბონია	
ოლიმპია	72:63	პო ორტეზი	
პანათინაიკოსი	58:63	ტიმსისტემი	
ეფეს პილსენი	73:58	ცსკა	
კინდერი	78:57	მაკაბი	
ოლიმპიაკოსი	78:66	ვარეზე	

ფრანცისკას კიდევ შეუძლია

მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, ცნობილ გერმანელ მოცურავე ქალს ფრანცისკა ფან ალმსიკს, მისი ფერხორცისა და მასშტაბების ამბავი რომ ვიცით, ცხოვრებაში მართლაც ბევრი რამ უნდა შეეძლოს. მაგრამ ამჯერად ჩვენ მხოლოდ ის ამბავი გვაინტერესებს, რომ ტრავმებისა და ამას ადევნებული წარუმატებლობების მიუხედავად, მას ისევ შეუძლია სხვებზე უკეთესად ცურვა... ეს რომ ჯერ კიდევ ასეა, გერმანელმა ჩემპიონმა მსოფლიოს თასის მე-11 ეტაპზე, გელზერკირხენის 25-მეტრიან აუზშიც ცხადყო. ფრანცისკამ აქ თავისუფალი სტილით 200 მეტრი 1 წუთსა და 58,31 წამში დაფარა და ერთი მკერდით აჯობა უკან ადევნებულ ნორჩ თანამემამულეებს დეზირე ბეკერსსა და კერსტინ კილოგასს. „ხომ გეუბნებოდით, მაგ გოგოს კიდევ შეუძლია-მეთქი, ახლა აი თავადაც დარწმუნდით?!“, ასე ნიშნის მოგებით საუბრობდა ფრანცისკას მწვრთნელი. თავად გოგო კი ალერსიანად იღიმებოდა და ახლა, შგონი, მართლაც ყველაფერი შემიძლიაო ასე ამბობდა.

ავანსი ალექს ძანარდისთვის



REUTERS მელბურნიდან

ამ ხვავრიელ მდედრებს ავსტრალიის ოქროვან სანაპიროზე „მრიცხველის გოგონებს“ ეძახიან. მათი ფუნქცია ისაა, რომ საავტომობილო სადგომებთან დაყენებულ მრიცხველებს დროდადრო — თუკი თქვენ ოკეანესთან, ცხელ ქვიშასა ანაც ამ ქვიშაში გაშხვართულ ძუსთან შელევას ვერ ახერხებთ — 50-თეთრიანი ჩააყლაპონ ხოლმე... ინდიკარიდან ფორმულა 1-ში გადაბარგებულ ალექს ძანარდის ორ მათგანთან შეხვედრა ალბერტ პარკზე, ტრასისა და თავისი „უილიამსის“ დათვალიერებისას მოუხდა. შეხვედრას, როგორც თავად ატყობთ, გულლია და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაუვლია. ვერაფერს იტყვი, დიდებული ავანსია საკვირაო პრემიერის წინ!

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორაიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29